



Institute of Georgian, German and
International Criminal Law
ქართული, გერმანული და საერთაშორისო
სისხლის სამართლის ინსტიტუტი



FRIEDRICH NAUMANN
FOUNDATION For Freedom.
South Caucasus

გერმანულ-ქართული სამართლის დიალოგი DEUTSCH-GEORGISCHER RECHTSDIALOG

სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები STRAFRECHT UND MENSCHENRECHTE

ბაჩანა ჯიშკარიანი (რედ.)
Bachana Jishkariani (Hrsg.)

მარტინ პაულ ვაშმერი (რედ.)
Martin Paul Waßmer (Hrsg.)

ბაჩანა ჯიშკარიანი (რედ.)
Bachana Jishkariani (Hrsg.)

მარტინ პაულ ვაჰმერი (რედ.)
Martin Paul Waßmer (Hrsg.)

გერმანულ-ქართული სამართლის დიალოგი
DEUTSCH-GEORGISCHER RECHTSDIALOG

სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები
STRAFRECHT UND MENSCHENRECHTE

კონფერენციის მასალები
TAGUNGSBAND



თბილისი
TBILISI
2023

კრებული მომზადებულია ქართულ-გერმანული სამართლის დიალოგის ფარგლებში, 2022 წლის 11-12 ნოემბერს გამართული კონფერენციის მასალების საფუძველზე, რომელიც სისხლის სამართალსა და ადამიანის უფლებებს ეხებოდა. კონფერენცია ორგანიზებული იყო საქართველოს უნივერსიტეტის ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტისა (ხელმძღვ. პროფ. ბაჩანა ჯიშკარიანი) და კიოლნის უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ინსტიტუტის (პროფ. მარტინ პაულ ვასმერი) მიერ.

პროექტი განხორციელდა ფრიდრიხ ნუმანის ფონდის სამხრეთ კავკასიაში წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით.

Diese Band wurde aufgrund der Materialien vorbereitet, die im Rahmen der am 11-12. November 2022 durchgeführten Tagung über das Strafrecht und Menschenrechte bearbeitet wurden. Die Tagung fand in Zusammenarbeit zwischen dem Institut für georgisches, deutsches und internationales Strafrecht (Leiter: Prof. Dr. Bachana Jishkariani) der University of Georgia und dem Institut für Strafrecht und Strafprozessrecht der Universität zu Köln (Prof. Dr. Dr. h. c. Martin Paul Wassmer) statt.

Das Projekt, deutsch-georgischer Rechtsdialog, wurde mit finanzieller Unterstützung der Friedrich-Naumann-Stiftung für die Freiheit, Büro Südkaukasus, verwirklicht.

დამკაბადონებელი: თამარ ქიტუაშვილი

მთარგმნელები: ლაშა კალანდაძე, რამაზ ვადაჩკორია, ეთუნა ჩაჩანიძე

Übersetzt von Lasha Kalandadze, Ramaz Vadachkoria, Etuna Chachanidze

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი, ფოტო-ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას რედაქტორების წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

© ბაჩანა ჯიშკარიანი, მარტინ პაულ ვასმერი, 2023



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34

ელ-ფოსტა: Lawyers.world@yahoo.com;

ვებ-გვერდი: www.law.ge

www.facebook.com/PublishingWorldofLawyers

ISBN 978-9941-9778-9-3

კრეზულის ავტორები

ბაჩანა ჯიშკარიანი, LL.M. (München), კრეზულის სამეცნიერო რედაქტორი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, საქართველოს უნივერსიტეტი

მარტინ პაულ ვასმერი, კრეზულის სამეცნიერო რედაქტორი, სამართლის (საპატიო) დოქტორი, პროფესორი, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის კათედრა, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ინსტიტუტი, კიოლნის უნივერსიტეტი

ვერნერ შრიოდერი, LL.M. (Berkeley), სამართლის დოქტორი, პროფესორი, ინსბრუკის უნივერსიტეტის ევროპული და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვანელი

ფრანკ ციმერმანი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, გერმანული და ევროპული სისხლის სამართლის, ასევე დიგიტალიზაციის სისხლისსამართლებრივი გამოწვევების საპროფესორო, მიუნსტერის ვესტფალიის ვილჰელმის უნივერსიტეტი

დავით ზედელაშვილი, კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise, საქართველოს უნივერსიტეტი

სერგი ჯორბენაძე, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, ადვოკატი

კონსტანტინა პაპათანასიო, სამართლის დოქტორი, პროფესორი, ეკონომიკური სისხლის სამართლის, Compliance-ისა და დიგიტალიზაციის კათედრა, ლიხტენშტაინის უნივერსიტეტი

ანე შნაიდერი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, გერმანული, ევროპული და საერთაშორისო სისხლის სამართლის კათედრა, დიუსელდორფის უნივერსიტეტი

იორგ აიზელე, სამართლის დოქტორი, პროფესორი, გერმანული და ევროპული სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის, ეკონომიკური სისხლის სამართლისა და კომპიუტერული სისხლის სამართლის კათედრა, ტიუბინგენის უნივერსიტეტი

AUTORENVERZEICHNIS

Prof. Dr. **Bachana Jishkariani**, LL.M. (München), Herausgeber, Leiter des Instituts für georgisches, deutsches und internationales Strafrecht, University of Georgia

Prof. Dr. Dr. h. c. **Martin Paul Waßmer**, Herausgeber, Lehrstuhl für Strafrecht und Strafprozessrecht, Institut für Strafrecht und Strafprozessrecht, Universität zu Köln

Prof. Dr. **Werner Schroeder** LL.M. (Berkeley), Leiter des Instituts für Europarecht und Völkerrecht, Universität Innsbruck

Prof. **Dr. Frank Zimmermann**, Professur für deutsches und europäisches Strafrecht sowie strafrechtliche Herausforderungen der Digitalisierung, Westfälische-Wilhelms-Universität Münster

Davit Zedelashvili, Forschungsinstitut Gnomon Wise, University of Georgia

Assoz. Prof. Dr. **Sergi Jorbenadze**, Grigol Robakidze Universität, Rechtsanwalt

Prof. Dr. **Konstantina Papathanasiou**, Lehrstuhl für Wirtschaftsstrafrecht, Compliance und Digitalisierung, Universität Liechtenstein

Prof. Dr. **Anne Schneider**, Lehrstuhl für Deutsches, Europäisches und Internationales Strafrecht, Universität Düsseldorf

Prof. Dr. **Jörg Eisele**, Lehrstuhl für Deutsches und Europäisches Straf- und Strafprozessrecht, Wirtschaftsstrafrecht und Computerstrafrecht, Universität Tübingen

სარჩევი

კრებულის ავტორები	3
AUTORENVERZEICHNIS	4
კანონის უზენაესობა და სასაპარტელო სისხლის დამოუკიდებლობა	7
სისხლის სამართლისა და სიძვიისა და შვიკრების თავისუფლების ურთიერთმიმართება გერმანიაში პოლიტიკური დემონსტრაციების დროს	23
გამოხატვის თავისუფლება საქართველოში – ძლიერი კონსტიტუციური დაცვის ნაცრისფერი ხვრელები.....	53
სოციალური ქსელები და გამოხატვის თავისუფლება გერმანიაში	65
სოციალურ მედიაში განხორციელებული ცილისწამება და უფლების დაცვის საშუალებები ქართულ სასაპარტელო პრაქტიკაში	88
ბლოკაინი და სისხლის სამართალი – გამოწვევები და შანსები.....	100
კიბერ-ბრუნინგი გერმანიაში და ევროკავშირში	118
კიბერ-ადევნების დასაბდობა გერმანიაში	134
ადევნება ქართულ სისხლის სამართალში	145

RECHTSSTAATLICHKEIT UND UNABHÄNGIGKEIT DER JUSTIZ	157
DAS VERHÄLTNIS VON STRAFRECHT UND MEINUNGS- BZW. VERSAMMLUNGSFREIHEIT BEI POLITISCHEN DEMONSTRATIONEN IN DEUTSCHLAND	169
MEINUNGSFREIHEIT IN GEORGIEN – GRAUZONEN EINES STARKEN VERFASSUNGSMÄSSIGEN SCHUTZES	193
SOZIALE NETZWERKE UND MEINUNGSFREIHEIT IN DEUTSCHLAND	203
EHRVERLETZUNGEN IN SOZIALEN MEDIEN UND RECHTSSCHUTZMECHANISMEN IN DER GEORGISCHEN GERICHTSPRAXIS	221
BLOCKCHAIN UND STRAFRECHT – HERAUSFORDERUNGEN UND CHANCEN	231
CYBERGROOMING IN DEUTSCHLAND UND IN DER EU	247
STRAFBARKEIT DES CYBERSTALKINGS IN DEUTSCHLAND	260
NACHSTELLUNG IM GEORGISCHEN STRAFRECHT	270

კანონის უზენაესობა და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა ¹

პროფ. დოქ. ვერნერ შრიოდერი, ინსბრუკის უნივერსიტეტი

I. მოსამართლის დამოუკიდებლობის მნიშვნელობა ევროპაში

*„სასამართლოს დამოუკიდებლობა არის თანამედროვე
სამართლებრივი სახელმწიფოს არსებითი ნიშანი“.²*

სასამართლოს დამოუკიდებლობა თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს მონაპოვარია, რომელშიც მოსამართლე გვევლინება არა მმართველი თუ რომელიმე მხარის/პოლიტიკური პარტიის საყვირად, არამედ, ხელისუფლების დანაწილების გადმოსახედიდან, კანონის განმარტებისა და გამოყენების მიუკერძოებელ და მეთოდურად კორექტულ ავტორად.³

მოსამართლის დამოუკიდებლობის საკითხი განიხილება წინამდებარე სტატიაში ევროპული პერსპექტივიდან, რამეთუ ეს გონივრულია გერმანიასა და საქართველოს შორის სამართალშედარებითი თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლის დამოუკიდებლობა ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში გარანტირებულია კონსტიტუციურ-სამართლებრივად (მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის 97-ე მუხლი), ამ პრინციპის ძირითად პარამეტრებს მაინც განსაზღვრავს ევროპული სამართალი. გერმანია არის ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფო, ასევე ევროპის საბჭოს წევრი და, შესაბამისად, მიერთებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა

1 მოხსენების წერილობითი ვერსია, რომელიც სტატიის ავტორმა წაიკითხა 2022წ. 11 ნოემბერს თბილისში გამართულ „ქართულ-გერმანულ სამართლებრივ დიალოგზე: სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები“, საქართველოს უნივერსიტეტი, თბილისი.

2 *Säcker*, Richterliche Unabhängigkeit – Der Kern der Gewaltenteilung, NJW 2018, 2375, 2375.

3 მოსამართლის დამოუკიდებლობის ძირითადი საფუძვლები: *Tiede*, Judicial Independence: Often Cited, Rarely Understood, Journal of Contemporary Legal Issues, 129.

დაცვის ევროპულ კონვენციაზე. საქართველო კი, როგორც ევროსაბჭოს წევრი, ანალოგიურად მიერთებულია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე და სურს ასევე ევროკავშირში გაწევრება.

ძალიან მოკრძალებული და მწირია ევროპული სამართლის გამონათქვამები „სასამართლო დამოუკიდებლობაზე“. ევროსაბჭოს წესდების მე-3 მუხლი საუბრობს „სამართლის უპირატესობაზე“, ხოლო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი კი ანესრიგებს „საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ“ პრინციპს. ევროკავშირის სამართალში კანონის უზენაესობა, როგორც ძირითადი ღირებულება, გამყარებულია ევროკავშირის ხელშეკრულების (EUV) მე-2 მუხლში.⁴ ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლის თანახმად კი, კანდიდატმა ქვეყანამ უნდა გაითვალისწინოს ეს ღირებულებები და ხელი შეუწყოს მათ დანერგვას. ევროკავშირის ხელშეკრულების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ეფექტური სამართლებრივი დაცვა „ევროკავშირის სამართლით მოცულ სფეროებში“.⁵ ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის (GRCh) 47-ე მუხლი კი უზრუნველყოფს „ქმედითი და ეფექტური გასაჩივრების უფლებას“ დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს მიერ.⁶ საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმებაშიც საუბარია სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაზე (მე-4 მუხლის მოთხოვნაა, „...განაგრძონ პროგრესი სასამართლო და სამართლებრივი რეფორმის კუთხით, რათა გარანტირებულ იქნეს სასამართლოს დამოუკიდებლობა...“, მე-13 მუხლი კი განსაზღვრავს: „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში თანამშრომლობისას, მხარეები განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებენ კანონის უზენაესობის შემდგომ ხელშეწყობაზე, მათ

4 სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ევროკავშირის ძირითად ღირებულებად ჩამოყალიბებაზე იხ. *Giegerich*, Die Unabhängigkeit der Gerichte als Strukturvorgabe der Unionsverfassung und ihr effektiver Schutz vor autoritären Versuchungen in den Mitgliedstaaten, ZEuS 2019, 61, 64 ff.

5 ამასთან დაკავშირებით იხ. *Payandeh*, Das unionsverfassungsrechtliche Rechtsstaatsprinzip, JuS 2021, 481, 483.

6 ამასთან დაკავშირებით იხ. *Payandeh* (Rn. 4), 482-ე და შემდგომ გვერდები.

შორის, სასამართლოს დამოუკიდებლობაზე, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასა და სამართლიანი სასამართლოს უფლებებზე“).

II. მოსამართლის დამოუკიდებლობის მინიმალური ევროპული სტანდარტი

მოსამართლის დამოუკიდებლობა, როგორც კანონის უზენაესობის ნაწილი და ძირითადი უფლება, უკვე მრავალი ათწლეულია, დაცულია ევროსაბჭოსა და ევროკავშირში. ეს ტრადიცია დამკვიდრდა მთელს ევროპაში 1990 წლის შემდეგ. თუმცა, ბოლო პერიოდში, ევროპულ სახელმწიფოებში, მიმდინარეობს თავდასხმა მოსამართლის დამოუკიდებლობაზე, რომელსაც ახორციელებენ ამ სახელმწიფოების მთავრობები თუ პარლამენტები. „კანონის უზენაესობის დეგრადაცია“ („rule of law backsliding“),⁷ ანუ, სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტების რეგრესი, გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, მოსამართლეთა დანიშვნაზე, დანიშნულებაზე, დისციპლინურ დევნასა და გადაყვანაზე მასიური პოლიტიკური ზეგავლენის/ჩარევის სახით. პირველ რიგში, იგულისხმება პოლონეთი, რომელმაც, 2015 წლიდან მოყოლებული, განახორციელა სხვადასხვა სახის ე.წ. „სასამართლო რეფორმა“⁸ – ვითომდა მართლმსაჯულების სფეროს კომუნისტური მოსამართლეებისაგან გასათავისუფლებლად. კერძოდ, სხვადასხვა სახის ახალი კანონებით, რომლებიც ეხება საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების დაკომპლექტების წესს; უზენაეს სასამართლოში სადისციპლინო პალატის ჩამოყალიბებას. ამ უკანასკნელს აქვს მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვისა და მათი სხვა პალატებზე დელეგირებისა და მოსამართლეთა დისციპლინური

7 *Pech/Scheppele*, *Illiberalism Within: Rule of Law Backsliding in the EU*, CYELS 2017, 3, 5.

8 ამასთან დაკავშირებით იხ. *Pech*, *7 Years Later: Poland as a Legal Black Hole*, *VerfBlog*, 2023/1/17, <https://verfassungsblog.de/7-years-later-poland-as-a-legal-black-hole/>; *Pech*, *Protecting Polish Judges from Political Control: A brief analysis of the ECJ's infringement ruling in Case C-791/19 (disciplinary regime for judges) and order in Case C-204/21 R (muzzle law)*, *VerfBlog*, 2021/7/20, <https://verfassungsblog.de/protecting-polish-judges-from-political-control/>; *Pech/Wachowicz/Mazur*, *1825 Days Later: The End of the Rule of Law in Poland (Part I)*, *VerfBlog*, 2021/1/13, <https://verfassungsblog.de/1825-days-later-the-end-of-the-rule-of-law-in-poland-part-i/>; *Burst*, *Die polnischen Justizreformen ab 2015: Eine Analyse auf Grundlage der EMRK*, *StudZR Wissenschaft Online* 2022, 139, 140 ff.

დევნის უფლებამოსილება. თუმცა, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა დიდ რყევებს განიცდის ასევე უნგრეთსა და რუმინეთშიც.

როგორ რეაგირებს ევროპა, ანუ, ევროსაბჭო და ევროკავშირი ამ პროცესებზე? უპირველეს ყოვლისა, პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო სისტემებისა და კონსტიტუციური მართლწესრიგის სიმრავლის გამო, ევროპაში გართულებულია ერთიანი მასშტაბების ჩამოყალიბება, რომელთა საფუძველზეც მოხერხდებოდა იმის შეფასება, არის თუ არა საფრთხის ქვეშ კონკრეტული ქვეყნის მოსამართლის დამოუკიდებლობა. მართლაც უდიდესი განსხვავება არსებობს „დამკვიდრებულ“ და „ახალი“ ევროპული სამართლებრივი სახელმწიფოების სასამართლო სისტემებს შორის, ანუ, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.⁹ ევროპული სამართალი, მოსამართლის დამოუკიდებლობის დასაცავად, შემოიფარგლება მხოლოდ მინიმალური სტანდარტების განსაზღვრით. წევრ სახელმწიფოებს რჩებათ სასამართლო სისტემის სხვადასხვაგვარად მოწყობის დისკრეცია, რომელიც მათ გააჩნიათ ეროვნული კონსტიტუციური წესრიგის ფარგლებში. ყოველივე ეს დაცული და მოწესრიგებულია ევროკავშირის ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით. სამართლებრივი სახელმწიფოს ევროპული პრინციპი არ აკისრებს წევრ სახელმწიფოებს გარკვეული სასამართლო მოდელის დანერგვის ვალდებულებას.¹⁰

და ბოლოს, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ეს მინიმალური ევროპული სტანდარტი არის ევროპული სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის შედეგი. კერძოდ, ეს გახლავთ სტრასბურგში მდებარე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და ლუქსემბურგში მდებარე მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო.¹¹ ორივე სასამართლო ჩამოყალიბდა გასულ წლებში, როგორც ევროპაში მოსამარ-

9 Sanders, Richterliche Unabhängigkeit in Europa – aktuelle Entwicklungen, DRIZ 2021, 280, 280.

10 Giegerich (Rn. 3), 73; იხ. ასევე Czerniak, The (lack of) consequences of reasonable doubts on the independence of the judiciary system on cooperation in criminal matters in the EU, Revista Brasileira de Direito Processual Penal 2022, 85, 91.

11 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო პრაქტიკის ურთიერთქმედებაზე იხ. Spano, The rule of law as the lodestar of the European Convention on Human Rights: The Strasbourg Court and the independence of the judiciary, ELJ 2021, 211, 223 ff.

თლის დამოუკიდებლობის გარანტი.¹² ამასთანავე, შეინიშნება ევროსაბჭოს, ანუ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სახით, მოქმედი სამართლებრივი სტანდარტების ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის ტენდენცია. ევროსაბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა და იმ სახელმწიფოებმა, რომელთაც სურთ ევროკავშირში შესვლა (მაგალითად, საქართველო), ისედაც უნდა მოახდინონ ევროკავშირის მოთხოვნის – სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

III. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის პრინციპი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს: „ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია, გონივრულ ვადაში, მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით, კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია განასხვავებს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ორ ძირითად ნიშანს: (1) დამოუკიდებლობა ვრცელდება სასამართლოს, როგორც ხელისუფლების ერთ-ერთი შტოს, სხვა სახელისუფლებო შტოებთან ურთიერთქმედებაზე, ანუ, გარე ზეგავლენისაგან დაცვაზე; (2) იმავდროულად, მიუკერძოებლობა მოითხოვს სასამართლოს დისტანცირებას მოდავე მხარეებისა და დავის საგნისაგან. სასამართლოს დამოუკიდებლობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა შემონმდეს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან,¹³ ასევე საკანონმდებლო ხელისუფლებასთან ურთიერთქმედების კუთხით.¹⁴ სასამართლოს წევრების დანიშვნა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ

12 *Jelić/Kapetanakis*, European Judicial Supervision of the Rule of Law: The Protection of the Independence of National Judges by the CJEU and the ECtHR, HJRL 2021, 45, 57.

13 EGMR, 18. 10. 2018 – Thiam/FRA, Nr. 80018/12, Z. 71 ff.

14 *Grabenwarter/Pabel*, Europäische Menschenrechtskonvention, 7. Aufl. 2021, § 24 Rdn. 35.

არ ეწინააღმდეგება მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპს, იმ შემთხვევაში, თუ თითოეული მოსამართლე დამოუკიდებლად, მითითებების გარეშე, შეასრულებს მასზე ნაკისრ ვალდებულებებს.¹⁵ დანიშვნის პროცესში აღმასრულებელი ხელისუფლების ჩართულობა ავტომატურად არ წარმოშობს მოსამართლეთა დამოუკიდებულებასა და მორჩილებას.¹⁶ ასევე, შეიძლება ითქვას, რომ დანიშვნის გადაწყვეტილების პარლამენტზე დელეგირება აპრიორი არ იცავს მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპს. სასამართლოს დამოუკიდებლობა კი მეტწილად დამოკიდებულია უფლებამოსილების ვადასა და გათავისუფლების დაუშვებლობაზე. შესაძლოა, მოსამართლის უფლებამოსილება არ იყოს უვადო, თუმცა ეს უნდა იყოს ის პერიოდი, რომელიც უზრუნველყოფს გარკვეულ სტაბილურობას.¹⁷ გადამწყვეტი კრიტერიუმია სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის დე იურე და დე ფაქტო უზრუნველყოფა.¹⁸

მოსამართლის უფლებამოსილების ვადის მოქმედების ფარგლებში, მოსამართლის გათავისუფლება დასაშვები შეიძლება იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, განსაკუთრებული გარემოებებისა თუ მიზეზების არსებობისას, რომლებიც განსაზღვრულია ზუსტად ჩამოყალიბებული ფაქტობრივი გარემოებების სახით.¹⁹ მართალია, ძირითადად, დასაშვებია „ლუსტრაციის წარმოება“, ანუ, ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში, სასამართლო სისტემის დეკომუნიზაცია, თუმცა, მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული მოსამართლეების მიმართ გონივრული მომწესრიგებელი ნორმების არსებობის შემთხვევაში.²⁰ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა უზრუნველყოფადია ასევე მოსამართლის საქმიანობითაც. ამდენად, მოსამართლე აბსოლუტურად თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი დიქტატისაგან.²¹

15 EGMR 28. 6. 1984 – Campbell u. Fell/UK, Nr. 7819/77, Z. 79.

16 *Czerniak* (სქოლიო 9), 94.

17 EGMR – Campbell u. Fell/UK, (Rn. 14), Z. 80.

18 *Spano* (სქოლიო 10), 218 f.; ამასთან დაკავშირებით იხ. ასევე *Melton/Ginsburg*, Does De Jure Judicial Independence Really Matter?: A Reevaluation of Explanations for Judicial Independence, *Journal of Law and Courts* 2014, 187.

19 EGMR, 21. 7. 2009 – Luka/ROM, Nr. 34197/02, Z. 44.

20 EGMR, 24. 4. 2007 – Matyjek/POL, Nr. 38184/03, Z. 55 ff.; პოლონეთის ლუსტრაციის კანონთან დაკავშირებით იხ. ასევე *Burst* (Rn. 7), 147 f.

21 EGMR – Campbell u. Fell/UK, (Fn. 14), Z. 78.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი წარმოადგენს ძირითად უფლებას: აღნიშნული ნორმის გამოყენება დასაშვებია ასევე ინდივიდუალური საჩივრის წარსადგენად. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ არის მაინცდამაინც ქმედითი დოკუმენტი, ცალკეულ სახელმწიფოებში კანონის უზენაესობის მხრივ არსებული სისტემური პრობლემების მიმართ სანქციების განსახორციელებლად. ამას გარდა, სამართალწარმოების გაჭიანურება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განაპირობებს იმას, რომ ინდივიდუალური ბიანის ანაზღაურების შემთხვევებში, ხშირად შეუძლებელია გარკვეული ცვლილებების (მაგალითად, მოსამართლის სხვაგან გადაყვანა და გათავისუფლება) თავიდან აცილება.²² აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მაგალითად, პოლონეთი უარს აცხადებს, ე.წ. „სასამართლო რეფორმებთან“ დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე. აქაც ვლინდება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციას მხოლოდ შებლუდულად ხელეწიფება „კანონის უზენაესობის დეგრადაციის“ (სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის კონტექსტში) თავიდან აცილება.

IV. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის პრინციპის ასახვა ევროკავშირის სამართალში

ევროკავშირის სამართალი უფრო მეტად ეფექტურია, ვიდრე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მხოლოდ იმიტომ, რომ ის დგას ეროვნულ კონსტიტუციურ სამართალზე მაღლა, გამოიყენება რა საკუთარი ინიციატივით, როგორც წესი, პირდაპირ ეროვნული პარლამენტის, სასამართლოსა და კომპეტენტური უწყებების მიერ.²³ ამას გარდა, ევროკავშირის გააჩნია მთელი რიგი ინსტრუმენტებისა, რათა მოახდინოს ცალკეული დარღვევების სანქცირება წევრი სახელმწიფოების მიერ სხვადასხვა სახით (ევროკავშირის ხელშეკრულების მე-2 მუხლი – „კანონის უზენაესობა“,

22 Sanders (სქოლიო 8), 281.

23 ამასთან დაკავშირებით იხ. Schroeder, Grundkurs Europarecht, 7. Aufl. 2021, § 5 Rdn. 14 ff. und 25 ff.

მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტი - „ეფექტური უფლებადაცვა“, ასევე ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის 47-ე მუხლი – „ეფექტური გასაჩივრების უფლება“ კანონის საფუძველზე შექმნილი, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ) უზრუნველყოფილი მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპის წყალობით.

მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ პირველად 2018 წელს იმსჯელა ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს მხრიდან სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაში ჩარევამ და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება (Rs. C-64/16, ASJP²⁴). პორტუგალიელმა კანონმდებელმა მაშინ დროებით, თუმცა მასიურად, განახორციელა მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოს შემცირება, სახელმწიფო საბიუჯეტო დეფიციტის აღმოსაფხვრელად. პორტუგალიელ მოსამართლეთა პროფკავშირებმა აღძრა სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლოში აღნიშნული ცვლილების წინააღმდეგ და განაცხადა, რომ ეს ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულებებით უზრუნველყოფილი მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპს. მართლმსაჯულების სასამართლომ თავისი „საკვანძო გადაწყვეტილება“²⁵ შემდეგნაირად დაასაბუთა: ევროკავშირის ხელშეკრულების მე-2 მუხლით უზრუნველყოფილი კანონის უზენაესობის პრინციპი განეკუთვნება ევროკავშირის იმ ძირითად ღირებულებებს, რომლებსაც იზიარებს ყველა წევრი სახელმწიფო;²⁶

ევროკავშირი არის ყოვლისმომცველი სასამართლო უფლებადაცვის მქონე სამართლებრივი კავშირი/გაერთიანება (ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის 47-ე მუხლი);²⁷

ევროკავშირის ხელშეკრულების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მეორე ქვეპუნქტი, რომლითაც ხდება კანონის უზენაესობის ძირითადი ღირებულების დაკონკრეტება (ევროკავშირის ხელშეკრულების მე-2 მუხლი), ახდენს უფლებადაცვის ამ კომპეტენციის დელეგირებას ეროვნულ სასა-

24 EuGH – Associação Sindical dos Juízes Portugueses, Rs. C-64/16, ECLI:EU:C:2018:117; ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშ. იხ. ასევე *Jelić/Kapetanakis* (Fn. 11), 48 f.

25 *Giegerich* (Fn. 3), 74.

26 EuGH – Associação Sindical dos Juízes Portugueses (Fn. 23), Rdn. 30.

27 EuGH – Associação Sindical dos Juízes Portugueses (Fn. 23), Rdn. 31.

მართლობე, მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოსთან ერთად²⁸ და ბოლოს, ეფექტური უფლებადაცვის წინაპირობაა სასამართლოს დამოუკიდებლობა, რის გამოც წევრმა სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მის ჩამოყალიბებაზე.²⁹

საბოლოოდ, სასამართლომ არ გაიზიარა ის მოსაზრება, რომ თითქოსდა ხელფასების დროებითი შემცირება საფრთხის ქვეშ აყენებდა პორტუგალიელ მოსამართლეთა დამოუკიდებლობას. გადაწყვეტილების განსაკუთრებული მნიშვნელობა კი მდგომარეობს იმაში, რომ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს მოსამართლის დამოუკიდებლობის ფუნდამენტალურ მნიშვნელობას ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების კანონის უზენაესობის უზრუნველსაყოფად (ევროკავშირის ხელშეკრულების მე-2 მუხლი). გარდა ამისა, სასამართლო მიუთითებს სასამართლოს დამოუკიდებლობას, ევროკავშირის ხელშეკრულების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტსა და ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის 47-ე მუხლში გამყარებულ ეფექტური უფლებადაცვის პრინციპის უზრუნველყოფას შორის ურთიერთკავშირზე, აცხადებს რა, რომ ეფექტური უფლებადაცვა უზრუნველყოფა დია მხოლოდ დამოუკიდებელი სასამართლოს მეშვეობით.³⁰

V. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის მნიშვნელობა ევროკავშირის სამართალში

ევროკავშირის ხელშეკრულების მე-2 მუხლი და მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტისა და ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის 47-ე მუხლის ერთმანეთთან კომბინირება ზრუნავს იმაზე, რომ მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპი არა მხოლოდ თითოეული ინდივიდის ძირითადი კონსტიტუციური უფლებაა, არამედ წევრი სახელმწიფოების ობიექტური ვალდებულებაცაა,³¹ რომელიც უფრო მარტივად

28 EuGH – Associação Sindical dos Juizes Portugueses (Fn. 23), Rdn. 32.

29 EuGH – Associação Sindical dos Juizes Portugueses (Fn. 23), Rdn. 41.

30 *Czerniak* (Fn. 9), 90.

31 *Payandeh* (Fn. 4), 483.

და ეფექტურად განხორციელებაღია, ვიდრე ეს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციით არის შესაძლებელი. კერძოდ, ევროკომისია უფლებამოსილია დაიწყოს ცალკეული წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ ხელშეკრულების დარღვევის გამო საქმისწარმოება (ევროკავშირის საქმიანობის წესის ხელშეკრულების (AEUV) 258-ე მუხლი). ამას გარდა, მნიშვნელოვანია ასევე მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, განსაკუთრებით კი, წინარე გადაწყვეტილებების სახით, რომელთა ინიცირება ხდება ეროვნული სასამართლოს მიმართვის საფუძველზე (ევროკავშირის საქმიანობის წესის ხელშეკრულების 267-ე მუხლი). მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო ასევე ხაზს უსვამს მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპის გადამწყვეტ მნიშვნელობას ევროკავშირის უფლებადაცვის მთლიანი სისტემის კონტექსტში. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები.

წევრი სახელმწიფოების მხრიდან კანონის უზენაესობის მიმართ ორმხრივი ნდობა უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა წევრი სახელმწიფოების მართლმსაჯულების ორგანოებს შორის სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის გასაძლიერებლად (მაგალითად, 2002/584/JI ჩარჩო-გადაწყვეტილების საფუძველზე, დაპატიმრების ევროპული ბრძანების აღსასრულებლად).³² როგორც ცნობილია, რომელიმე წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული დაპატიმრების ევროპული ბრძანება, როგორც წესი, ორმხრივი ურთიერთალიარების პრინციპის საფუძველზე, ექვემდებარება აღსრულებას ყველა დანარჩენ წევრ სახელმწიფოში. აღსრულების ეს ავტომატიზმი შეიძლება ძალადაკარგულად გამოაცხადოს მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ „ექსტრაორდინალური გარემოებების“³³ არსებობისას (თუმცა, 2002/584/JI ჩარჩო-გადაწყვეტილების სიტყვა-სიტყვითი შინაარსი არ იძლევა ამის საშუალებას).

იგივე წესი მოქმედებს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად (Rs. C-216/18 PPU LM)³⁴, ასევე, როცა დაპატიმრების ევროპული ბრძანების გამცემი სახელმწიფო თავადვე არღვევს მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა

32 ABI. EU L 190 v. 18.7.2002, S. 1.

33 EuGH – LM, Rs. C-216/18 PPU, ECLI:EU:C:2018:586, Rdn. 73.

34 EuGH – LM (Fn. 32).

აქვს კანონის უმენაესობის ღირებულების დასაცავად. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში საუბარია დაპატიმრების ევროპული ბრძანების აღსრულებაზე, რომელიც გასცა პოლონურმა სასამართლომ ირლანდიაში დაკავებული პირის მიმართ, მათ შორის, ნარკოვაჭრობის ბრალდებით. დაკავებულმა პირმა განაცხადა, რომ მას პოლონეთში განხორციელებული „სასამართლო რეფორმის“ გამო, სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დარღვევის საფრთხე ემუქრებოდა. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, დაპატიმრების ევროპული ბრძანების ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპი შეიძლება გაუქმდეს და ძალადაკარგულად გამოცხადდეს მაშინ, როდესაც დაპატიმრების ბრძანების გამომცემ სახელმწიფოში, არა უბრალოდ არსებობს სამართლებრივი სახელმწიფოს სისტემატური ხარვეზები (როგორც ეს დანამდვილებით ხდება პოლონეთში), არამედ ცალსახად არსებობს რეალური საფრთხე, რომ კონკრეტული დაინტერესებული პირის ძირითადი უფლება შეიძლება დაირღვეს მოცემულ შემთხვევაში, რაც საჭიროებს კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების საფუძვლიანად გადამოწმებას.³⁵ ვინაიდან ყოველივე საკმაოდ რთული დასამტკიცებელია, სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის სისტემატური დარღვევა, მხოლოდ გამონაკლისის სახით, აისახება დაპატიმრების ევროპული ბრძანების აღსრულებაზე.

VI. მოსამართლის დამოუკიდებლობის კრიტერიუმები ევროკავშირის სამართალში

მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ შეიმუშავა (აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე) მთელი რიგი კრიტერიუმებისა, რომლებიც გადამწყვეტია მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. სასამართლოს აზრით, დამოუკიდებლობის წინაპირობაა, უპირველეს ყოვლისა, რომ აღნიშნულმა დაწესებულებამ სრული ავტონომიით განახორციელოს სასამართლო ფუნქციები, ისე, რომ იერარქიულად არ უკავშირდებოდეს ან ექვემდებარებოდეს რო-

35 EuGH – LM (Fn. 32), Rdn. 61 და 68; იხ. ასევე *Czerniak* (Fn. 9), 97 ff. და *Giegerich* (Fn. 3), 97 ff.

მელიმე სხვა უწყებას, არ იღებდეს რომელიმე უწყებიდან მითითებებსა თუ განკარგულებებს, დაცული იყოს რაიმე სახის ჩარევისა ან ზეგავლენისაგან, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მისი წევრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების დამოუკიდებლობას.³⁶

მოსამართლეთა პენსიაზე გაშვების საყოველთაო იძულება (საპენსიო ასაკის დაწვეით, როგორც ეს მოხდა პოლონეთში) ეწინააღმდეგება სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპს, მეტადრე, როდესაც ყოველივე ხორციელდება სასამართლო სისტემის რეფორმის შემდგომი რეგულაციების კონტექსტში. ამის შედეგად, პოლონეთის პრეზიდენტს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, გადაწყვიტოს, თუ რომელმა მოსამართლემ, საპენსიო ასაკის მიღწევის მიუხედავად, შეიძლება გააგრძელოს სამოსამართლო საქმიანობა.³⁷

ყოველად დაუშვებელია უზენაეს სასამართლოში იმგვარი დისციპლინური პალატის ჩამოყალიბება, რომელსაც აქვს მოსამართლეთა გათავისუფლების კომპეტენცია, თუმცა იმავდროულად თავად არ არის დამოუკიდებელი ორგანო, ექვემდებარება რა პოლონეთის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების დიქტატს. მეტადრე, როდესაც მოსამართლეებს, არ აქვთ დისციპლინური პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და დაკისრებული დისციპლინური ზომების გასაჩივრების უფლება.³⁸

მოსამართლის სხვა სასამართლოში მისი ნების საწინააღმდეგო გადაყვანამაც შეიძლება დაარღვიოს მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპი. ეს შეიძლება იქცეს სასამართლო გადაწყვეტილებების შინაარსობრივი კონტროლის საშუალებად, რამეთუ ამას შეიძლება ჰქონდეს სერიოზული ზეგავლენა მოსამართლის ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაზე, მათ შორის, დისციპლინური სახდელის დაკისრების სახით. მსგავსი გადაწყვეტილება უნდა მიიღებოდეს მხოლოდ დასაბუთებულ შემთხვევებში და უნდა იყოს გასაჩივრებადი. ამასთან, გადამწყვეტია აღნიშნული ღონისძიების ფონი. მაგალითად, მოსამართლის სხვაგან გადაყვანა ეწინააღმდეგება მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპს იმ

36 EuGH – Associação Sindical dos Juízes Portugueses (Fn. 23), Rdn. 44.

37 EuGH – Kommission/Polen, Rs. C-619/18, ECLI:EU:C:2019:531, Rdn. 124.

38 EuGH – Kommission/Polen, Rs. C-791/19, ECLI:EU:C:2021:596, Rdn. 235.

შემთხვევაში, თუ ეს არის რეაქცია მოსამართლის მხრიდან რაიმე სახის კრიტიკულ გამონათქვამებზე.³⁹

VII. მოსამართლის დამოუკიდებლობის გაზომვა ევროკავშირის სამართალში

2020 წლიდან ევროკავშირში არსებობს ევროკომისიის კანონის უზენაესობის ანგარიში,⁴⁰ რომელიც შეიცავს წევრი სახელმწიფოების ოთხი საკვანძო სფეროს კანონის უზენაესობის ანალიზს, მათ შორის, სასამართლო სისტემის სფეროში. 2022 წლის ანგარიშში ასახულია ცალკეული წევრი სახელმწიფოებისათვის სპეციფიური რეკომენდაციები. ანგარიშის მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება ცალკეულ სახელმწიფოებში განხორციელებულ ან დაგეგმილ სასამართლო რეფორმებს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად. მაგალითად, სასამართლო სფეროში გაუმჯობესებული დანიშვნის/შერჩევის პროცედურის ან პროკურატურის ავტონომიის გასაძლიერებლად. სწორედ ამიტომ, გერმანიაზე უნდა ითქვას, რომ აუცილებელია რეფორმის განხორციელება იუსტიციის მინისტრების მიერ პროკურორებისათვის, ცალკეულ შემთხვევებში, მითითებების მიცემის უფლებამოსილების საკითხსა⁴¹ და დამატებითი საკადრო რესურსების სასამართლოს სისტემისათვის გამოყოფის აუცილებლობაზე.⁴²

როგორია საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებული მდგომარეობა? როგორც ცნობილია, საქართველომ 2022 წლის მარტში შეიტანა ევროკავშირში განწერიანების განაცხადი, 2022 წლის ივნისში კი ევროკომისიამ გადადო აღნიშნული საკითხის განხილვა. ეს გადაწყვეტილება ეფუძნება საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში არსებული მდგომარეობის კვლევას. სწორედ ამიტომ, საქართველო მხოლოდ მას შემდეგ მიიღებს კანდიდატის სტატუსს, როდესაც გაუმჯობესდება კანონის უზენაესობის მდგომარეობა. ევროკომისია, მის უკანასკნელ დასკვნაში,

39 EuGH – W.Z., Rs. C-487/19, ECLI:EU:C:2021:798, Rdn. 114 ff.

40 ამასთან დაკავშირებით იხ. ასევე *Payandeh* (Fn. 4), 489.

41 SWD (2022) 505 final, 13. 7. 2022, S. 6.

42 SWD (2022) 505 final (Fn. 40), S. 3.

აქებს საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმებს, თუმცა, ჯერ კიდევ ხედავს პრობლემებს, რამეთუ „სასამართლო რეფორმების პროგრესი და მათი განხორციელება (...) შეიძლება შეფერხდეს, და (...) შეინიშნება გარკვეული რეგრესი. (...) საქართველოს 2020 წლიდან ჯერ კიდევ არ მიუღია სასამართლო რეფორმების სტრატეგიული ჩარჩო-დოკუმენტი.“⁴³

საქართველოს სასამართლო სისტემის სხვადასხვა სფეროში არსებობს ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების წესი, შემთხვევითობის პრინციპით საქმეთა განაწილების წესი, პროკურორების დანიშვნის წესი, მოსამართლეთა და პროკურორთა საშტატო ერთეულების რაოდენობა. საქართველოს სასამართლო სისტემის საკადრო აღჭურვა, ევროპულ საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით, არის საშუალოზე დაბალნიშნულზე (მხოლოდ 9 მოსამართლე და 12 პროკურორი საქართველოს 100 000 მოსახლეზე).⁴⁴ აუცილებელია ამის სათანადოდ გაგება და აღქმა, რათა, დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ, უზრუნველყოფილ იქნეს ეფექტური უფლებადაცვა.

VIII. შეჯამება

ეროვნული კონსტიტუციები მეტწილად განსაზღვრავენ მოსამართლის დამოუკიდებლობის მხოლოდ მინიმალური დაცვის სტანდარტს გათავისუფლების დაუშვებლობისა და მითითებებისგან თავისუფლების ფორმით. ევროკავშირის სამართალსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში შეინიშნება ევროპული სასამართლო მოწყობის სამართლის წანამდგრები, რომელიც ერთმნიშვნელოვნად აუზღოებს მოსამართლის დამოუკიდებლობის დაცვის სტანდარტს. ევროპული სასამართლო ორგანოები – მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო – მხოლოდ იმ შემთხვევაში „ხუჯავენ თვალს“ სახელმწიფოს მხრიდან სასამართლო სისტემაში ჩარევამდე, თუ არსებობს ამის დასაბუთებული ფაქტობრივი გარემოებები,

43 COM (2022) 405 final, 17. 6. 2022, S 8.

44 COM (2022) 405 final (Fn. 42), S 8 f.

რომლებიც მკაფიოდ და გონივრულადაა ფორმულირებული და როდესაც არსებობს, მსგავსი ღონისძიებების მიმართ, სასამართლოსმიერი ეფექტური უფლებადაცვა.

მართლმსაჯულების საექვო რეფორმებთან დაკავშირებულმა საქმისწარმოებებმა ისეთ ქვეყნებში, როგორცაა, მაგალითად, პოლონეთი, ცხადყო, რომ მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა ხშირად სამართლებრივი კულტურის საკითხია. საბოლოოდ, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ვლინდება მოსამართლეებთან პრაქტიკაში დაკავშირებული სიტუაცია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიმართ.⁴⁵ ეს ვლინდება, მაგალითად, იმგვარად, რომ გერმანიასა და პოლონეთში, ფორმალურად არსებობს მოსამართლეთა დანიშვნის/შერჩევის ანალოგიური პროცედურა, თუმცა, დგება სრულიად განსხვავებული შედეგები.

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო კარგად აცნობიერებს აღნიშნულ პრობლემას. კერძოდ, ევროპული სასამართლოს ხედვით (საქმე Rs. C-272/19, ჰესენის ფედერალური მიწა), მხოლოდ ის გარემოება, რომ გერმანიაში მოსამართლეთა დანიშვნასა და დაწინაურებას ახორციელებენ ფედერალური მიწების იუსტიციის სამინისტროები, ანუ, რომ სწორედ აღმასრულებელი ხელისუფლების შტო არის დაკავებული მოსამართლის დანიშვნითა თუ დაწინაურებით, ავტომატურად არ ადასტურებს მოსამართლის დამოუკიდებულებას, თუ კონკრეტული, მოსამართლის თანამდებობაზე დანიშნული პირი, დანიშვნის შემდგომ, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას, სრულად თავისუფალია რაიმე ტიპის ბეწოლისა თუ მითითებისგან.⁴⁶

აუცილებელია „ცალკეული ფაქტორების საერთო შეფასება/ურთიერთშეჯერება, რომლებმაც ერთობლივად შეიძლება შეუწყონ ხელი“, მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ, სამართლიანი ეჭვის არსებობის გაღვივებას.⁴⁷ სწორედ ამიტომ, პოლონეთში, მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურაში, მეტწილად საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებით დაკომპლექტებული იუსტიციის საბჭოს

45 Sanders (Fn. 8), 281.

46 EuGH – Land Hessen, Rs. C-272/19, ECLI:EU:C:2020:535, Rdn. 42 ff.

47 EuGH – X u. Y, Rs. C-562/21 PPU u. C-563/21 PPU, ECLI:EU:C:2022:100, Rdn. 74.

ჩართულობა, აპრიორი სულაც არ ნიშნავს, რომ „არსებობს დასაბუთებული ეჭვი პროცედურის შედეგად დანიშნული მოსამართლეების დამოუკიდებლობის მიმართ“.⁴⁸ ამის საპირისპიროდ, „იგივე გარემოებამ, გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვან სხვა დანარჩენ მოსაზრებებსა და პირობებთან ურთიერთკავშირში, შეიძლება წარმოშვას ამგვარი ეჭვი.“⁴⁹

საბოლოოდ, ყველაზე გადამწყვეტი ფაქტორია ის, თუ რამდენად რეალურად დამოუკიდებლად ახორციელებს მოსამართლე თავის საქმიანობას. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის პრინციპის კონტექსტთან მიმართებით ეს ხედვაც ერთობ პრობლემურია, რამეთუ იგი ართულებს ე.წ. „სასამართლო რეფორმის“ ეფექტურ შეფასებას, როდესაც ეტაპობრივად ხდება სახელმწიფოებში არსებულ მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიებზე აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან ზეგავლენების დამკვიდრება. როგორ და სად უნდა გაავლონ ევროპულმა სასამართლოებმა გარკვეული წყალგამყოფი, როდესაც, სამართლებრივ სახელმწიფოებში, ნაწილობრივ ხდება მოსამართლეთა დაკომპლექტების, დისციპლინური დევნისა და გათავისუფლების დაუშვებლობის ანალოგიური ინსტრუმენტების გამოყენება?⁵⁰ ევროკავშირი ვალდებული იქნება გააძლიერებს ზეწოლა ისეთ სახელმწიფოებზე, თუნდაც როგორცაა გერმანია, რომლებიც თავადვე აღიქვამენ საკუთარ თავს „სანიმუშო მოწაფედ“, მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის კიდევ უფრო გასაძლიერებლად, რათა აღმოიფხვრას მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პოტენციური სუსტი რგოლები.

48 EuGH – X u. Y (Fn. 46), Rdn. 75.

49 EuGH – X u. Y (Fn. 46), Rdn. 75.

50 მოსამართლის თანამდებობაზე დანიშნული პირის, რომელმაც არაერთხელ გამოხატა მემარჯვენე-ექსტრემისტული მოსაზრებები, პენსიაზე გასაშვებად გერმანიის იუსტიციის ორგანოების მიერ (გერმანიის მოსამართლეთა კანონის 31-ე პარაგრაფის მე-3 პუნქტი), „მართლმსაჯულებისათვის მძიმე შედეგების თავიდან ასაცილებლად“, დრეზდენის მეორე ინსტანციის სასამართლო, გადაწყვეტილება 1. 12. 2022, Az. 66 DG 2/22, <https://openjur.de/u/2461062.html>.

**სისხლის სამართლისა და სიტყვისა და შიკრების
თავისუფლების ურთიერთმიმართება გერმანიაში
პოლიტიკური დემონსტრაციების დროს**

პროფ. დოქ. **ფრანკ ციმერმანი**, მიუნსტერის უნივერსიტეტი

I. შესავალი

ჩვენ ვცხოვრობთ დრამატულ პერიოდში. კოვიდპანდემიამ სულ ცოტა ხნის წინ გადაიარა, ახლა კი, რუსეთის უკრაინაზე თავდასხმის შემდეგ, ევროპაში მიმდინარეობს ღია ომი. იმავდროულად დგას ეგზისტენციალური გამოწვევები – მოსალოდნელი კლიმატური კოლაფსი და მთელს მსოფლიოში სახეობების გადაშენება (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით), რომელთა დაძლევაც ადეკვატურად აღინერება ტერმინით „საუკუნის ამოცანა“. ყველა ეს კრიზისული სიტუაცია გვაიძულებს, რადიკალურად შევცვალოთ ჩვენი ცხოვრების სტილი. ყოველივე ეს არ გამოდის საზოგადოებრივი განხილვის გარეშე, რაც ნაწილობრივ მცირე, საჯარო საპროტესტო აქციების სახით, გამოიხატება, ნაწილობრივ კი ხალხმრავალი დემონსტრაციებით. პოლიტიკური სპექტრის კიდემე არსებული ძალები ცდილობენ, ამ უკანასკნელთა მიზანმიმართულად ინსტრუმენტალიზაციას და თავისუფალი, დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს დასამარებას. ამ ფონზე, მით უფრო მნიშვნელოვანია, სისხლის სამართლის სპეციალისტის გადმოსახედიდან, სიტყვის თავისუფლებისა და ცალკეული სისხლისსამართლებრივი დებულების ურთიერთთავსებადობის განხილვა. სიტყვის თავისუფლება გერმანულ სამართალში კონსტიტუციურ-სამართლებრივად დაცულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუცია) მე-5 მუხლის პირველი პუნქტით. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ უამრავი ცალკეული სიტუაცია, სადაც ეს ძირითადი უფლება ეწინააღმდეგება სისხლისსამართლებრივ ნორმებს. ამ აქტუალური გამოწვევების საფუძველზე, ძირითადი აქცენტი გაკეთდება მეტისმეტად მნიშვნელოვან ფოკუსჯგუფზე, კერძოდ, წინა-

მდებარე სტატია კონკრეტულად მიეძღვნება, პოლიტიკური დემონსტრაციების კონტექსტში, სიტყვის თავისუფლებისა და სისხლის სამართლის ერთმანეთთან მიმართებას. ეს კი წარმოშობს იმის აუცილებლობას, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით უზრუნველყოფილი შეკრების თავისუფლების პრინციპთან ერთად, დამატებით განვიხილოთ სხვა ძირითადი უფლება, რამეთუ იქ, სადაც ტარდება პოლიტიკური დემონსტრაციები, როგორც წესი,¹ სახეზეა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონით დაცული შეკრებაც. სიტყვისა და შეკრების თავისუფლების პრინციპები ერთმანეთს ემთხვევა იმ თვალსაზრისით, რომ ეს უკანასკნელი ქმნის სიტყვის კოლექტიური გამოხატვის სივრცესა და შეუძლია თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი საჯარო სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფა.²

II. სიტყვისა და შეკრების თავისუფლებისა და სისხლისსამართლებრივი შემადგენლობების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება

სისხლისსამართლებრივი ნორმებისა და კონსტიტუციურ-სამართლებრივად დაცული ძირითადი გარანტიების ურთიერთქმედების უკეთ აღსაქმელად და გასააზრებლად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ძირითადი უფლებების დოგმატიკის სწორად გაგება. გერმანული გაგებით, პირველ რიგში, მოწმდება დაცული სფეროს (საგნობრივი და პერსონალური) გახსნა. თუ ეს კრიტერიუმი არ არის სახეზე, მაშინ ძირითად უფლებებს იმთავითვე არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა – მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-13 მუხლი იცავს მხოლოდ საცხოვრებელ ბინას და არა კომერციულ ფართებს. ეს საფეხური კონცეპტუალურად ჰგავს სისხლის სამართალში ქმედების შემადგენლობის შემოწმებას. იმ შემთხვევაში, თუ დაცული სფერო გახ-

1 დასაშვებია გამონაკლისი, განსაკუთრებით, როდესაც შეკრება იძენს ძალადობრივ ფორმას და აღარ ჯდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში.

2 BVerfGE 104, 92 (104).

სწილია და სახეზეა ჩარევა, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით, ამაში მოიაზრება, როგორც წესი, ის სახელმწიფო აქტები, რომლებიც უშუალოდ და მიზანმიმართულად ამცირებენ დაცულ თავისუფლებას³. ასეთ დროს ბუნებრივად დგება კონკრეტული ძირითადი უფლების „შებლუდვის“ საკითხი. ამაში იგულისხმება კონკრეტული ძირითადი უფლების შებლუდვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი შესაძლებლობები. იმ შემთხვევაში, თუ პარალელს გავავლებთ სისხლის სამართლის დოგმატიკასთან, ძირითადი უფლებების შებლუდვის მხრივ, დავინახავთ ფუნქციონალურ მსგავსებას ბრალის გამომრიცხველ გარემოებებთან, რომლებიც, გამონაკლისის სახით, დასაშვებად მიიჩნევენ ძირითადი უფლებების დარღვევით განხორციელებულ სახელმწიფო მოქმედებას. ნაწილობრივ, შებლუდვები სწორედ გერმანიის ძირითად კანონშია ცალსახად და მკაფიოდ ასახული, სადაც ძირითადი უფლება პირდაპირ მიბმულია საკანონმდებლო დათქმაზე.⁴ მსგავსი ერთმნიშვნელოვანი შებლუდვის დათქმის გარეშე,⁵ ყოველივე ეს გამომდინარეობს კოლიზიური კონსტიტუციური სამართლიდანაც, კერძოდ, მესამე პირების ძირითადი უფლებებიდან.⁶ ძირითადი უფლებების შებლუდვის ყველა ამ შესაძლებლობამ არ უნდა მიგვიყვანოს იქამდე, რომ ყოველივე შინაარსობრივად გამოცარიელებულ ძირითადი უფლებების შებლუდვა თავადვე ექვემდებარება შებლუდვებს – საუბარი „შებლუდვების შებლუდვებზე“, მათ შორის, თანამომიერების შემოწმებაზე.

1. სიტყვის თავისუფლება, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი

მოდით, პირველ რიგში, დავიწყოთ სიტყვის თავისუფლებით. ამას უზრუნველყოფს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის

3 იხ. BVerfGE 105, 279 (299 f.); იხ. დეტალურად *Jarass/Pieroth*, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, 17. Aufl. 2022, Vor Art. 1 Rn. 26 ff.

4 მაგ., სიცოცხლისა და ორგანიზმის მთლიანობის უფლება, ასევე პიროვნების თავისუფლების უფლება. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 წინადადება.

5 ნათელი მაგალითია რელიგიის თავისუფლება, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

6 ამასთან დაკავშირებით იხ. *Jarass/Pieroth*, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, 17. Aufl. 2022, Vor Art. 1 Rn. 48 ff.

(კონსტიტუცია) მე-5 მუხლის პირველი პუნქტი. აღნიშნული ნორმა ამბობს: „ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, გამოხატოს ან გაავრცელოს თავისი აზრი სიტყვიერი, წერილობითი ან გამოსახულების სხვა ფორმით [...]“

a) დაცული სფერო

დაცული სფეროს დონეზე, სიტყვის თავისუფლების კუთხით, აუცილებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი შეზღუდვის განხორციელება: დაცულია აზრის გამოხატვა და გავრცელება; ანუ, იმგვარი მოსაზრებების, რომლებიც შეიცავს შეფასებით და პერსონალური შეხედულების ელემენტს და არ ხდება მათი მართებულობის და უმართებულობის დადგენა.⁷ ამისგან უნდა გაემიჯნოს ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა სისწორე ან სიმცდარე გადამოწმებადი. მართალია, ისინიც მოიაზრება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში, იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგენენ აზრის ჩამოყალიბების საფუძველს,⁸ თუმცა, დადასტურებულად ან შეგნებულად მცდარი გამონათქვამები და მცდარი ინფორმაციის გავრცელება არ მოიაზრება სიტყვის თავისუფლებით დაცულ სფეროში.⁹ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამას სისხლისსამართლებრივ კონტექსტში, ნაციონალურ-სოციალისტური მმართველობის ქვეშ ჩადენილი გენოციდის, კერძოდ, ჰოლოკოსტის (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცი),¹⁰ ასევე კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე პარაგრაფის მე-5 აბზაცი) ტერიტორიაში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დაცულ სფეროში არ მოიაზრება ასევე გამოხატვის ის ფორმები, რომლებიც არ ეფუძნება სულიერი არგუმენტის დამატებულობის ძალას, არამედ ცდილობს, თავს მოახვიოს საკუთარი აზრი სხვა ადამიანებსა და ამგვარად შეზღუდოს მათი აზრის თავისუფლება.¹¹

7 იხ. მაგ. BVerfGE 7, 198 (210); 90, 241 (247).

8 BVerfGE 61, 1 (8).

9 BVerfGE 54, 208 (219); 61, 1 (8).

10 BVerfGE 90, 241 (249), ბოლო გადაწყვეტილება BVerfG NJW 2018, 2858 (2859 f.).

11 BVerfG NJW 1969, 1161 (1162); *Schulze-Fielitz*, in: Dreier, Grundgesetz-Kommentar,

ბ) შეზღუდვები

სიტყვის თავისუფლება შეუზღუდავად არ არის დაცული გერმანულ სამართალში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ის იზღუდება „ზოგადად კანონებით, მოზარდი-ახალგაზრდობის დამცავი ნორმებითა და პირადი ღირსების უფლებით“. ერთი შეხედვით, ეს ნიშნავს ძალიან ყოვლისმომცველ შეზღუდვას და ეს კარგად ვლინდება სისხლისსამართლებრივად დასჯადი შეურაცხყოფის შემადგენლობებში, რომლებიც ემსახურება პირადი პატივის დაცვას. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, საბოლოოდ, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე პარაგრაფის განმარტებაზე დამოკიდებული, დაცულია თუ არა კონკრეტული გამონათქვამი ძირითადი უფლებებით. ეს პრობლემა განიხილა გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ჯერ კიდევ 1958 წელს, თავის ე.წ. ლიუთის გადაწყვეტილებაში. უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ ხაზი გაუსვა სიტყვის თავისუფლების ძირითად მნიშვნელობას თავისუფალი, დემოკრატიული კონსტიტუციური წეს-წყობილებისათვის: „სიტყვის თავისუფლების ძირითადი უფლება, როგორც საზოგადოებაში ადამიანის პიროვნების უშუალო გამოხატულება, ადამიანის ყველაზე პრიორიტეტული უფლებაა [...]“. ეს არის გადამწყვეტი თავისუფალი, დემოკრატიული წეს-წყობილებისათვის, რამეთუ მხოლოდ ამგვარადაა შესაძლებელი მუდმივი, სულიერი დაპირისპირება, აზრთა ჭიდილი, ცხოვრების სტილის წარმართვა [...]. ეს არის გარკვეულწილად ნებისმიერი თავისუფლების საფუძველი [...].“¹² სწორედ ამიტომ, სიტყვის თავისუფლების ბირთვი ვერ განისაზღვრება ცალმხრივად, იმისდა მიხედვით, თუ რას უშვებს სამართალი: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის რეგულაცია უნდა იქნას ნებისმიერ შემთხვევაში დაცული, „დანახული და განმარტებული ძირითადი უფლების შემზღუდველი, ამ ძირითადი

3. Aufl. 2013, Art. 5 Abs. 1-2 Rn. 73; *Schemmer*, in: Epping/Hillgruber, BeckOK Grundgesetz, 53. Edition, Stand: 15.11.2022, Art. 5 Rn. 13. შემდგომი, სპეციალურად შეურაცხყოფის დელიქტებისათვის მნიშვნელოვანი გამონაკლისი შეურაცხყოფელი კრიტიკის შემთხვევებისათვის იხ. აქვე.

12 BVerfGE 7, 198 (208).

უფლების მნიშვნელობის კონტექსტში, იმგვარი ეფექტით, რომ, დაცული იყოს ამ უფლების განსაკუთრებული ღირებულებითი დატვირთვა, რამაც უნდა განაპირობოს ყველა სფეროში, კერძოდ, სამოგადოებრივ ცხოვრებაში, თავისუფალ დემოკრატიაში, სიტყვის თავისუფლების პრეზუმფცია.¹³ ერთის მხრივ, ზოგადი, პატივისა და მოზარდი-ახალგაზრდობის დამცავი კანონების, ხოლო, მეორეს მხრივ, სიტყვის თავისუფლების ურთიერთქმედებას, შემდეგნაირად აღწერს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო: „ადგილი აქვს [...] ურთიერთქმედებას იმ თვალსაზრისით, რომ, მართალია, „ზოგადი კანონები“, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, განსაზღვრავს ძირითადი უფლებების შემზღვევებს, თუმცა იმავდროულად, თავისუფალი დემოკრატიული სახელმწიფოს ამ ძირითადი უფლების ფუნდამენტალური მნიშვნელობის მიხედვით, უნდა მოხდეს მათი განმარტება და, ძირითადი უფლების შემზღვეველი ეფექტით, თავის მხრივ ისინიც უნდა იქნას შემზღვეველი.“¹⁴

2. შეკრების თავისუფლება, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით უზრუნველყოფილი შეკრების თავისუფლება და ის შემდეგს განსაზღვრავს: „ყველა გერმანელს აქვს, მშვიდობიანად და უიარალოდ, წინასწარი რეგისტრაციისა და ნებართვის გარეშე, შეკრების უფლება“.

a) დაცული სფერო

შეკრება განიმარტება, როგორც მინიმუმ ორი პირის თავყრილობა, რომლებსაც აკავშირებთ საერთო მიზანი,¹⁵ კერძოდ, სამოგადოებრივი აზრის

13 BVerfGE 7, 198 (208).

14 BVerfGE 7, 198 (209). აკრიტიკებს მაგ. *Zaczyk*, in: Kindhäuser/Neumann/Paeffgen, Strafgesetzbuch, 5. Aufl. 2017, § 193 Rn. 6, 33.

15 *Höfling*, in: Sachs, Grundgesetz, 9. Aufl. 2021, Art. 8 Rn. 13 f.

ჩამოყალიბებაში მონაწილეობის სახით.¹⁶ ძირითადი უფლების დაცული სფერო გახსნილია იმ შემთხვევაში, თუ შეკრება ტარდება მშვიდობიანად და უიარაღოდ. რა შემთხვევაშია შეკრება „მშვიდობიანი“, ეს დამოკიდებულია კონსტიტუციურ-სამართლებრივ მასშტაბსა და არა სისხლისსამართლებრივი ძალადობის ცნებაზე. სხვაგვარად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პარაგრაფის პირველი აბზაციით გათვალისწინებულია იძულების ზოგადმა ქმედების შემადგენლობამ შეიძლება სრულად „გამოფიტოს“ შეკრების თავისუფლების ძირითადი უფლება.¹⁷ ერთი შეხედვით, ეს მიდგომა ჰგავს სიტყვის თავისუფლების ურთიერთქმედების მოძღვრებას. თუმცა, საქმე ეხება დაცული სფეროს (და არა შეზღუდვა) საკითხს, ხოლო, მეორე მხრივ, მშვიდობიანი ხასიათის აუცილებლობას უბრალო კანონების დებულებების კონტექსტში, რის გამოც ეს ნიშანი დამოუკიდებლად უნდა განიმარტოს, კონსტიტუციური სამართლის საფუძველზე.

ბ) შეზღუდვები

ამავდროულად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს მარტივ კანონისმიერ შეზღუდვებს, ღია ცის ქვეშ შეკრებების ჩასატარებლად. ყოველივე ეს მონესრიგებულია ფედერალური მიწების შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონებში, ან კიდევ, შეკრებებისა და მანიფესტაციების ფედერალურ კანონში (ფედერალურ მიწებში ასეთი კანონების არარსებობის შემთხვევაში). შეკრების თავისუფლების წინამდებარე კონტექსტისათვის მნიშვნელოვანი შეზღუდვა განსაზღვრულია შეკრებებისა და მანიფესტაციების ფედერალური კანონის მე-3 პარაგრაფის პირველ პუნქტში, რომლის თანახმადაც იკრძალება იმგვარი უნიფორმების ან ისეთი ტანსაცმლის ტარება, რომლებიც გამოხატავენ საერთო პოლიტიკურ კონტექსტს. ამ ამკრძალავი ნორმის დარღვევა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე (შეკრებებისა და მანიფესტაციების ფედერალური კანონის 28-ე პარაგრაფი). გარდა მკაფიო კანონისმიერი შეზღუდვებისა,

16 BVerfGE 104, 92 (104).

17 BVerfGE 73, 206 (248 f.); Gusy, in: von Mangoldt/Klein/Starck, Grundgesetz, 7. Aufl. 2018, Art. 8 Rn. 22.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შემთხვევაში, როგორც დამატებითი შებლუდვა, გასათვალისწინებელია კოლიზიური კონსტიტუციური სამართალი.

III. ცალკეული მაგალითები

გერმანული ძირითადი უფლებების დოგმატიკის აბსტრაქტული მიმოხილვის შემდეგ, ქვემოთ უნდა იქნას განხილული სიტყვისა და შეკრების თავისუფლებისა და სისხლის სამართლის ურთიერთქმედება კონკრეტული პრობლემების საფუძველზე. წინა პლანზე დგება განსაკუთრებით კონფლიქტური დელიქტური კატეგორიები.

1. პატივის წინააღმდეგ მიმართული დელიქტები

უკვე აღინიშნა, რომ პატივის შემლახველი დელიქტები განსაკუთრებულ სირთულეს ქმნიან სიტყვის თავისუფლების მხრივ. ამის აქტუალური მაგალითია უკრაინაზე რუსეთის თავდასხმის გამო გამართული ერთ-ერთი საპროტესტო დემონსტრაცია, რომელზეც გამოჩნდა პლაკატი წარწერით „Putin Du bist so 1 Pimmel“ (პუტინ, შენ ხარ ერთი ასო). რუსეთის პრემიერ-მინისტრი, ამ გამონათქვამით, წარმოიჩინა იქნა, მამაკაცის სასქესო ორგანოს ჟარგონული და საბავშვო ენობრივი აღწერილობით. აღნიშნულ ფორმულირებას აქვს წინაისტორიაც: ჰამბურგის შინაგან საქმეთა სენატორი გროტე ზუსტად იგივე კრიტიკული ფორმულირებით იქნა მოხსენიებული ტვიტერზე. გროტემ შეიტანა საჩივარი პოლიციაში შეურაცხყოფის გამო, რის შემდეგაც ეჭვმიტანილთან ჩატარდა ჩხრეკა, რომელიც ჰამბურგის მეორე ინსტანციის სასამართლომ არათანაბრომიერად და უკანონოდ მიიჩნია.¹⁸ გამორიცხული არაა, რომ მსგავსმა დახასიათებამ შეიძლება მოგვეცეს დასჯადი შეურაცხყოფის ქმედების შემადგენლობა.

18 იხ. <https://www.sueddeutsche.de/politik/hausdurchsuchung-pimmelgate-affaere-rechtswidrig-1.5634877>.

ა) მნიშვნელოვანი სისხლისსამართლებრივი ნორმები

გერმანულ სამართალში, კერძოდ, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 103-ე პარაგრაფში, არსებობდა, სულ რამდენიმე წლის წინ გაუქმებული, სპეციალური ქმედების შემადგენლობა, რომელიც ითვალისწინებდა სასჯელს უცხო ქვეყნის ორგანოებისა და წარმომადგენლების შეურაცხყოფის გამო. აღნიშნული ნორმა გაუქმებულია. ამდენად, უკრაინის ომის მოწინააღმდეგე დემონსტრანტებს აღარ მოუწევთ ამაზე წუხილი. დღეისათვის მოქმედებს შეურაცხყოფის ზოგადი დელიქტები, კერძოდ, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე პარაგრაფი. აღნიშნული ნორმა მოიცავს „შეურაცხყოფას“, ისე, რომ არც კი განმარტავს მას. აქ იგულისხმება ღირებულებითი შეფასებები, რომელთა გამოყენებითაც ხდება კონკრეტული პირის მიმართ უპატივცემულობის გამოხატვა.¹⁹ დამატებით განმარტებას აღარ საჭიროებს, რომ ზუსტად ამას გამოხატავს ზემოთ ხსენებული პლაკატი.

საჯაროდ გამოთქმული შეურაცხყოფისათვის კი, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე პარაგრაფი 2021²⁰ წლიდან, ითვალისწინებს დამამძიმებელ გარემოებას, როდესაც ქმედება ჩადენილია პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილე ადამიანის მიმართ მის საქმიანობასთან დაკავშირებით, [...] იმ მოტივით, რომ მისი საჯარო საქმიანობა მნიშვნელოვანად გართულდეს. თუმცა უცხოელი პოლიტიკოსები არ დგანან „[გერმანელი] ხალხის სამსახურში“; ამდენად, ეს ადამიანთა ჯგუფი არ მოიაზრება ამ კვალიფიკაციაში.²¹ იგივე წესი ვრცელდება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 90-ე პარაგრაფით გათვალისწინებული სპეციალური ქმედების შემადგენლობაზე, რომელიც განსაკუთრებულ სასჯელს აწესებს გერმანიის ფედერაციის პრეზიდენტის ცილისწამების შემთხვევაში. ცილისწამებად მიიჩნევა – შეურაცხყოფის ზოგად დელიქტებთან შედარებით – პატივის შელახვის განსაკუთრებული ფორმა.²² იმ შემთხვევაში,

19 Heger, in: Lackner/Kühl/Heger, StGB, 30. Aufl. 2023, § 185 Rn. 3.

20 იხ. BGBl. 2021 I, S. 441. მანამდე 188-ე პარაგრაფი ეხებოდა მხოლოდ მძიმე შეურაცხყოფას (Üble Nachrede) (§ 187) და ცილისწამებას (§ 188).

21 Eisele/Schittenhelm, in: Schönke/Schröder, Strafgesetzbuch, 30. Aufl. 2019, § 188 Rn. 3.

22 BGHSt 16, 338 (339); Anstötz, in: Erb/Schäfer, Münchener Kommentar zum Strafgesetzbuch, Band 3, 4. Aufl. 2021, § 90 Rn. 5.

თუ რომელიმე დემონსტრაციაზე გაიჟღერებს ანალოგიური შინაარსის გზავნილები რომელიმე გერმანელი პოლიტიკოსის მიმართ, შესაძლოა, აღნიშნული ქმედება დასჯადი იყოს სწორედ ამ სპეციალური ნორმების საფუძველზე.

b) დაცული სფერო და შესაბამისი ძირითადი უფლებების შეზღუდვები

ვინაიდან მსგავსი გამონათქვამები წარმოადგენს შეფასებით მოსაზრებას, იხსნება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით უზრუნველყოფილი დაცული სფერო. ამასთან, კონკრეტულად შეურაცხყოფის დელიქტების კონტექსტში, გასათვალისწინებელია დამატებითი, ჯერ კიდევ არნახსენები საგამონაკლისო შემთხვევა: დაცული სფერო არ მოიაზრებს ე.წ. შეურაცხყოფელ კრიტიკას, ანუ, იმგვარი სახის კრიტიკას, როდესაც წინა პლანზე დგას არა მწვავე და პოლემიკური კრიტიკა, არამედ კრიტიკის ობიექტის პირადი შეურაცხყოფა.²³ თუმცა, სიტყვის თავისუფლების დასამარების თავიდან ასაცილებლად, ვინაშით უნდა იქნას განმარტებული შეურაცხყოფელი კრიტიკის ცნება.²⁴ სწორედ პოლიტიკურ ამრთა ჭიდილში მწვავე და უხეში გამონათქვამები არც თუ იშვიათი მოვლენაა. თუ გავითვალისწინებთ („ასოს პლაკატის“ შემთხვევაში) საგნობრივ კონტექსტს, პუტინის რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებულ ინტერვენციას, გასაგები გახდება, რომ აღნიშნული გამონათქვამი არა იმდენად პუტინის პიროვნებას, არამედ მის მიერ წარმოებულ დანაშაულებრივ ომს ეხება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ირონიული, იუმორით სავსე ქვეტექსტი, რომელიც წარმოიშვა ჰამბურგელი შიდა სენატორის „Pimmelgate“-ს კონტექსტში. ამდენად, საქმე არ ეხება წმინდა წყლის შეურაცხყოფელ კრიტიკას და შესაბამისად, სიტყვის თავისუფლების დაცული სფერო გახსნილია.

23 BVerfGE 82, 272 (284).

24 BVerfGE 82, 272 (284).

c) სისხლისსამართლებრივი ნორმების კონსტიტუციასთან თავსებადი გამოყენება

„Pimmel-Plakat“ კარგი მაგალითია ზემოთ აღწერილი, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დასაბუთებული ურთიერთქმედების დოქტრინისა. ერთი მხრივ გახსნილია სიტყვის თავისუფლების დაცული სფერო, თუმცა, მეორე მხრივ, ერთი შეხედვით, მას ზღუდავს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე პარაგრაფი (ისევე, როგორც გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე და 90-ე პარაგრაფები), როგორც პატივის დამცველი ნორმა. სიტყვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია იმ ნორმებისა და სამართლებრივი ნიშნების იდენტიფიცირება, რომლებსაც ებმის შეურაცხყოფის დასჯადობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი შემლუღვა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ორი მატერიალურ-სამართლებრივი მექანიზმი²⁵:

პირველ რიგში, განხილვის საგანია შეურაცხყოფის ცნება, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე პარაგრაფის უკან მდგომი სამართლებრივი სიკეთე, კერძოდ, პატივი. ერთობ სადავო გარემოებაა, მუსტად რა არის პატივის, როგორც სისხლის-სამართლებრივი დაცვის, მიზანი. პატივის დღესდღეობით არსებული, გაბატონებული, ნორმატიული ცნების მიხედვით, საქმე ეხება ადამიანის ღირსებიდან აღმოცენებულ ღირებულებას, რომელიც სამართლიანად აქვს თითოეულ ინდივიდს თავისი უნარებისა და ქცევის საფუძველზე.²⁶ ის, რომ პუტინის მიერ დაწყებული ომი არღვევს საერთაშორისო სამართალსა და სტიმულს აძლევს ომის უამრავი დანაშაულის ჩადენას, ეს გასათვალისწინებელია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე პარაგრაფის მოქმედების ფარგლების კონტექსტში. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამის გამო შეურაცხყოფის ქმედების შემადგენლობა პირდაპირ

25 აქ გასათვალისწინებელია საპროცესო ელემენტები და სისხლისსამართლებრივი საჩივრის შეტანის აუცილებლობა (სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე პარაგრაფი), კერძო საჩივრის აღძვრის შესაძლებლობაზე მითითება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 374-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მე-2 ქვეპუნქტი), ასევე, ამ ფარგლებში არსებული შესაძლებლობა, უმნიშვნელო ბრალის გამო, საქმის შეწყვეტაზე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 383-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი).

26 ob. *Gaede*, in: *Matt/Renzikowski*, *Strafgesetzbuch*, 2. Aufl. 2020, Vor § 185 Rn. 5.

გამოირიცხება, რამეთუ, ამ გამონათქვამის თავდაპირველი მიზანი იყო პუტინის პიროვნების გაკრიტიკება, მიუხედავად იმისა, რომ, საგნობრივი კონტექსტის გამო, ეს არ წარმოადგენდა შეურაცხმყოფელ კრიტიკას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ უპირატესობას მივანიჭებთ ფუნქციონალური პატივის ცნებას, რომლის ბირთვი არის არა ადამიანის ღირსებაში, არამედ დანტერესებული პირის სოციალურ როლში,²⁷ ქმედების შემადგენლობის კონსტიტუციური შეზღუდვა ამ საფეხურზე არ მოხდება.

საბოლოოდ, შეურაცხყოფის ცნებასთან დაკავშირებული ეს მოსაზრებები სწორედ იმიტომ არის გამოუსადეგარი, რომ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე პარაგრაფი შეიცავს პატივის სფეროში ჩადენილი დელიქტების სპეციალურ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებას. ეს ნორმა მოიცავს, შემდგომი სიტუაციების გარდა, სამართლებრივად აღიარებული ინტერესების ნებისმიერ უფლებამოსილ აღქმას.²⁸ სადავოა ამ ნორმის ურთიერთქმედება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველ პუნქტთან. ნაწილობრივ ხაზგასმა ხდება იმისა, რომ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე პარაგრაფი დამოუკიდებელი შემადგენლობაა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ვერ მოგვცემს ლეგიტიმაციას სხვა პირების პატივის შესაღებად.²⁹ ნორმათა იერარქიის მიუხედავადაც, თუ სავარაუდო პატივის წინააღმდეგ მიმართული დელიქტების ფართომასშტაბიანი დევნა მოხდებოდა, ეს გამოიწვევდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა დადუმებასა და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას. ამასთანავე, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე პარაგრაფის გარდა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარეც უნდა მოხდეს დასჯადობის შეზღუდვა.³⁰ „Pimmel-Plakat“-ის მსგავს შემთხვევებში, დასჯადობა გამოირიცხება, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე პარაგრაფისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ერთ-

27 *Eisele/Schittenhelm*, in: Schönke/Schröder, Vor § 185 ff. Rn. 1 m.w.N.

28 *Eisele/Schittenhelm*, in: Schönke/Schröder, § 195 Rn. 8.

29 *Zaczyk*, in: Kindhäuser/Neumann/Paeffgen, § 193 Rn. 33.

30 ამ თვალსაზრისით ასევე *Regge/Pegel*, in: Münchener Kommentar zum Strafgesetzbuch, § 193 Rn. 40.

მანეთთან კომბინირებით. თითოეული ინდივიდის უფლებაა, მწვავედ აკრიტიკოს საერთაშორისო სამართლის დარღვევით განხორციელებული ომები. ასევე ამ საჯარო გამონათქვამებს აქვთ ლეგიტიმური მიზანი, თავდასხმითი ომის მიმართ მოსახლეობაში შექმნას უარყოფითი განწყობები და იმავდროულად ის შეამზადოს სანქციების მოსალოდნელი შედეგების მიმართ. განურჩევლად იმისა, დადასტურდება თუ არა, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე პარაგრაფით გათვალისწინებული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების არსებობა თუ პასუხისმგებლობის გამორიცხვა დაეყრდნობა პირდაპირ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველ პუნქტს, სამართლებრივი შედეგი იქნება ერთი და იგივე. კონტექსტის გათვალისწინებით, მსგავსი გამონათქვამები არ დაისჯება.

2. იძულების დელიქტები, განსაკუთრებით, ბლოკადის შემცველი აქციების დროს

განვიხილოთ მეორე კომბინაცია, რომელშიც თვალნათლივ ჩანს სისხლისსამართლებრივი ნორმებისა და ძირითადი უფლებების ურთიერთქმედება. საუბარია იმ პირების შესაძლო დასჯადობაზე იძულების შემცველი დელიქტების გამო, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საპროტესტო აქციებში. ამის აქტუალური მაგალითია ე.წ. კლიმატური ცვლილებების მოწინააღმდეგეთა პროტესტები, რომელთა დროსაც აქტივისტები სხდებიან გზებზე და ახდენენ მათ ბლოკირებას, რათა ამ სახით მოახდინონ ყურადღების მიქცევა CO₂ გამონახობის შემცირების აუცილებლობაზე.

a) მნიშვნელოვანი სისხლისსამართლებრივი ნორმები

მსგავს შემთხვევებში, იბადება კითხვა, სახეზეა თუ არა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პარაგრაფის პირველი პუნქტი. აღნიშნული ნორმა შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „იმ პირის ქმედება, ვინც უკანონოდ, ძალადობრივად ან მნიშვნელოვანი მუქარით, აიძულებს ადამიანს გარკვეული მოქმედების ჩადენას, თმენის ან უმოქმედობისაკენ უბიძგებს მას, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ფუ-

ლადი ჯარიმით.“ კანონი ზღუდავს იძულების ქმედების ფორმებს და შემოიფარგლება ძალადობითა და მუქარით. ძირითადად, ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება იმით, რომ მუქარა გულისხმობს სამომავლო ქმედებას და დამუქრების მომენტში, მას აქვს წმინდა ფსიქიკური ზემოქმედების ხასიათი. ძალადობა კი იმნუთიერ ზემოქმედებას გულისხმობს.³¹

ერთი შეხედვით, სულაც არ არის აშკარა და თვალნათლივი, რომ დემონსტრაციები, რომელთა დროსაც ხდება ქუჩის ბლოკირება, დაკვალიფიცირებადია, როგორც იძულება, ჩადენილი ძალადობის გზით. თავდაპირველად, ძალადობად განიმარტებოდა მხოლოდ ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც ხორციელდება მსხვერპლის სხეულზე ზემოქმედების გზით.³² თუმცა, შემდგომში, ძალადობის ცნება უფრო ფართოდ იქნა განმარტებული. გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ 1969 წელს საკმარისად მიიჩნია მოძალადის მხრიდან (კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია მჯდომარე გაფიცვაზე სარკინიგზო ლიანდაგზე) „მინიმალური ძალისხმევით, ფსიქიკურად განსაზღვრული პროცესის განხორციელება.“³³ ძალადობის „გასულიერებული“ ცნების საფუძველზე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ახალი პრაქტიკის დამკვიდრებამდე, ბლოკადის ფორმით გამართული აქციები სისხლისსამართლებრივად კვალიფიცირდებოდა, როგორც იძულება.

ვინაიდან იძულების საშუალებები ძალიან ფართოდ განიმარტება, ბევრი ყოველდღიური სიტუაციაც ჯდება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის (უბრალოდ, ბავშვის აღზრდის ეპიზოდი რომ გავიხსენოთ: „შენს ოთახს თუ არ დააღაგებ, სმარტფონს ჩამოგართმევ.“) 240-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის შემადგენლობაში. სწორედ ამიტომ, ნორმას გააჩნია გარკვეული სპეციფიკა. იგი ჩამოყალიბებულია, როგორც ე.წ. ღია ქმედების შემადგენლობა, რომლის ნიშნების განხორციელება ავტომატურად არ გულისხმობს ქმედების მართლწინააღმდეგობასაც. 240-ე პარაგრაფის პირველ აბზაცთან მიმართებით მართლწინააღმდეგობა დამატებით უნდა იქნას პოზიტიურად დადგენილი. გერმანიის სისხლის სამართლის

31 შდრ. *Sinn*, in: Münchener Kommentar zum Strafgesetzbuch, § 240 Rn. 29.

32 RGSt 60, 157 (158); BGHSt 1, 145 (147); *Schluckebier*, in: Satzger/Schluckebier/Widmaier, Strafgesetzbuch, 5. Aufl. 2021, § 240 Rn. 5.

33 BGHSt 23, 46 (54); ხაზგასმულია ავტორის მიერ.

კოდექსის 240-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი კი განსაზღვრავს: „მართლსაწინააღმდეგოა იმგვარი ქმედება, როდესაც ძალადობის განხორციელება ან მისი ჩადენის შექარა, სასურველ მიზანთან მიმართებით, უნდა იქნეს აღქმული, როგორც გასაკიცხი საქციელი“. იმ შემთხვევაში, თუ დასჯადობა უნდა იქნეს გამოკვლეული დემონსტრაციებთან ურთიერთკავშირში, უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ იძულების შედეგის გამომწვევი მიზეზები („ქმედება, თმენა ან უმოქმედობა“), არამედ ასევე გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცით აღწერილი მიზნისა და საშუალების რელაცია.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის გარდა, კიდევ არსებობს იძულების ორი სპეციალური შემადგენლობა, რომლებიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს დემონსტრაციების კონტექსტში. ესენია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე და 106-ე პარაგრაფები. 106-ე პარაგრაფის თანახმად, გერმანიის ფედერაციის პრეზიდენტის ან კონსტიტუციური ორგანოს წევრის იძულება (პარლამენტები, მთავრობები, ფედერალური მიწების საკონსტიტუციო სასამართლოები და ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, ასევე გერმანიის ფედერაციის პრეზიდენტის ამრჩევი ფედერალური კრება), რომელიც გამოიწვევს იძულებული პირის მიერ თავისი თანამდებობრივი უფლებამოსილების განუხორციელებლობას ან რაიმე სხვა სახით განხორციელებას, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ თვიდან ხუთ წლამდე. კიდევ უფრო შორს მიდის გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე პარაგრაფი, იმ შემთხვევებისათვის, როდესაც ხდება რომელიმე მთელი კონსტიტუციური ორგანოს (და არა მხოლოდ ცალკეული წევრის) იძულება, არ განახორციელოს ან სხვაგვარად განახორციელოს საკუთარი უფლებამოსილებები. აღნიშნული ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე და, ამდენად, არის მძიმე დანაშაული. უკანასკნელ ნორმასთან დაკავშირებული ცნობილი გადაწყვეტილება ეხებოდა მაინის ფრანკფურტის აეროპორტის გაფართოების მოწინააღმდეგეთა პროტესტს სახელწოდებით „დასავლეთის სასტარტო რკინიგზა“, რომელიც მიმდინარეობდა გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში. მასშტაბური დემონსტრაციის მონაწილეების მიზანი იყო, არსებული აეროპორტის დაბლოკვით, ეიძულებინათ ფედერალური მიწის მთავრობა, შეეჩერებინა სამშენებლო სამუშაოები. პირველი ინსტანციის

სასამართლომ გაასამართლა მიტინგის ერთ-ერთი ინიციატორი კონსტიტუციური ორგანოს იძულების მცდელობის გამო (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე პარაგრაფი). გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ გააუქმა აღნიშნული გამამტყუნებელი განაჩენი და დაადგინა, რომ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პარაგრაფის პირველი აბზაციტ გათვალისწინებული იძულების ზოგადი ქმედების შემადგენლობიდან გამომდინარე, ძალადობის ფართო ცნება არ არის გადატანადი (მოსალოდნელი სასჯელის გარდა) გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე პარაგრაფით განსაზღვრულ უფრო მძიმე დანაშაულზე. მოძალადისგან მომდინარე წნეხი იმდენად დიდი უნდა იყოს, რომ მას, ყველა გარემოების გათვალისწინებით, უნდა შეეძლოს კონსტიტუციური ორგანოს ნების გატეხვა.³⁴ ძალადობის ცნება უნდა განიმარტოს ქმედების შემადგენლობის კონტექსტში;³⁵ ეს არ გამომდინარეობს მაინცდამაინც ძირითადი უფლებებიდან, არამედ სისხლისსამართლებრივი ნორმების სისტემატური განმარტების შედეგია.

b) დაცული სფერო და შემხებლობაში მყოფი ძირითადი უფლებების შეზღუდვები

ვინაიდან ბლოკადა-აქციები, როგორც წესი, ერთობლივად ხორციელდება რამდენიმე პირის მიერ, სახეზეა შეკრება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თუ ამ ღონისძიებას აქვს საკომუნიკაციო ხასიათი და მიზნად ისახავს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში მონაწილეობას.³⁶ ის ფაქტი, რომ მსგავსი სახის დემონსტრაცია სისხლისსამართლებრივად შეიძლება ჩაჯდეს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პარაგრაფის პირველი აბზაციტ გათვალისწინებული ძალადობის ცნებაში, აპრიორი არ აძლევს ამ დემონსტრაციას არამშვიდობიან ხასიათს. მანამ, სანამ მონაწილეები შემოიფარგლებიან პასიური საპროტესო ფორმებით (როგორიცაა, მაგალიტად, მჯდომარე გაფიცვა), მსგავსი ქმედებებიც,

34 BGHSt 32, 165 (170).

35 BGHSt 23, 46 (49); 32, 165 (170).

36 საპირისპირო მაგალიტი – ქვეყანაში შესვლის იძულების ბლოკადა – იხ. BVerfGE 104, 92 (105).

როგორც წესი, არის დაცული სფეროს ნაწილი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი).³⁷ აღნიშნული ცხადყოფს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მშვიდობიანობის კრიტერიუმი არ უნდა განიმარტოს სისხლისსამართლებრივი ძალადობის ცნებასთან კავშირში. ის საჭიროებს ავტონომიურ კონსტიტუციურ-სამართლებრივ შეფასებას.

ბუნებრივია, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსგავსი ბლოკადა-აქცია შეიძლება ჩაატაროს მხოლოდ ერთმა ადამიანმაც. ამ შემთხვევაში, სახეზე არ გვაქვს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისი შეკრება.³⁸ ეს მიდგომა იმ შემთხვევაშია მართებული, როდესაც სხვა გარანტიები, როგორცაა, მაგალითად, სიტყვის თავისუფლება, შეავსებს ამ ხარვეზს. თუმცა, ამის წინაპირობაა ის, რომ, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ხედვისაგან განსხვავებით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის გამოყენება ვერ იქნება უარყოფილი მხოლოდ იმის გამო, რომ დემონსტრანტი არ აკეთებს არანაირ გამონათქვამს, არამედ, ფაქტობრივი ყოფნით (მაგალითად, ბლოკადა) ცდილობს საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობას.³⁹ მსგავსი გარეგნული, ფენომენოლოგიური დიფერენცირება ვერ დააკმაყოფილებდა ბლოკადა-აქციის საკომუნიკაციო ხასიათს, რომლის

37 BVerfGE 73, 206 (249); 104, 92 (106); *Gusy*, in: von Mangold/Klein/Starck, Grundgesetz, 7. Aufl. 2018, Art. 8 Rn. 23 und Rn. 79 f.; განსხვ. შეხედულება *Depenheuer*, in: Dürig/Herzog/Scholz, Grundgesetz-Kommentar, Stand: 99. Ergänzungslieferung 2022, Art. 8 GG Rn. 63.

38 *Depenheuer*, in: Dürig/Herzog/Scholz, Art. 8 GG Rn. 45; *Gusy*, in: von Mangold/Klein/Starck, Art. 8 Rn. 15; *Schulze-Fiellitz*, in: Dreier, Art. 8 Rn. 24. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე შეაფასა ცალკეული ინდივიდის მიერ პიკეტირება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-8 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით: BVerfG NJW 1987, 3245. თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილება არ არის მაინცდამაინც პრინციპულად მნიშვნელოვანი, რამეთუ მასში არ არის მსჯელობა შეკრების თავისუფლების დაცულ სფეროზე.

39 ასე აფასებს BVerfGE 104, 92 (103). თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, საქმე ეხებოდა მრავალი პირის შეკრებას და შესაბამისად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი იყო რელევანტური. აღნიშნული მაგალითიდან ვერ გაკეთდება დასკვნები ცალკეული პირების მხრიდან ბლოკირებასთან/პიკეტირებასთან დაკავშირებით.

დროსაც საზოგადოებას, გადატანითი მნიშვნელობით, მიაძახებენ ხოლმე „სდექ!“ ან „შეაჩერეთ CO₂ გამონაბოლქვი“.

c) სისხლისსამართლებრივი ნორმების კონსტიტუციასთან თავსებადი გამოყენება

მას შემდეგ, რაც გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 1986 წლის ერთ-ერთ პირველ გადაწყვეტილებაში, ხმათა თანაბრად გადანაწილების გამო, ვერ დაადგინა ძალადობის „გასულიერებულ“ ცნების ანტიკონსტიტუციურობა,⁴⁰ აღნიშნული მდგომარეობა შეიცვალა 1995 წელს. ძალადობის ცნების ფართო განმარტება შეფასდა, როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტით ნორმირებული კანონიერების პრინციპის („nullum crimen sine lege“) დარღვევა.⁴¹ ეს იმით იქნა დასაბუთებული, რომ ჯერ კიდევ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პარაგრაფის პირველი პუნქტით გათვალისწინებული იძულების ელემენტის წინაპირობაა იძულებითი ზემოქმედება; იმ შემთხვევაში, თუ ძალადობის ცნება გაფართოვდებოდა და მოიცავდა ფსიქიკურ ზემოქმედებასაც, ის გაცდებოდა „იძულებაში“ ნაგულისხმევ ზემოქმედებას.⁴² ძალადობის წინაპირობა გარკვეულწილად „ინტერპრეტირებული“ იქნებოდა ნორმიდან და გაცდებოდა მის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას. ძალადობა მოითხოვს არა მხოლოდ უბრალოდ ადგილზე ყოფნას ან მსხვერპლზე ამ გზით მხოლოდ ფსიქიკურ ზემოქმედებას.⁴³ აღსანიშნავია, რომ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პარაგრაფის პირველი პუნქტის გამოყენებაზე მიღებულ ძირითად გადაწყვეტილებას, არანაირი კავშირი არ აქვს თავისუფლების უფლებებთან, რომლებიც უზრუნველყოფილია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველ პუნქტსა და მე-8 მუხლის პირველ პუნქტში. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ღიად დატოვა საკითხი, ეს გარანტიებიც

40 BVerfGE 73, 206 (242 ff.).

41 BVerfGE 92, 1 (16 ff.).

42 BVerfGE 92, 1 (17).

43 BVerfGE 92, 1 (18).

იყო თუ არა დარღვეული იძულების შემადგენლობის გამო დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენით.⁴⁴ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ლიტერატურაში, ამოსავალი წერტილია ის, რომ ძალადობის ცნების განმარტებისას, გასათვალისწინებელია ძირითადი უფლებების შეფასებები.⁴⁵ თუმცა, შემლუდვა არ განხორციელებულა ქმედების შემადგენლობის დონეზე.

მოგვიანებით, სასამართლო პრაქტიკაში, მოხდა სხეულებრივი, ფიზიკური იძულებითი ზემოქმედების კონსტიტუციურ-სამართლებრივი აუცილებლობის „განწყალება“: გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტურა ფიზიკური იძულების საკმარისი ელემენტის არსებობა, თუ ბლოკადა ხდება იმგვარი ფორმით, რომ მომიტინგეები თავს იბამენ ან ავტომობილებს აყენებენ გზის საგალ ნაწილზე.⁴⁶ გარდა ამისა, სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი სასამართლოები ადგენენ, მჭდომარე აქციების დროს, ძალადობის არსებობის ფაქტს (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის შესაბამისად), რაც აიძულებს მძღოლს ავტომანქანის გაჩერებას, რომლის ავტომობილიც შემდგომ ხდება ფიზიკური წინააღმდეგობა უკან მომავალი ავტომანქანებისათვის.⁴⁷ ეს დაადასტურა გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომაც.⁴⁸ აქედან გამომდინარე, დემონსტრანტების მიერ გზის საგალ ნაწილზე დაჯდომა, რომლითაც წარმოიქმნება დაბრკოლება (ვიდრე უბრალოდ დასწრება), განიხილება ძალადობად; პირველი ავტომობილის დამუხრუჭება ავტომატურად იწვევს ყველა შემდგომი ავტომანქანის გაჩერებას.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ თანამედროვე აქციები კვალიფიცირდება, როგორც ძალადობა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის მიხედვით, აღნიშნული ქმედებები დასჯადია. აქ, უპირველეს ყოვლისა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გაკიცხვის შემოწმებას (გერმანიის სისხლის

44 BVerfGE 92, 1 (20).

45 გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-8 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით ასე მსჯელობს Gusy, in: von Mangoldt/Klein/Starck, Grundgesetz, 7. Aufl. 2018, Art. 8 Rn. 79a.

46 BVerfGE 104, 92 (102 f.).

47 ამ „მეორე რიგის სასამართლო პრაქტიკაზე“ იხ. BGHSt 41, 182.

48 BVerfGE NJW 2011, 3020.

სამართლის კოდექსის 240-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი). ეს კი მოითხოვს ცალკეული შემთხვევის ყველა გარემოების ყოვლისმომცველ გააზრებას.⁴⁹ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცით გათვალისწინებული მიზანი არ უნდა შემოიფარგლოს კონკრეტული ქუჩისა თუ დაწესებულების ბლოკადით, არამედ უფრო მეტად საქმე ეხება კონსტიტუციურ-სამართლებრივად დაცულ საკომუნიკაციო მიზანს.⁵⁰ გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ამისათვის შემდეგი მასშტაბები ჩამოაყალიბა:⁵¹

ერთის მხრივ, გასათვალისწინებელია საპროტესტო აქციის შედეგები, განსაკუთრებით, მესამე პირების მიმართ. ამ კონტექსტში გასაანალიზებელია, მაგალითად, შეფერხების ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პრევენციული შესაძლებლობები და წინასწარი ინფორმაციის არსებობა.

ასევე, არსებობს ურთიერთკავშირი აქციასა და საკომუნიკაციო მიზანს შორის: რაც უფრო მჭიდროდ უკავშირდება ბლოკადას ის, რაზეც სურთ დემონსტრანტებს ყურადღების მიქცევა, მით უფრო ნაკლებად არის ეს ქმედება გასაკიცხი. საკომუნიკაციო მიზნის შინაარსი ან მისი დამატებლობა არ უნდა გახდეს სასამართლოს განხილვის საგანი.

აქედან გამომდინარე, ქუჩის მიმდინარე ბლოკადები კლიმატის დამცველთა მიერ, იმთავითვე არ არის გასაკიცხი. იმ შემთხვევაში, თუ საპროტესტო აქცია (როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე) მიზნად ისახავს გზის სავალი ნაწილის გადაკეტვას, რომელიც სწორედ CO₂ ინტენსიური განობოლქვის ტერიტორიად მიიჩნევა, ყოველივე ეს გამომდინარეობს პროტესტის საკომუნიკაციო მიზნიდან. ერთი შეხედვით, მსგავსი ქმედებები არ არის გასაკიცხი, გარდა ცალკეული შემთხვევებისა, დარღვევის ინტენსივობისა და შედეგების გათვალისწინებით. თუმცა, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაუშვა თავის გადაწყვეტილებაში, რომ სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი სასამართლოები, როგორც წესი, არ ითვალისწინებენ კომუნიკაციის აქტს, ქმედებას გასაკიცხად მიიჩნევენ (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი), თუმცა, ისინი ამას მხედველობაში იღებენ სასჯელის

49 Schluckebier, in: Satzger/Schluckebier/Widmaier, § 240 Rn. 17 m.w.N.

50 BVerfGE 104, 92 (110).

51 BVerfGE 104, 92 (110).

ზომის განსაზღვრისას და აწესებენ ძალიან დაბალ სასჯელს. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, გამამტყუნებელი განაჩენები არ ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტანდარტებს.⁵² ეს არის მცდარი მოსაზრება, რამეთუ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის საფუძვლიანი გადამოწმება ხელს შეუწყობდა გამამართლებელი განაჩენის დადგომას. ეს ეწინააღმდეგება გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გაკიცხვის საკითხზე მანამდე არსებულ მოსაზრებებს. აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ კონკრეტული დანაშაულის გამო, დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენი განაპირობებს ქცევის სოციალურ გაკიცხვას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ეს დაცულია ძირითადი უფლებებით, მაშინ, შესაძლოა, არ იყოს სახეზე გასაკიცხი საქციელი. გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს ერთგვარად შეეშინდა საკუთარი გამბედაობის. ვიმედოვნებთ, რომ სასამართლო შეასწორებს ამ ლაფსუსს კლიმატის საპროტესტო აქციების საქმეების განხილვისას. ფაქტია, რომ იძულებასთან მიმართებითაც არსებობს შეურაცხყოფის შემადგენლობის (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე პარაგრაფი) მსგავსი მოქნილი ნორმა. შესაბამისად, აუცილებელია მისი გამოყენება, რათა ანგარიში გაეწიოს სისხლის სამართალში ძირითადი უფლებებით დაცულ დონეს.

3. საჯარო წესრიგის დამცავი დელიქტები

დანაშაულის კიდევ ერთი კატეგორია, რომელსაც ასევე აქვს გარკვეული როლი დემონსტრაციების კონტექსტში, არის საჯარო წესრიგის დამცავი დელიქტები. მათი მიზანი (ამ დრომდე განხილული დელიქტებისაგან განსხვავებით), როგორც მინიმუმ, არ არის უშუალოდ ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის დაცვა, არამედ მიმართულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის. ამის კლასიკური მაგალითებია უცხოელთა წინააღმდეგ მიმართული, ანტიემიტური ან ანტიმუსლიმანური გზავნილები. სულ ცოტა ხნის წინ კი, თავი იჩინა ასევე ფენომენმა, რომ პრორუსულ დემონსტრაციებზე, რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში, ხდება „Z“ სიმბოლიკის გამოყენება.

52 BVerfGE 104, 92 (114 f.).

a) მნიშვნელოვანი სისხლისსამართლებრივი ნორმები

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნორმა ამ სფეროდან არის ეროვნული შუღლის გაღვივების შემადგენლობა (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი), მისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა გამოვლინებით: ნაციონალურ-სოციალისტური მმართველობის რეჟიმის მიერ გენოციდისა (მე-3 აბზაცი) და სხვა სახის დანაშაულის (მე-5 აბზაცი) ჩადენის უარყოფა, ასევე ნაციონალურ-სოციალისტური რეჟიმის მოწონება, განდიდება ან გამართლება (მე-4 აბზაცი). ამის კიდევ ერთი თვალნათლივი მაგალითია რელიგიური რწმენის ან მსოფლმხედველობრივი მრწამსისა ან გაერთიანების შეურაცხყოფა (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 166-ე პარაგრაფი). „Z“ სიმბოლიკის ჩვენებაში, სულ ცოტა ხნის წინ, გამოიწვია სხვის მიერ ჩადენილი დანაშაულების მოწონების ჭრილში, გამამტყუნებელი განაჩენის დადგომა (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე პარაგრაფის პირველი აბზაციის მე-2 ქვეპუნქტი).⁵³

აღნიშნული მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ აღნიშნული შემადგენლობები შეიცავს სრულიად განსხვავებული მოსაზრებების გამო დასჯადობას. თუმცა, მათ ორი რამ აერთიანებთ: ერთის მხრივ, ისინი უკავშირდება პარადიგმულად მიზლის წაქეზებას (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე პარაგრაფის პირველი აბზაციის პირველი ქვეპუნქტი), ადამიანის ღირსებაზე თავდასხმას შეურაცხყოფით, დისკრედიტაციითა და ცილისწამებით (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე პარაგრაფის პირველი აბზაციის მე-2 ქვეპუნქტი) ან უხეშად დაკნინებას (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე პარაგრაფის მე-5 აბზაცი). მეორეს მხრივ, ყველა ერთად, წინაპირობაა იმისა, რომ ქმედებას ძალუძს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. ეს ახასიათებს ამათ, გაბატონებული აზრით, როგორც ე.წ. პოტენციური საფრთხის დელიქტებს და, ამგვარად, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ქვეკატეგორიას.⁵⁴ სხვაგვარია მდგომარეობა მხოლოდ გერმანიის სისხლის სამართლის

53 ob. AG Hamburg, Urt. v. 25.20.2022 – 240 Cs 121/22 (ECLI:DE:AGHH:2022:1025.24 OCS121.22.00).

54 Heger, in: Lackner/Kühl/Heger, § 130 Rn. 1 i.V.m. Vor § 13 Rn. 32; ob. ასევე BGH NSTZ 2017, 146 (147).

კოდექსის 130-ე პარაგრაფის მე-4 აბზაცში, რომლის წინაპირობაა წესრიგის ფაქტობრივი დარღვევა და შედეგის დადგომა.⁵⁵ თუმცა, თავად საზოგადოებრივი წესრიგის ცნება, როგორც ასეთი, ბუნდოვანია და კიდევ უფრო ბუნდოვანია მისი დარღვევა. ამდენად, ეს ნიშანი წარმოშობს გარკვეულ ეჭვებს განსაზღვრულობის პრინციპის გადმოსახედიდან.⁵⁶

b) დაცული სფერო და შემხებლობაში მყოფი ძირითადი უფლებების შეზღუდვები

ვინაიდან გამონათქვამები, რომლებიც შედის აღნიშნულ შემადგენლობებში, შეიცავს პირადი შეხედულებების ელემენტებს, გახსნილია სიტყვის თავისუფლების დაცული სფერო. გამონაკლისია, ერთმნიშვნელოვანად არასწორი ფაქტების მტკიცება, როგორცაა, მაგალითად, ჰოლოკოსტის უარყოფა (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცი).⁵⁷ იმ შემთხვევაში, თუ ეს ეფუძნება საკუთარ დასკვნებსა და შეფასებებს, მაშინ გახსნილია დაცული სფერო (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუცია) მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული).⁵⁸ იგივე წესი ვრცელდება რუსული აგრესიული ომის მოწონებაზე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ყოველივე ეფუძნება უკრაინაში რუსეთის მიერ ჩადენილი ომის დანაშაულის (მცდარი) უარყოფას.⁵⁹ ამდენად, იბადება კითხვა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუცია) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის კონტექსტში.

55 Lohse, in: Satzger/Schluckebier/Widmaier, § 240 Rn. 45.

56 BVerfGE 124, 300 (339 f.).

57 BVerfG NJW 2018, 2858 (2859); მსგავსი ფაქტების არსებობის განცხადება არ ჯდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დაცულ სფეროში, თუ ამას მოჰყვება აზრის გამოხატვა.

58 BVerfG NJW 2018, 2858 (2860).

59 ეს არ ეწინააღმდეგება გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციას, BVerfG NJW 2018, 2858 (2859), ვინაიდან § 140 Abs. 1 Nr. 2 – განსხვავებით სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილისაგან – მიზნად ისახავს სწორედ არა ფაქტის არსებობის განცხადებას, როგორც ასეთს, არამედ მხოლოდ დანაშაულის მოწონებას.

ვინაიდან აღნიშნული შემადგენლობები, უკვე გამოკვლეული შეურაცხყოფის დელიქტებისაგან განსხვავებით, არ ემსახურება პირადი პატივის დაცვის მიზანსა და ასევე არ აქვთ მოზარდი ახალგაზრდობის დაცვის მიზანი, იბადება კითხვა, ხომ არ არის შესაძლებელი, მათი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამის, „ზოგად კანონებად“ დაკვალიფიცირება. აქ მოიაზრება ის კანონი, რომელიც არ კრძალავს აზრს, როგორც ასეთს, არამედ მისი მიზანია განსაზღვრული სამართლებრივი სიკეთის დაცვა, განურჩევლად იმისა, თუ რომელი აზრის წინააღმდეგაა იგი მიმართული.⁶⁰ მსგავსი სახის „აზრის ნეიტრალიტეტი“ ჩადებულია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 166-ე პარაგრაფში, 140-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის მე-2 ქვეპუნქტსა და 130-ე პარაგრაფის პირველ, მე-2 და მე-5 აბზაცებში. დასჯადობის მხრივ, მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელი იდეოლოგიური გადმოსახედიდან ხდება რწმენის შეურაცხყოფა, რომელიმე დანაშაულის მოწონება და ა.შ. განსაკუთრებული პრობლემა ქმნის კონკრეტულად ნაცისტურ წარსულთან დაკავშირებული შემადგენლობები. კერძოდ, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე პარაგრაფის მე-3 და მე-4 პარაგრაფები. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ უარი თქვა, ზოგადი კანონის ხასიათი მიენიჭებინა ნაცისტური რეჟიმის მოწონების შემადგენლობისათვის (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე პარაგრაფის მე-4 აბზაცი), რამეთუ ამ ქმედების დასჯადობა სპეციალურად და პირდაპირ უკავშირდება ნაციონალ-სოციალიზმისადმი გარკვეული დამოკიდებულების გამოხატვას.⁶¹ თუმცა, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ, შემდეგი ნაბიჯის სახით, დაუშვა გამონაკლისი საყოველთაო კეთილდღეობის აუცილებლობიდან, საფუძვლად დაუდო რა ნაცისტური სახელმწიფოს საპირწონედ, „საწინააღმდეგო კონცეფციად“ ჩამოყალიბებული გერმანიის ძირითადი კანონის ისტორიული კონტექსტის არსებობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ: ეს არის დამატებითი, დაუნერგელი შეზღუდვის დათქმა იმ კანონთან მიმართებით, რომელიც მიმართულია ნაცისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ.⁶² მოგვი-

60 BVerfGE 124, 300 (321 f.).

61 BVerfGE 124, 300 (325).

62 BVerfGE 124, 300 (328).

ანებით კი, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გაავრცელა ეს არგუმენტაცია ასევე ნაციონალურ-სოციალისტური მმართველობის დროს ჩადენილი გენოციდის უარყოფამაც (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცი).⁶³ სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ნაცისტურ იდეოლოგიას, ბოლომდე არ აქვს გამოცლილი სიტყვის თავისუფლების დაცვის ნიადაგი.⁶⁴ ამ იდეოლოგიის წინააღმდეგ მიმართული კანონებიც უნდა იყოს ყოველთვის თანაბომიერი და ორიენტირებული სამართლებრივი სიკეთის დაცვაზე.⁶⁵

c) სისხლის სამართლებრივი ნორმების კონსტიტუციასთან თავსებადი გამოყენება

რამდენადაც, ზემოთნახსენებ ნორმებში, ქმედების განსაკუთრებული ხარისხის არსებობაა დადგენილი (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 166-ე პარაგრაფის პირველი აბზაცით გათვალისწინებული შეურაცხყოფა ან კიდევ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე პარაგრაფის მე-5 აბზაცით გათვალისწინებული უხეში დაკნინება), ეს ქმნის, სიტყვის თავისუფლების ინტერესების გადმოსახედიდან, მათი ვიწრო განმარტების საფუძველს. გარდა ამისა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ხარისხსაც ექცევა ყურადღება. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ეს წესი არ ვრცელდება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე პარაგრაფის მე-4 აბზაცზე. ნაციონალურ-სოციალისტური მმართველობის მოწონება, განდიდება და გამართლება იმდენად მძიმე ქმედებაა, რომ მათი განხორციელებით იმთავითვე ივარაუდება საზოგადოებრივი წესრიგის სისტემატური დარღვევა.⁶⁶ იგივე მიდგომა ვრცელდება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცის მიმართ და ასევე, მოწონებისა და უარყოფის შემცველ სხვა შემადგენლობებზე.⁶⁷ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემოწმების სტანდარტი ამ ნორმებთან მიმართებით მხოლოდ

63 BVerfGE 124, 300 (327 ff.).

64 BVerfG NJW 2018, 2861.

65 BVerfGE 124, 300 (330).

66 BVerfGE 124, 300 (331).

67 BVerfGE 124, 300 (344).

გამონაკლისის სახით ვრცელდება, რათა გამოირიცხოს მხოლოდ ატიპური შემთხვევების დროს დასჯადობა, როდესაც, გამონაკლისის სახით, არ მოხდება საჯარო წესრიგის დარღვევა.⁶⁸ თუმცა, ეს არ ვრცელდება ყველა იმ შემადგენლობაზე, რომელთა წინაპირობაა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ასეთ ნორმად მიიჩნია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცით გათვალისწინებული, თავისი მასშტაბებით ბევრად „უწყინარი“, დაკნინების შემადგენლობა.⁶⁹ იგივე მიდგომა უნდა ვრცელდებოდეს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 166-ე პარაგრაფსა და 140-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის მე-2 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემადგენლობებზეც.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ ცალკეული, ფართოდ ჩამოყალიბებული შემადგენლობები გვაძლევს მათი ძირითადი უფლებების ჭრილში ლმობიერი განმარტების სივრცეს. თუმცა, მოსალოდნელი არაა, რომ ეს ასპექტი, „Z“ სიმბოლიკის გამოყენების შემთხვევაში, გამოიწვევს დაუსჯელობას. პრობლემური რჩება მოწონებული დანაშაულის განზრახვის არსებობის საკითხი, როდესაც დემონსტრანტებს, რუსული Fake News-ების საფუძველზე, მართლაც სჭერათ რუსული არმიის მიერ უკრაინაში ომის დანაშაულის ჩაუდენლობა.

4. დაზიანება და განადგურება

და ბოლოს, მსურს, მიმოვიხილო ნივთების დაზიანება და განადგურება, რასაც მუდმივად ვაწყდებით მანიფესტაციებისა და დემონსტრაციების დროს. ამის მაგალითად გამოდგება დროშის დაწვა ან კიდევ უფრო აქტუალური მაგალითი – ტილოზე კარტოფილის პიურეს მისხმა, გერმანიის ძირითადი კანონის ძველის ზეთით დასვრა ან კიდევ, კლიმატური პირობების საპროტესტო აქციიდან გამომდინარე, ხის მოჭრა ფედერალური კანცლერის უწყების მიმდებარე ტერიტორიაზე.

68 BVerfG NJW 2018, 2858 (2860); BVerfGE 124, 300 (340 f.); კრიტიკულად იხ. *Altenhain*, in: *Matt/Renzikowski*, § 130 Rn. 31; *Lohse*, in: *Satzger/Schluckebier/Widmaier*, § 130 Rn. 45.

69 BVerfG NJW 2018, 2861.

a) მნიშვნელოვანი სისხლისსამართლებრივი ნორმები

პირველ რიგში, გასააზრებელია ნივთის დაზიანება/განადგურება, როგორც დანაშაული (მატერიალური ზიანის მიყენება – გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი). ასევე, მნიშვნელოვანია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი, რომელიც ეხება სხვისი ნივთის გარეგნული იერ-სახის აკრძალულ ცვლილებას. მთელი რიგი სისხლისსამართლებრივი ნორმებისა არ მოითხოვს, რომ ქმედების ობიექტი სხვისი ნივთი იყოს და დასჯა-დია საკუთარი ნივთების მიმართ განხორციელებული ქმედებებიც. ასეთი შემადგენლობებია:

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 90-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის მე-2 ქვეპუნქტი – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ფედერალური მიწების დროშების, ალმების, სიმბოლიკისა და ჰიმნების შეზღავანა;

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 90a პარაგრაფის მე-2 აბზაცი – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ფედერალური მიწების დროშების, ალმებისა და სახელმწიფო სიმბოლიკის მოშორება, განადგურება, დაზიანება, გამოუსადეგარ და ამოუცნობ მდგომარეობაში ჩაგდება, განსაკუთრებული უპატივცემლობის გამოხატვა;

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე პარაგრაფი, რომელიც აფართოებს დროშების, ალმებისა და სახელმწიფო სიმბოლიკის დაცვასა და ავრცელებს ამას სხვა სახელმწიფოებზე, და გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 90c პარაგრაფი – ევროპის კავშირის დროშისა და ჰიმნის მიმართ განხორციელებული ქმედებები.

b) დაცული სფერო და შემხებლობაში მყოფი ძირითადი უფლებების შეზღუდვები

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფეროში ექცევა, როგორც სიტყვის თავისუფლების გამოხატულება, ასევე წმინდა ფაქტობრივი ქცევაც, თუ დაინტერესებული პირი მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ საკომუ-

ნიკაციო პროცესში.⁷⁰ ნივთების დაზიანება (ან განადგურება) შეიძლება, როგორც წესი, მოექცეს აღნიშნულ დაცულ სფეროში⁷¹ – თუმცა, გაბატონებული შეხედულებით, ეს ვრცელდება მხოლოდ საკუთარი და არა უცხო ნივთების დაზიანება-განადგურებაზე.⁷² ერთი შეხედვით, ეს საკმაოდ დამაჯერებელია. სიტყვისა და შეკრების თავისუფლებამ არ უნდა მისცეს საბაბი ვანდალებს, მათ შორის, მესაკუთრეების მხრიდან მოსალოდნელი წინააღმდეგობებისა და ესკალაციის საფრთხის გამო. სწორედ ამიტომ, დაუცველია, როგორც მინიმუმ, უცხო საკუთრების გამიზნული დაზიანება. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება მოხდეს მატერიალური დაზიანებების აბსოლუტური გამორიცხვა. ის, რომ ამრის გამოხატვად ან შეკრებად დაკვალიფიცირებადი საპროტესტო აქცია გამოიწვევს მცირე მატერიალურ ზიანს – მაგ. მონაწილეები მიემბებიან ქუჩის აბრაზე და ამის შედეგად ის ალაგ-ალაგ იკაწრება – ეს არის ძირითადი უფლებების გამოხატვის ამ ფორმის გარდაუვალი შედეგი. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დამრღვევი არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებს (რამეთუ ნივთის გაუფრთხილებელი დაზიანება ისედაც არადასჯადი ქმედებაა გერმანიაში), არადამაჯერებელია მათა ძირითადი უფლებებით დაცვის გარეშე დატოვება. თუმცა, აღნიშნული დაცვა ვრცელდება უმნიშვნელო და გარდაუვალ მატერიალურ დაზიანებებზე, როდესაც ძირითადი უფლებების გამოყენებაზე (ანუ პროტესტზე უარის თქმა მხოლოდ ამის გამო) უარის თქმა არათანაბომიერი ჩარევა იქნებოდა.

c) სისხლისსამართლებრივი ნორმების კონსტიტუციასთან თავსებადი გამოყენება

შედარებით მარტივია ისეთი შემადგენლობების კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეზღუდვა, როგორიცაა ცილისწამება ან შებღალვა (მაგა-

70 *Grabenwarter*, in: Dürig/Herzog/Scholz, Grundgesetz-Kommentar, Stand: 99. Ergänzungslieferung 2022, Art. 5 Abs. 1, Abs. 2 GG Rn. 82.

71 *Paulus*, in: von Mangoldt/Klein/Starck, Grundgesetz, 7. Aufl. 2018, Art. 5 Rn. 95.

72 *Grabenwarter*, in: Dürig/Herzog/Scholz, Grundgesetz-Kommentar, 99. Ergänzungslieferung 2022, Art. 5 Abs. 1, Abs. 2 GG Rn. 82; მსგავსი დიფერენცირების გარეშე OLG Köln NJW 1970, 1322 (1324) – აღნიშნულ შემთხვევაში, საქმე ეხებოდა სხვისი ნივთების მითვისებას.

ლითად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე პარაგრაფი), ვინაიდან ისინი ბევრ შეფასებით კრიტერიუმს შეიცავს. აქვს თუ არა კონკრეტულ ქმედებას ამგვარი ხასიათი, ვინაშით უნდა განიმარტოს ძირითადი უფლებების კონტექსტში. ბევრად უფრო რთულია ვითარება, როდესაც საქმე გვაქვს ისეთ აღწერილობით ქმედების შემადგენლობის ნიშნებთან, როგორებიცაა ნივთების დაზიანება ან განადგურება (მაგალითად, აბრაზე მიბმის შედეგად წარმოქმნილი ნაკანრები). ასეთ შემთხვევებში ქმედების შემადგენლობის ნიშნების არსებობა მარტივად დგინდება. შესაბამისად, პასუხისმგებლობის გამორიცხა შეიძლება მართლწინააღმდეგობის საფეხურზე მოხდეს. თუმცა, უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევებისას (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე პარაგრაფი), ჩნდება კითხვა, თუ რამდენად იმნუთიერი იყო საფრთხე. ამას ვერ ვიტყვით გრძელვადიან პერსპექტივაში მოსაგვარებელი საკითხების მიმართ (როგორიცაა, მაგალითად, CO₂ გამონაბოლქვის საკითხი). 34-ე პარაგრაფი ეხება იმნუთიერ საფრთხეს და მისი ამოქმედება ვერ მოხდება მხოლოდ კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული, მომავალში რეალიზებადი საფრთხეების საფუძველზე. გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს საზოგადოების ნაკლები პოლარიზების გამომწვევი, პროტესტის ალტერნატიული ფორმებიც (ისე, რომ არ დადგეს მატერიალური ზიანი), რაც, თავის მხრივ, უფრო შესაფერისი იქნებოდა დემონსტრანტების გრძელვადიანი მიზნების. ყოველივე აქედან გამომდინარე, ვერ მოხდება დასჯადობის გამორიცხვა მართლწინააღმდეგობის საფეხურზე. შესაბამისად, გამოსავალი უნდა მოიხაზოს ძირითადი უფლებების საფუძველზე გამართლებაში.

IV. დასკვნა: არ არსებობს ძირითად უფლებებსა და სისხლისსამართლებრივ ნორმებს შორის კონფლიქტის მოგვარების „სამეფო გზა“

სხვადასხვა დელიქტური ჯგუფის მიმოხილვა სრულდება ერთგვარი პარადოქსული დასკვნით. განსაკუთრებით ფართო, განუსაზღვრელი და, ამდენად, კანონიერების პრინციპის გათვალისწინებით, პრობლემური ნიშნები ამარტივებს ვინაშით, ძირითად უფლებებზე ორიენტირებულ განმარტებას. თუმცა, ეს არ უნდა იქნას გაგებული, როგორც სისხლისსამართ-

თლებრივი ნორმების ამგვარი განმარტების საბოლოო, დასკვნითი სიტყვა. რამეთუ სიტყვის თავისუფლების დასაცავი ეს გზა იქნებოდა ბევრად უფრო რთული. მისი ფასის „გადახდა“ მოხდებოდა ამ სისხლისსამართლებრივი ნორმების განსაზღვრულობის სერიოზული დაკარგვით, რომელთა მიმართ იმთავითვე არსებობს კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტანდარტი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტი). შემთხვევითობა არაა, რომ ცალკეულ, აქ განხილულ კონსტელაციებში (უწინარეს ყოვლისა, ძალადობის ცნება) ცალკეული ქმედებების დაუსჯელობა წარმოიქმნა კანონიერების პრინციპიდან. საუბარი არაა კანონისმიერი ესთეტიკის საკითხზე. მაშინაც კი, როდესაც მსგავსი ბუნდოვანი ნიშნები განიხილება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამართლებრივი სახელმწიფოს კონტექსტში, სიტყვის თავისუფლების გასაძლიერებლად, მათი სხვაგვარი მოქმედება ახდენს საწინააღმდეგო ეფექტს. თავისუფალი, დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს ეროზიის შემთხვევაში, რაზეც მიდის ინტენსიური მუშაობა, ბუნდოვანი, დაუმუსტებელი შემადგენლობები შესაძლებელს ხდის ძირითადი უფლებების უხეშად დარღვევას. პოლიტიკური დემონსტრაციების კონტექსტში, ძირითად უფლებებსა და სისხლისსამართლებრივ ნორმებს შორის კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, პრიორიტეტული გადაწყვეტა მდგომარეობს იმაში, რომ სწორედ სისხლისსამართლებრივი შემადგენლობის შექმნის ეტაპზევე მოხდეს სიფრთხილის გამოჩენა.

გამოხატვის თავისუფლება საქართველოში – ძლიერი კონსტიტუციური დაცვის ნაცრისფერი ხვრელები

დავით ზედელაშვილი

კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise, საქართველოს უნივერსიტეტი

I. შესავალი

გამოხატვის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით ძირითადად დაცვის მაღალი ხარისხით სარგებლობს. თუმცა, ეს ნორმატიული რეალობა ყოველთვის სათანადოდ არ რეალიზდება და გამოხატვის თავისუფლების დაცვის ნამდვილი ხარისხიც ჩამორჩება კონსტიტუციურ და სხვა სამართლებრივ მოთხოვნებს. თავის მხრივ, პრობლემა მხოლოდ აღსრულებითი ხასიათის არ არის და ნაწილობრივ პრობლემები აღსრულებაში სამართლებრივი მოწესრიგების ხარისხობრივი დეფექტებითაა გამოწვეული.

ამ სტატიის მიზნებისთვის, აღნიშნული დეფექტების გასაანალიზებლად გამოვიყენებთ სამართლებრივი ნაცრისფერი ხვრელის ცნებას.¹ ეს მეტაფორული ფორმის ცნება გავრცელებულია სამართლის ფილოსოფიაში და გამოიყენება სამართლებრივი შავი ხვრელის ცნებასთან ერთად. სამართლებრივი შავი ხვრელი იქმნება მაშინ, როდესაც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლების უფლებამოსილებას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი და ფარგლები, მათი ქმედება სამართლებრივი მოწესრიგების მიღმა, შესაბამისად დისკრეცია სრულად უკონტროლო და თვითნებობის შესაძლებლობა შეუზღუდავია.

სამართლებრივი შავი ხვრელისგან განსხვავებით, სადაც სამართლებრივ მოწესრიგებასა და შეზღუდვაზე ხელისუფლების უარი ნათლად გამოხატული ან მკაფიოდ ნაგულისხმევია, ნაცრისფერი ხვრელი იქმნება

1 *Dyzenhaus, Schmitt v. Dicey: Are States of Emergency Inside or Outside the Legal Order*, *Cardozo Law Review*, 2009, 27.

სამართლებრივი მოწესრიგების ხარისხობრივი დეფექტით. ნაცრისფერ ხვრელში თვითნებობის შესაძლებლობა იქმნება და რეალიზდება კანონის ისეთი ხარისხობრივი დეფექტის მეშვეობით, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ხელისუფლების თანამდებობის პირებს შეასუსტონ ან თავი აარიდონ ძალაუფლების განხორციელების სამართლებრივ შემლუდვას, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, გამოწვეულია თანამდებობის პირის უფლებამოსილებით აღმჭურველი კანონის არასათანადო სიცხადით.

ალტერნატიულად, იგივე შედეგი დგება პირის სამართლებრივი უფლებების, მისი სამართლებრივი მდგომარეობის განუსაზღვრელობით, რაც ასუსტებს ან ეფექტურად აუქმებს ამ უფლებების სამართლებრივი საშუალებებით დაცვას, რაც თავის მხრივ ქმნის სახელისუფლებო თვითნებობისთვის უკონტროლო სივრცეს.

ამ სტატიაში ვიმსჯელებთ ასეთი ნაცრისფერი ხვრელის შესახებ, რომელიც კონსტიტუციური ინტერპრეტაციის საშუალებით იქმნება, რაც აუარესებს გამოხატვის თავისუფლების დაცვის ხარისხს ან ქმნის ასეთი გაუარესების სამართლებრივ შესაძლებლობას კანონმდებლის მიერ საკანონმდებლო ნაცრისფერი ხვრელის შექმნის ან არსებულის შენარჩუნების გზით.

II. გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციური და საკანონმდებლო დაცვა

გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციური დაცვის საფუძველია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი.² ეს მუხლი აერთიანებს დაცვის იმ ელემენტებს, რომლებიც წინა რედაქციებში მე-19 და 24-ე მუხლებში იყო გადანაწილებული. კერძოდ, მე-17 მუხლის პირველი პუნქტი იცავს ამრისა და მისი გამოხატვის თავისუფლებას (წინა რედაქციაში დაცული იყო მე-19 მუხლით), ხოლო მეორე პუნქტი იცავს ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლებას (წინა რედაქციაში დაცული იყო 24-ე მუხლით). საკონსტიტუციო სასამართლოს იურისპრუდენციამ გამოხატვის

2 საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.

თავისუფლების დაცვის ძირითად წყაროდ სწორედ ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება წამოსწია წინ.

მე-17 მუხლის პირველ პარაგრაფში ახალბურად ჩამოყალიბებული „აზრისა და მისი გამოხატვის“ თავისუფლება ქმნის სივრცეს, რომ დროთა განმავლობაში მანაც შეიძინოს მნიშვნელობა სასამართლოს იურისპრუდენციაში, იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება, მისი ფართო დაცული სფეროს მიუხედავად ვერ ამოწურავს კონსტიტუციით დაცული გამოხატვის ყველა ასპექტს.

კონსტიტუციური დაცვის მიღმა, გამოხატვის თავისუფლების საკანონმდებლო დაცვის ჩარჩოს ქმნის „საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“.³ მიუხედავად მისი ფორმალური სტატუსისა, ეს კანონი მიეკუთვნება „მატერიალური გაგებით საკონსტიტუციო სამართალს“⁴, აწესრიგებს რა ძირითადი კონსტიტუციური უფლების დაცვას საკანონმდებლო დონეზე, აზუსტებს და დეტალურად აყალიბებს ამ უფლების შინაარსის განმსაზღვრელ და სამართლებრივი დაცვის ძირითად წესებსა და სტანდარტებს.

ეს კანონი მიეკუთვნება ე.წ. „სუპერ საკანონმდებლო აქტების“⁵ რიგს, რამდენადაც მოიცავს სხვა საკანონმდებლო აქტების განმარტებისთვის წესებსა და სტანდარტებს. სწორედ მასში მოცემული სტანდარტებისა და წესების დამსახურებაა გამოხატვის თავისუფლების დაცვის ხარისხის ამაღლება სხვა საკანონმდებლო აქტებში არსებული დაბალი დაცვის გაზრდის გზით. ამის ყველაზე ცხადი მაგალითი არის ცილისწამების მონესრიგება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონით, რომელმაც არსებითად აამაღლა მანამდე სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით⁶ გათვალისწინებული დაცვა და საბოლოოდ ამ უკანასკნელი მუხლის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კანონის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანით დასრულდა.

3 საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, სსმ, 19, 15/07/2004.

4 *Grimm*, Types of Constitutions, in: Rosenfeld/Sajó (eds), *The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law* (2012; online edn, Oxford Academic, 21 Nov. 2012).

5 *Eskridge Jr./JFerejohn*, Super-Statutes, 50 *Duke Law Journal*, 2001, 1215-1276.

6 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997.

III. გამოხატვის თავისუფლების დაცვის ნაცრისფერი ხვრელები სისხლის სამართალში: ბედმეტად ფართოდ მონესრიგება და ნორმის ბუნდოვანება საკონსტიტუციო სასამართლოს იურისპრუდენციაში

ადამიანის უფლებების დოქტრინასა და იურისპრუდენციაში სამართლის უზენაესობის მოთხოვნებსა და ადამიანის უფლებების დაცვას შორის არსებითი კავშირი ცენტრალურ და მყარად აღიარებულ ადგილს იკავებს.⁷ ამის მიუხედავად, კონსტიტუციური სისტემების კონტექსტუალური მახასიათებლები ყოველთვის არ უწყობენ ხელს ამ ელემენტების სინერგიას ადამიანის უფლებების დაცვის ოპტიმალური ხარისხის მისაღწევად.⁸

მაგალითისათვის მოვიხმობთ და გიმსჯელებთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისპრუდენციაზე, რომელიც კანონის ხარისხის მოთხოვნების დარღვევის საფუძველზე ადგენს გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ შეზღუდვას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები, მათ შორის სამართლებრივი სახელმწიფოს (სამართლის უზენაესობის) პრინციპი პირდაპირ არ გამოიყენება ნორმათა კონსტიტუციურობის შესაფასებლად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ირჩევს „შეზღუდული ნორმატივიზმის“⁹ კონსტიტუციური ინტერპრეტაციის დოქტრინას და ძირითად, კონსტიტუციურ პრინციპებს იყენებს მხოლოდ კონსტიტუციის ტექსტთან ერთად, ძირითადი უფლებების შემთხვევაში, ამ უფლებების განმარტებისას და ნორმატიული აქტების მათთან შესაბამისობის განსაზღვრისას.

შეზღუდული ნორმატივიზმის მიდგომის შემომტან საკვანძო გადან-

7 *ერემაძე*, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, 2013.

8 *Sajó*, “The Rule of Law.” Chapter. In *The Cambridge Companion to Comparative Constitutional Law*, edited by Roger Masterman and Robert Schütze, 258–90. Cambridge Companions to Law. Cambridge: Cambridge University Press, 2019.

9 *Goldsworthy*, *Constitutional Interpretation*, in: Rosenfeld/Sajó (eds), *The Oxford Handbook of Comparative Constitutional Law* (2012; online edn, Oxford Academic, 21 Nov. 2012).

ყვეტილებაში¹⁰, ფარული მიყურადების უფლებამოსილების მიმნიჭებელი ნორმის არასათანადო სიცხადით განსაზღვრა, კეთილსინდისიერ განმმართველს უტოვებდა გონივრულ შესაძლებლობას, ამ ნორმის საფუძველზე ფარული მიყურადება სასამართლოს ნებართვის გარეშე განხორციელება დაეშვა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური უფლების საწინააღმდეგოდ.

„საიას საქმე“ ერთ-ერთი გამონაკლისი გადაწყვეტილებათაგანია, სადაც საკონსტიტუციო სასამართლო შებლუდულ ნორმატივიზმს წმინდა ფორმითა და სრულად იყენებს – ძირითადი უფლების შებლუდვას ადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან ნორმის წინააღმდეგობის საფუძველზე.

სისხლის სამართალში სამართლის უზენაესობის პრინციპის ძირითად წყაროდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ირჩევს კონსტიტუციაში მის ტექსტუალურად არტიკულირებულ ელემენტებს, კერძოდ, კანონიერების პრინციპს პასუხისმგებლობის დამდგენი სამართლებრივი ნორმების მიმართ, მათ შორის სისხლის სამართალში (*nullum crimen, nulla poena sine lege*) და პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმების რეტროაქტიური კანონით დაწესების კატეგორიულად აკრძალვას. ეს გარანტიები ამჟამად მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტში¹¹ (42-ე მუხლის მე-5 პუნქტი წინა რედაქციაში).

ამ ორი ურთიერთდაკავშირებული პრინციპიდან არის ნაწარმოები სისხლის სამართალში კანონის განსაზღვრულობისა და განჭვრეტადობის მკაცრი ხარისხობრივი მოთხოვნები. 2022 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებამდე ლოგუას საქმეზე¹², საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სისხლის სამართალში სამართლის უზენაესობის ტექსტუალურ კონსტიტუციურ გარანტიებთან ერთად, გამოხატვის თავისუფლების საქმე-

10 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407, საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

11 *Supra*, სქოლიო 2.

12 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/8/926, საქმეზე გიორგი ლოგუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ეპი იყენებდა გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე ნორმის განსაზღვრულობის მოთხოვნებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე ნორმის განსაზღვრულობის მოთხოვნები განავითარა „მსუსხავი ეფექტის“ დოქტრინასთან კავშირში. მნიშვნელოვანია, რომ „მსუსხავი ეფექტის“ დოქტრინიდან გამომდინარე განსაზღვრულობის მოთხოვნები არ შემოიფარგლება მხოლოდ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დამწესებელი ნორმებით და მიემართება ზოგადად სამართლებრივი პასუხისმგებლობის დამწესებელ ნორმებს.

სამართლებრივი პასუხისმგებლობის შიშის საფუძველზე თვითცენზურის დაუშვებლობა ქმნის „მსუსხავი ეფექტის“ დოქტრინის ძირითად შინაარსს. შესაბამისად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისპრუდენციაში „მსუსხავი ეფექტის“ დოქტრინის გამოყენების შემთხვევები სისხლისსამართლებრივ ნორმებს მიღმაც გვხვდება.¹³

შესაბამისად, სისხლის სამართლებრივი ნორმების გამოხატვის თავისუფლებასთან შესაბამისობის შემოწმებისას „მსუსხავი ეფექტის“ დოქტრინიდან გამომდინარე განსაზღვრულობის მოთხოვნების გამოყენებას ავტონომიური წყარო გააჩნია თავად გამოხატვის თავისუფლებაში და არ არის ნაწარმოები კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნებიდან.

აღნიშნული ინტერპრეტაცია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განავითარა 2013 წლის გადაწყვეტილებაში „ბარამიძისა და სხვები“.¹⁴ აღნიშნულ საქმეში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განუსაზღვრელობის საფუძვლით გამოხატვის თავისუფლების (ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების ასპექტი) საწინააღმდეგოდ მიიჩნია

13 იხილეთ, მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/3/421,422 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

14 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება N2/2/516,542, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვები „ან უცხოეთის ორგანიზაციის“, რომელიც იძლეოდა შესაძლებლობას უცხოეთის ნებისმიერი ორგანიზაციისთვის ნებისმიერი ინფორმაციის გადაცემა სისხლისსამართლებრივად დასჯილიყო როგორც ჭაშუშობა. საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად: „...გამოხატვის თავისუფლების სფეროში პასუხისმგებლობის დაწესებისას, იგი აუცილებლად უნდა პასუხობდეს განსაზღვრულობის ისეთ სტანდარტს, რომელიც გამოიხატავს „მსუსხავ ეფექტს“ პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი რეგულირების გარეთ მოქცეული გამოხატვის თავისუფლების მიმართ. სადავო ნორმა გარკვეული წინაპირობების არსებობისას (საქართველოს ინტერესებისთვის საზიანოობა) პირთა ფართო ჯგუფთან (უცხოეთის ორგანიზაციები) ურთიერთობისათვის აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. თუმცა საკითხს, უცხოეთის რომელი ორგანიზაციის დავალებით ინფორმაციის შეგროვება და გადაცემა შეიძლება იყოს დანაშაული, კანონმდებელი, ერთი მხრივ, სამართალშემფარდებლის, მეორე მხრივ კი, ნორმის შესაძლო სუბიექტთა განმარტების ამარა ტოვებს. გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში მოქმედი პირი შესაძლებელია სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ აღიქვამდეს უცხოეთის ორგანიზაციების იმაზე ფართო სპექტრთან თანამშრომლობას, ვიდრე ამას სადავო ნორმა ითვალისწინებს. შესაძლებელია პირმა უარი თქვას რიგ უცხოეთის ორგანიზაციებთან ურთიერთობაზე იმის შიშით, რომ ეს შეიძლება სახელმწიფოსთვის საზიანო იყოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმას გააჩნია „მსუსხავი ეფექტი“ გამოხატვის თავისუფლებაზე, რადგან რეალურად აქვს უფლების შეზღუდვის იმაზე გაცილებით ფართო ეფექტი, ვიდრე ეს სადავო ნორმითაა გათვალისწინებული, რისი შეზღუდვაც კანონმდებელს უნდოდა და რომელიც აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობისთვის.“¹⁵

საკონსტიტუციო სასამართლო იგივე ნორმას მიიჩნევს მაშინ მოქმედი რედაქციით კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის საწინააღმდეგოდ. ერთი და იგივე ხარისხობრივი დეფექტი საფუძვლად ედება ნორმის არაკონსტიტუციურად მიჩნევას ორ სხვადასხვა კონსტიტუციურ ნორმასთან მიმართებით.

15 Ibid. პარაგრაფი 26.

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ ციტირებული დასაბუთებიდან ცხადი ხდება, რომ გამოხატვის თავისუფლების პერსპექტივიდან გასაჩივრებული ნორმის განსაზღვრულობის დეფექტი მიეკუთვნება ე.წ. „ზედმეტად ფართოდ მოწესრიგების“ შემთხვევას. განსაზღვრულობის ეს დეფექტი ცნობილია სხვა კონსტიტუციურ იურისდიქციებშიც, მაგალითად, აშშ-ი უზენაესი სასამართლოს პირველი შესწორების იურისპრუდენცია იცნობს მსგავს დოქტრინას („overbreadth”).¹⁶

ზედმეტად ფართოდ მოწესრიგების შემთხვევაში, ნორმა მკაფიოდ არ შემოსაზღვრავს იმ გამოხატვის ფარგლებს, რომლის რეგულირება/შემზღუდვა კონსტიტუციურად დასაშვებია. ეს, ერთი მხრივ, სამართლის შემფარდებელს/განმმართველს აძლევს დაცული გამოხატვის კონსტიტუციის სანადადმდეგოდ შეზღუდვის საკანონმდებლო საფუძველს, ხოლო მეორე მხრივ კი ნორმის სუბიექტებს უბიძგებს თვითცენზურისკენ, „მსუსხავ ეფექტს“ ავლენს.

„ბარამიძისა და სხვების“ საქმეში, საკონსტიტუციო სასამართლო ზედმეტად ფართოდ მოწესრიგებიდან გამომდინარე განსაზღვრულობის დეფექტს მოიაზრებს როგორც გამოხატვის თავისუფლების, ისე კანონიერების პრინციპების კონსტიტუციური მოთხოვნების დარღვევად. სასამართლოს დასაბუთებიდან ცხადია, რომ მას არაკონსტიტუციურობის ეს საფუძვლები ერთმანეთთან დაკავშირებულად, თუმცა მაინც დამოუკიდებელ საფუძვლებად ესმის. ზედმეტად ფართოდ მოწესრიგების აკრძალვა გამოხატვის თავისუფლებიდან ნაწარმოები ხარისხობრივი სტანდარტია, რომელიც ავტონომიური შინაარსისაა და არ არის ექსკლუზიურად ნაწარმოები პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების მიმართ კანონიერების პრინციპის მოთხოვნებიდან.

შესაბამისად, ის კონსტიტუციური დაცვა, რომელიც ამ გარანტიების ერთობლივად გამოყენებით იქმნება, ძლიერია და კანონმდებელს ნაცრისფერი ხვრელების შექმნის შესაძლებლობას მნიშვნელოვნად უმცირებს. სწორედ ამ პერსპექტივიდან უნდა წავიკითხოთ კრიტიკულად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილება „ლოგუას საქმეზე“.

16 Fallon, Making Sense of Overbreadth, The Yale Law Journal 100, no. 4, 1991, 853–908.

ამ უკანასკნელ გადაწყვეტილებაში გასაჩივრებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლის პირველი ნაწილის ის სიტყვები, რომლითაც იკრძალება „პორნოგრაფიული ნაწარმოების, ნაბეჭდი გამოცემის, გამოსახულების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ გავრცელება ან რეკლამირება, აგრეთვე ასეთი საგნით ვაჭრობა ანდა მისი შენახვა გაყიდვის ან გავრცელების მიზნით“.

საკონსტიტუციო სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტაცია და სიტყვა „პორნოგრაფიული“ განუსაზღვრელად მიიჩნია. უფრო ზუსტად, საკონსტიტუციო სასამართლომ „პორნოგრაფიული“ ბუნდოვან ცნებად მიიჩნია, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა სისხლის სამართალში კანონიერების კონსტიტუციური პრინციპის მოთხოვნებს.

ბუნდოვანება, ნორმის განუსაზღვრელობის ცალკე სახეა, რომელიც განსხვავდება ზედმეტად ფართო მოწესრიგებისგან. ბუნდოვანების პრობლემა განსაკუთრებით კი სისხლის სამართალში უფრო კომპლექსურია ვიდრე ზედმეტად ფართო მოწესრიგება. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ბუნდოვანებამ შეიძლება გამოიწვიოს ასევე სამართლებრივი მოწესრიგების/დაცვის არეალიდან გამორიცხვა იმ სიკეთისა, რომლის სამართლებრივი დაცვის ვალდებულებაც კონსტიტუციის შესაბამისად არსებობს.

შესაბამისად, ბუნდოვანებისგან გამომწვეული შეიძლება იყოს როგორც ზედმეტად ფართო, ისე ზედმეტად ვიწრო სამართლებრივი მოწესრიგება, რომელთაგან ორივემ შეიძლება კონსტიტუციის დარღვევის შედეგი მოიტანოს.

ლოგუას საქმეში აღნიშნული ხარისხობრივი დეფექტი საკონსტიტუციო სასამართლომ მხოლოდ 31-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით დაადგინა, ხოლო გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით მსჯელობაზე უარი თქვა. როგორც საქმის განმხილველი კოლეგიის ორმა მოსამართლემ განსხვავებულ აზრში აღნიშნა, საკონსტიტუციო სასამართლომ ამ გადაწყვეტილებაში „ბარამიდის და სხვების“ საქმეში დადგენილი პრაქტიკა არ დაიცვა და გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავი ნორმის ხარისხობრივ დეფექტებზე თავად გამოხატვის თავისუფლებიდან, კერძოდ კი „მსუსხავი ეფექტის“ დოქტრინიდან ნაწარმოები ხარისხობრივი მოთხოვნებით არ იმსჯელა.

მიუხედავად იმისა, რომ „ბარამიძისა და სხვების“ საქმეში ხარისხობრივი დეფექტი ზედმეტად ფართო მონესრიგება იყო, ხოლო „ლოგუას საქმეში“ კი ბუნდოვანება, ეს უკანასკნელიც ისევე შეფასებადია „მსუსხავი ეფექტიდან“ გამომდინარე ხარისხობრივ მოთხოვნებთან მიმართებით, როგორც ზედმეტად ფართოდ მონესრიგების დეფექტი.

ამ ნაბიჯის გასამართლებლად საკონსტიტუციო სასამართლომ შემდეგი არგუმენტი წარმოადგინა: „... შესაბამისად, ვინაიდან შეუძლებელია სადავო ნორმით აკრძალული ქმედებების ზუსტი იდენტიფიცირება, საკონსტიტუციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, ეს ბუნდოვანი და ამორფული შინაარსისა თუ ფარგლების მქონე მოცემულობა შეაფასოს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ სხვა უფლებებთან, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ გამოხატვისა თუ ინფორმაციის თავისუფლებასთან მიმართებით... საკონსტიტუციო სასამართლოს არ ესახება არც შესაძლებლად და არც მიზანშეწონილად, ჰიპოთეზურად იმსჯელოს ზემოაღნიშნულ საკითხებზე წინამდებარე სარჩელისა და ნორმატიული მოცემულობის ფარგლებში, ვიდრე კანონმდებელი არ ჩამოაყალიბებს ნათელ და განჭვრეტად ნორმას პორნოგრაფიის დანაშაულის შემადგენლობაზე, რომელიც დააკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი წინადადების მოთხოვნებს. ეს იმის ტოლფასი იქნებოდა, სასამართლომ მის მიერვე ბუნდოვნად მიჩნეულ ნორმას ჯერ თავად მიანიჭოს ზუსტი კონკრეტული შინაარსი და შემდეგ ნორმის საკუთარი ინტერპრეტაცია, მასში მის მიერვე ნაგუღვები შინაარსი შეაფასოს გამოხატვის თავისუფლებასთან ანდა კონსტიტუციის სხვა ნორმასთან მიმართებით.“¹⁷

საკონსტიტუციო სასამართლოს ეს მსჯელობა მოკლებულია თანმიმდევრულობას. საკონსტიტუციო სასამართლოსგან არავინ მოითხოვდა ბუნდოვნად მიჩნეული ნორმისთვის ჯერ თავად მიენიჭებინა შინაარსი და შემდეგ შეეფასებინა მისი შესაბამისობა გამოხატვის თავისუფლებასთან. სასამართლოს არგუმენტაციის წინააღმდეგ კრიტიკის ღერძი გადის სასამართლოსვე მიერ დადგენილი პრაქტიკის უარყოფაზე შესაბამისი დასაბუთების გარეშე.

17 Supra, სქოლიო 12, პარაგრაფი 50.

კერძოდ, მათ შორის „ბარამიძისა სხვების“ გადაწყვეტილებიდან ნათლად იკვეთება, რომ გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დანსება განუსაზღვრელი ნორმის საფუძველზე ქმნის „მსუსხავ ეფექტს“, რაც ეწინააღმდეგება გამოხატვის თავისუფლებას. „ლოგუას საქმეზე“ საკონსტიტუციო სასამართლომ უარყო ეს სტანდარტი და ამის გასამართლებლად რელეგანტური დასაბუთება საერთოდ არ წარმოუდგენია.

არადამაკმაყოფილებელია ასევე სასამართლოს მხრიდან საკონსტიტუციო კონტროლის „დიალოგური“ მიდგომის შესაძლო მოშველიებაც.¹⁸ დიალოგური მოდელი ითვალისწინებს თანასწორ პირობებში მყოფი ორი კონსტიტუციური ინსტიტუტის (სასამართლო და საკანონმდებლო ორგანო) თანამშრომლობას კონსტიტუციის განმარტებისა და აღსრულების საქმეში.

„ლოგუას საქმეში“ სასამართლო გადაავადებს გადაწყვეტილების ამოქმედების დროს, რითაც პარლამენტს აძლევს ნორმის ხარისხობრივი დეფექტის აღმოფხვრის შესაძლებლობას (დიალოგური კონტროლის მექანიზმის გამოყენება), თუმცა არავითარ სახელმძღვანელო სტანდარტს არ განსაზღვრავს კანონმდებლისთვის, რამდენადაც საერთოდ უარს ამბობს გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით ნორმის შეფასებაზე.

ამ მხრივ, სასამართლოს კონტრარგუმენტი ამოიკითხება მის დასაბუთებაში, რომ მხოლოდ მას შემდეგ შეაფასებს ნორმის კონსტიტუციურობას გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით, რაც კანონმდებელი დაძლევს კანონის ხარისხობრივ დეფექტს. აქ სასამართლო თითქოს მკაცრად რჩება *ex post* საკონსტიტუციო კონტროლის პარადიგმაში.

თუმცა გაუგებარია, მაშინ რატომ შედის საკონსტიტუციო სასამართლო საკანონმდებლო ორგანოსთან დიალოგის რეჟიმში, თუ საკუთარი ფუნქცია მხოლოდ მკაცრად *ex post* კონტროლისა და „ნეგატიური კანონმდებლის“ პარადიგმაში წარმოუდგენია. ამ ნაბიჯის გამართლება კიდევ უფრო სუსტდება, თუ გავიაზრებთ, რომ ლოგუას საქმეზე გადაწყვეტილებაში, პორნოგრაფიის რეგულირებასთან დაკავშირებით გამოხატვის თავისუფლების დაცვის მიზნით, სასამართლომ უარყო ნორმის კონსტიტუციურობა.

18 *Benhabib*, *Dialogic Constitutionalism and Judicial Review*, *Global Constitutionalism* 9, no. 3, 2020, 506–14.

ვისუფლებით დასაშვები კონსტიტუციური ფარგლების მკაფიოდ ჩამოყალიბებით, სასამართლოს შექმნილ თავიდან აცილებინა/შემსუბუქებინა მკაცრი ex post კონტროლის აუცილებლობა პარლამენტის მიერ ნორმის ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შემდეგ (გადაწყვეტა, რომელიც მეტ თანხვედრაში იქნებოდა დიალოგური კონტროლის მიზნებთან.)

ცხადია, ეს დაშვება მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ მხარეები კეთილსინდისიერად ეკიდებიან საკუთარ ფუნქციებს კონსტიტუციურ დემოკრატიაში. ხოლო, თუ არც კონსტიტუციური დემოკრატის ინსტიტუტებთან გვაქვს საქმე და მხარეთა კეთილსინდისიერი დამოკიდებულებაც საეჭვოა, უფრო ახსნადი ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს ქცევა ლოგუას საქმეში. ისეთ ინსტიტუციურ კონსტელაციაში, სადაც სასამართლო თავს არ იწუხებს პარლამენტს განუსაზღვროს საკანონმდებლო ძალაუფლების კონსტიტუციური ფარგლები, რომლებიც ისედაც აღუსრულებლობისთვისაა განწირული, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გარეგნულად დიალოგური კონტროლის განხორციელებისკენ მიმართული ნაბიჯი (გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება) მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკური ძალაუფლებისადმი მორჩილ მდგომარეობას ნიღბავს.

IV. დასკვნა

არათანმიმდევრულობა სასამართლოს დასაბუთებაში, რომელიც იკითხება როგორც კანონმდებლისადმი და მისი კონსტიტუციური დისკრეციისადმი რევერანსი, საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების ეჭვებს უფრო მეტად აძლიერებს. ამ ნაბიჯით სასამართლო იმავდროულად ავიწროვებს გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციურ დაცვას (იძლევა რა ამგვარი ინტერპრეტაციის გონივრულ საფუძველს) და ამით ქმნის ნაცრისფერ ხვერლს გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციურ დაცვაში, რაც თავის მხრივ უტოვებს კანონმდებელს საკანონმდებლო ნაცრისფერი ხვერელების შექმნის უფრო ფართო შესაძლებლობას.

სოციალური ქსელები და გამონათვის თავისუფლება გერმანიაში

პროფ. დოქტ. საპ. დოქტ. მარტინ პაულ ვასმერი, კიოლნის უნივერსიტეტი

I. შესავალი

სოციალური ქსელებით, რომელთა საშუალებითაც მომხმარებლები გარკვეულ ინფორმაციას ერთმანეთს უზიარებენ ანდა საჯარო სივრცისათვის ხელმისაწვდომს ხდიან, ყოველდღიურად მილიარდობით ადამიანი სარგებლობს. სამწუხაროდ, ასეთი ქსელები დანაშაულებრივი კონტენტების გავრცელებასაც ემსახურება. ჯერ კიდევ 2015 წელს იუსტიციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფედერალურმა სამინისტრომ (BMJV) შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც სოც. ქსელებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან შედგებოდა. ამის ფარგლებში, რამოდენიმე კომპანია საკუთარი ნებით დაეთანხმა გარკვეული ვალდებულებების შესრულებას. გათვალისწინებული იყო კრიტიკული კონტენტების გამოაშკარავებისთვის მექანიზმების შექმნა, 24 საათიან რეჟიმში მათი გადამოწმება და დანაშაულებრივი ნიშნების შემცველი მასალის წაშლა.¹ არასრულწლოვანთა დაცვის პლატფორმის (Jugendschutz.net) მიერ ჩატარებული მონიტორინგის თანახმად, კომპანიებმა ნაკისრი ვალდებულება არასათანადოდ შეასრულეს. Facebook-მა დანაშაულებრივი კონტენტების მხოლოდ 39% წაშალა. Twitter-მა კი მხოლოდ 1%.² დიდმა საპარლამენტო კოალიციამ (CDU, CSU, SPD), შექმნილ ვითარებას 2017 წლის 19 სექტემბერს, მე-18 საპარლამენტო პერიოდის დასრულებამდე, სოციალურ

1 BT-Drs. 18/12356, S. 11.

2 BT-Drs. 18/12356, S. 11; კრიტიკ. მეთოდისკანთან დაკავშირებით *Liesching, Beck-Blog vom 26.5.2017*, <https://community.beck.de/2017/05/26/netzgd-entwurf-basiert-auf-bewertungen-von-rechtslaen>.

ქსელებში სამართალგანხორციელების გაუმჯობესების შესახებ კანონის შექმნით უპასუხა (Netzwerkdurchsetzungsgesetz - NetzDG).³ სსენებული კანონი, რომელიც 2017 წლის 1 ოქტომბერს შევიდა ძალაში, სიძულვილის შემცველი და სხვა დანაშაულებრივი კონტენტების გავრცელებასა და მართალწერიდს მოწყვეტილი სივრცეების შექმნას უნდა დაპირისპირებოდა. ამისათვის, იმ სოც. ქსელებს, რომლებსაც გერმანიაში მინიმუმ 2 მილიონი რეგისტრირებული მომხმარებელი ყავდათ (NetzDG, მუხლი 1, აბზაცი 2), საჩივართა მართვა-დაფიქსრების სისტემის შექმნა დაევალიათ.⁴

სსენებული კანონი, თავიდანვე ძალიან სადავო იყო.⁵ 2017 წლის 19 ივნისს, იურიდიულ კომიტეტში შემდგარი საჯარო მოსმენის დროს, ათიდან რვა ექსპერტმა სსენებულ კანონთან დაკავშირებით მკვეთრად კრიტიკული პოზიცია გამოხატა.⁶ ქრისტიან მირმა, - „ჟურნალისტები საზღვრებს გარეშე“ - აღნიშნა, რომ კანონი ავტოკრატული ქვეყნების პრაქტიკას გავდა და ბოროტად გამოყენების საფრთხეს ბადებდა.⁷ მანამდე, გაერთიანებული ერების სპეციალურმა წარმომადგენელმა გამოხატვის საკითხებში, დავიდ ქეიმ, სსენებული კანონი იმ ასპექტში გააკრიტიკა, რომ ეს უკანასკნელი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციებთან შეუთავსებლობას ავლენდა.⁸ მიუხედავად ამისა, NetzDG, მცირე ცვლილებებით,⁹ მაინც იქნა მიღებული.¹⁰ 2017 წლის 24 სექტემბერს დიდი საპარლამენტო კოალიციის ხელახალი არჩევის შემდეგ, ოპოზიციურმა პარტიებმა სსენებული კანონის კორექტირება მოითხოვეს. პარტიამ, ალტერნატივა გერმანიისთვის, AfD, NetzDG-ის სრული გაუქმება მოითხოვა¹¹, მემარცხენეებმა

3 BGBl. I S. 3352.

4 BT-Drs. 18/12356, S. 1.

5 იხ. მიმობილვა *Hoven/Gersdorf*, in BeckOK Informations- und Medienrecht, hrsgg. von Gersdorf/Paal, 37. Edition, Stand: 1.5.2021, § 1 Rn. 5 ff.

6 შეად. <https://www.bundestag.de/dokumente/textarchiv/2017/kw25-pa-rechtsdurchsetzung/510328>.

7 Deutscher Bundestag, Ausschuss für Recht und Verbraucherschutz, Protokoll 18/153, S. 22.

8 Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, OL DEU 1/2017; abrufbar unter <https://www.ohchr.org>.

9 შეად. BT-Drs. 18/13013, S. 18, 21 f.

10 BT-Plenarprotokoll 18/244, S. 25127C.

11 BT-Drs. 19/81.

საჩივართა მართვა-დაფიქსირების სისტემის გაუქმება მოითხოვეს¹² და თავისუფალმა დემოკრატებმა (FDP) კი მოქალაქეთა უფლებების გაძლიერებისთვის კანონის შექმნის იდეა წამოაყენეს.¹³ მიუხედავად ამისა, NetzDG, მემარჯვენე ექსტრემიზმისა და სიძულვილის აღმოფხვრის შესახებ 2021 წლის 30 მარტს მიღებული კანონით¹⁴ და სოც. ქსელებში სამართალგანხორციელების ცვლილების შესახებ 2021 წლის 3 ივნისს მიღებული კანონით¹⁵, კიდევ უფრო გამკაცრდა.

დღეისათვის, NetzDG-ის სახით მიღებულ კანონზე ზეწოლა საკმაოდ გაიზარდა. 2019 წლის 14 თებერვალს კიოლნის ადმინისტრაციულმა სასამართლომ¹⁶ პარტია თავისუფალ დემოკრატებში შემავალი დეპუტატების მიერ შეტანილი პრევენციული ხასიათის სარჩელი დაუშვებლად ცნო, რამდენადაც სასამართლოს ამრით, არც საკმარისი კონკრეტული სამართლებრივი არგუმენტი და არც კვალიფიციური აღიარების ინტერესი არ არსებობდა. სასამართლომ დაჩქარებული პროცედურის ფარგლებში, რომელიც Google-ისა და Meta-ს მიმართვას ეხებოდა, 2022 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ¹⁷ სოც. ქსელებში სამართალგანხორციელების ცვლილების შესახებ კანონის საფუძველზე (§3a - კომპანიების მიერ დანაშაულებრივი კონტენტების გამოაშკარეების ვალდებულება; §4a - იუსტიციის ფედერალური სამსახური {BfJ}, როგორც ზედამხედველი ორგანო) შექმნილი ორი ახალი რეგულაცია ევროკავშირის სამართალს ეწინააღმდეგებოდა.

საერთაშორისო დონეზე NetzDG, როგორც კანონპროექტი, მისაბაძი გახდა, მაგრამ საეჭვოა ამ უკანასკნელის დემოკრატიასთან თავსებადობა. ბელორუსიის პრეზიდენტი, ალექსანდრე ლუკაშენკო, 2017 წლის ივნისში, ინტერნეტ სივრცეში გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავი ღონისძიებების გატარებისას, ზუსტადაც რომ NetzDG-ში მოცემულ რეგულაციურ ბაზას დაეყრდნო.¹⁸ რუსეთში, 2017 წლის ივლისში, დუმას დეპუტა-

12 BT-Drs. 19/218.

13 BT-Drs. 19/204.

14 BGBl. I, S. 441.

15 BGBl. I, S. 1436.

16 VG Köln MMR 2019, 342.

17 VG Köln MMR 2022, 330 (Google); CR 2022, 259 (Meta).

18 <https://www.augsburger-allgemeine.de/politik/Soziale-Netzwerke-Facebook-Gesetz-Schiesst-Maas-uebers-Ziel-hinaus-id41792751.html>.

ტებმა NetzDG-ზე მითითებით წარმოადგინეს საკანონმდებლო ინიციატივა ინტერნეტ სივრცის გაკონტროლების შესახებ.¹⁹ საფრანგეთში, 2020 წლის 13 მაისს, NetzDG-ზე დაყრდნობით შემუშავდა კანონი ინტერნეტ სივრცეში სიძულვილის გამავრცელებელი კონტენტების აღმოფხვრის შესახებ (Loi Avia).²⁰ მიუხედავად ამისა, 2020 წლის 18 ივნისს, საფრანგეთის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა²¹, რომ ხსენებული კანონი დიდწილად ანტიკონსტიტუციურია, რამდენადაც გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა მიუღებელი, უსარგებლო და არათანაზომიერია. მსგავსად სხვა ქვეყნებისა, ავსტრიელი კანონმდებლებიც საკომუნიკაციო პლატფორმების შესახებ 2021 წლის 1 იანვარს ამოქმედებული კანონით²² უმეტესად NetzDG-ს დაეყრდნენ.

II. NetzDG-ის კომპეტენციის საფუძვლები

1. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკანონმდებლო კომპეტენცია

NetzDG არსებითად დაფუძნებულია გერმანიის ფედერაციის ე.წ. განაწილებულ საკანონმდებლო კომპეტენციაზე, გერმანიის ძირითადი კანონის 74-ე მუხლის პირველი აბზაცის 11-ე პუნქტის („ეკონომიკის სამართალი“) და თუ საქმე არასრულწლოვანთა დაცვას შეეხება, ამავე კანონის 74-ე მუხლის პირველი აბზაცის 7-ე პუნქტის (საზოგადოებაზე ზრუნვა) საფუძველზე.²³ სამართლებრივი ლიტერატურაში უმეტესად გამოთქმულია მოსაზრება²⁴, რომ NetzDG ფორმალურად არაკონსტიტუციურია, ვინაიდან

19 *Kalscheuer/Hornung NVwZ* 2017, 1721 m.w.N.

20 Loi n. 2020-766 du 24 juin 2020 visant à lutter contre les contenus haineux sur internet; https://www.legifrance.gouv.fr/jorf/id/JORFTEXT_000042031970.

21 *ib.* <https://www.conseil-constitutionnel.fr/decision/2020/2020801DC.htm>.

22 Bundesgesetz über Maßnahmen zum Schutz der Nutzer auf Kommunikationsplattformen (Kommunikationsplattformen-Gesetz, KoPl-G), Österreichisches BGBl. I Nr. 151/2020.

23 BT-Drs. 18/12356, S. 13.

24 *ib.* მხოლოდ *Feldmann K&R* 2017, 292, 293; *Gersdorf MMR* 2017, 439 ff.; *Kalscheuer/Hornung NVwZ* 2017, 1721, 1724 f.; *Ladeur/Gostomzyk K&R* 2017, 390 f.; *Liesching MMR* 2018, 26; *Nolte ZUM* 2017, 552, 561; *Wimmers/Heymann AfP* 2017, 93, 97.

ფედერაციას საერთოდ არ აქვს ამ სფეროში ჩარევის უფლებამოსილება, რამდენადაც აქ საქმე, პირველ რიგში, მომხმარებლებს შორის კომუნიკაციას ეხება. სოც. ქსელებში საჯარო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა, ვინაიდან სოც. ქსელების სახით საქმე გვაქვს საზოგადოებრივ ამრზე ზეგავლენის მომხდენ ინსტიტუტთან, გერმანიის ძირითადი კანონის 70-ე მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, უნდა ექვემდებარებოდეს არა ფედერაციის ცენტრალურ ხელისუფლებას, არამედ ფედერაციაში შემავალი ცალკეული ფედერალური მიწების ხელისუფლებებს. ამის საპირისპირო მოსაზრებით,²⁵ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად²⁶, ტერმინი „ეკონომიკის სამართალი“, ფართოდ განიმარტება და მოიცავს ყველა იმ ნორმას, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის განმსაზღვრელ თუ მარეგულირებელ ხასიათს ატარებს. NetzDG ავალდებულებს მხოლოდ და მხოლოდ დიდი სოციალური ქსელების მიმწოდებლებს საჩივართა მართვა-დაფიქსირების სისტემის შექმნას და აძლევს მათ, პირველ რიგში, ორგანიზატორულ მითითებებს მათივე საქმიანობის მოდელთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ფართოა „საზოგადოებაზე ზრუნვის“ ტერმინი.²⁷ გერმანიის ფედერალურ ხელისუფლებას, გერმანიის ძირითადი კანონის 72-ე მუხლის მეორე აბზაცის თანახმად, ეძლევა ამავე კანონის 74-ე მუხლის პირველი აბზაცის მე-7 და მე-11 პუნქტებით გათვალისწინებულ სფეროებში კანონშემოქმედებითი კომპეტენციის განხორციელების უფლება, როდესაც საერთო-სახელმწიფოებრივი გადმოსახედიდან გამომდინარე, სამართლებრივი და ეკონომიკური სისტემების ერთობლიობის დაცვა მთელი ფედერაციის მასშტაბით მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციის მიღებას საჭიროებს. სოც. ქსელების საქმიანობის მოდელი არ შემოიფარგლება ცალკეული ფედერალური მიწების ადგილობრივი სუბიექტით, არამედ ის ეხება გერმანიის მთელ ფედერაციულ რესპუბლიკას.

25 *Schiff* MMR 2018, 366, 366 f.; ასევე *Peifer* AfP 2018, 14, 21 f.

26 BVerfGE 5, 25, 28 f.; 116, 202, 215.

27 BVerfGE 140, 65, 78.

2. ევროკავშირის სამართალთან თავსებადობა

გერმანელი კანონმდებელი ფიქრობდა, რომ NetzDG-ით გათვალისწინებული რეგულაციები თავსებადი იქნებოდა ევროკავშირის სამართალთან.²⁸ ელექტრონული ვაჭრობის შესახებ ევროკავშირის დირექტივის (2000/31/EG) მე-3 მუხლის (ელექტრონული საქმიანობა, ECRL) თანახმად, ელექტრონული სერვისების მიმწოდებელზე ვრცელდება ევროკავშირის იმ წევრი სახელმწიფოს სამართლებრივი სტანდარტები, რომელშიც ეს მიმწოდებელია განთავსებული. შესაბამისად, მოქმედებს ტერიტორიულობის პრინციპი. ელექტრონული სერვისების ისეთი დიდი მიმწოდებლები, როგორებიც არიან Google და Meta, განთავსებულები არიან ირლანდიაში. შესაბამისად, გერმანელი კანონმდებლების აზრით, უნდა ამოქმედდეს ელ. ვაჭრობის შესახებ დირექტივის (ECRL) მე-3 მუხლის მე-4 აბზაცით გათვალისწინებული გამონაკლისი, რომლის თანახმადაც ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოებიც უფლებამოსილი არიან, გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები, თუ ეს საჭიროა საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად და საქმე საზოგადოების ინფორმაციით უზრუნველმყოფ იმ მომსახურებას ეხება, რომელიც აზიანებს სამართლებრივ სიკეთეებს ან ქმნის ამ სამართლებრივი სიკეთეების მძიმე და სერიოზული დაზიანების საფრთხეს. ზემოთხსენებულისაგან განსხვავებით, სამართლებრივ ლიტერატურაში, ძირითადად და მართებულადაც, ვხვდებით მოსაზრებას, რომ NetzDG ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს²⁹, რამდენადაც ეს უკანასკნელი ყველა დიდ მიმწოდებელს განზოგადებული ფორმით უდგენს სამართლებრივ რეგულაციებს. ის, რომ ელ. ვაჭრობის შესახებ დირექტივის მე-3 მუხლი მხოლოდ გამონაკლის სიტუაციებს ეხება, დასტურდება ამავე დირექტივის იმავე მუხლის მე-4 აბზაცით, რომლის თანახმადაც, ჯერ შესაბამისი წევრ სახელმწიფოს მოეთხოვება (ანუ სადაც განთავრებულია სოც. ქსელის ოფიციალური მისამართი), რომ გაატაროს სათანადო ღონისძიებები და თუ ეს არ იქნება საკმარისი, მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს ევროკომისიასა და წევრი სახელმწიფოს ინფორმირება

28 BT-Drs. 17/12356, S. 13 f.

29 *Feldmann* K&R 2017, 292, 296; *Liesching* MMR 2018, 26, 29; *Nölscher* ZUM 2020, 301, 306; *Nolte* ZUM 2017, 552, 560; *Spindler* ZUM 2017, 473, 478.

მოსალოდნელი ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით სხვა სახელმწიფოს მხრიდან. აქედან გამომდინარე, გაცეხას არ იწვევს, რომ ავსტრიის ადმინისტრაციულმა სასამართლომ 2022 წლის 24 მაისს, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 267-ე მუხლის თანახმად, მართმსაჯულების ევროპულ სასამართლოს მიმართა შეკითხვით საკომუნიკაციო პლატფორმების შესახებ კანონთან დაკავშირებით, კერძოდ, გულისხმობს თუ არა ტერმინი ღონისძიება, ასევე კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებას.

ევროკავშირის სამართლებრივი პრობლემატიკა ნათლად ვლინდება ევროკომისიის რეაქციითაც. გერმანიის ხელისუფლებამ NetzDG-ის საკანონმდებლო ინიციატივის ნოტიფიცირება 2017 წელს განახორციელა.³⁰ 2017 წლის ივნისში ევროკომისია მიესალმა გერმანიის ხელისუფლების ძალისხმევას ინტერნეტ სივრცეში სიძულვილის ენის გავრცელების წინააღმდეგ და განაცხადა, რომ საკანონმდებლო ინიციატივა არ დაიბლოკებოდა³¹, თუმცა, ამავე წლის ნოემბერში გახდა ცნობილი, რომ ევროკომისია არ ასაჯაროვებდა NetzDG-სთან დაკავშირებულ იმ დოკუმენტებს, რომელიც შეეხებოდა ამ უკანასკნელის ევროკავშირის სამართალთან თავსებადობის საკითხს.³² 2022 წლის აპრილში კი ევროკომისიამ, სოც. ქსელებში სამართალგანხორციელების ცვლილების შესახებ კანონი გააკრიტიკა.³³

ბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კიოლნის ადმინისტრაციულმა სასამართლომ, ტექსტის დასაწყისში ხსენებული, 2022 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით, მართებულად ჩათვალა NetzDG-ის 3a პარაგრაფით, კომპანიებისთვის დაკისრებულ ვალდებულება ინტერნეტ სივრცეში არ-

30 Notifikation 2017/127/D vom 27.3.2017.

31 <https://www.heise.de/newsticker/meldung/Netz-DG-EU-Kommission-begruesst-deutsches-Vorgehen-gegen-Hate-Speech-3740069.html>.

32 <https://www.wiwo.de/politik/deutschland/facebook-gesetz-eu-kommission-haelt-dokumente-zurueck-veroeffentlichung-wuerde-das-klima-des-gegenseitigen-vertrauens-beeintraechtigen/20561614.html>.

33 Mitteilung der Kommission - TRIS/(2020) 02454 vom 26.4.2022, in Reaktion auf die Mitteilung 2020/0174/D der Bundesregierung vom 30.3.2020; abrufbar unter <https://community.beck.de/2021/05/05/eu-kommission-kritisiert-netzdg-aenderungsgesetz-herkunftslandprinzip-nicht-beachtet>.

სებული კანონდარღვევების გამოვლენის თაობაზე, ელექტრონული ვაჭრობის შესახებ დირექტივით (2000/31/EG) გათვალისწინებული ტერიტორიულობის პრინციპის დარღვევად, რამდენადაც ელექტრონული მომსახურების მიმწოდებელზე ვრცელდება ევროკავშირის იმ წევრი სახელმწიფოს სამართლებრივი რეგულაციები, რომელშიც თავად ეს მიმწოდებელია განთავსებული. Google-ისა და Meta-ს შემთხვევაში ასეთი სახელმწიფო ირლანდიაა.

III. NetzDG-ის ძირითადი მახასიათებლები

1. საჩივრების მართვა-დაფიქსირების სისტემა

a) ძირითადი ასპექტები

კრიტიკის საგანია ის, რომ დიდი სოციალური ქსელების მიმწოდებლები NetzDG-ის მესამე მუხლში საჩივრების მართვა-დაფიქსირების სისტემის შემოტანით ვალდებულნი ხდებიან, წაშალონ ან დაბლოკონ ინტერნეტში გავრცელებული დანაშაულის შემცველი კონტენტები.³⁴ NetzDG-ის პირველი პარაგრაფის მესამე აბზაცის თანახმად, მართლსაწინააღმდეგოა ის კონტენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებების შემადგენლობებს. კანონით დაცულია ერთი მხრივ საყოველთაო სამართლებრივი სიკეთეები, როგორცაა სამართლებრივი სახელმწიფოს დემოკრატიული წყობა (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 86-ე, 86a, 89a და 91-ე პარაგრაფები), საზოგადოებრივი წესრიგი (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე, 129-ე, 129b, 130-ე, 131-ე და 140-ე პარაგრაფები), მეორე მხრივ კი ისეთი ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთეები, როგორცაა სექსუალური თვითგანსაზღვრის უფლება (გერმანიის სისხლის სამართლის § 184b) და პირადი ღირსება (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 185-187-ე და 189-ე პარაგრაფები). მომხმარებელთა საჩივრები დაუყოვნებლივ უნდა იქნას განხილული და გადიოდეს შესაბამის დამუშავებას (NetzDG, §3, აბზაცი 2, პუნქტი

34 იხ. მხოლოდ მიმოხილვა, *Liesching* MMR 2018, 26 ff. m.w.N.

1). აშკარად დანაშაულის შემცველი კონტენტი ინტერნეტში მოხვედრიდან 24 საათში უნდა იშლებოდეს ან ამ უკანასკნელზე წვდომა იბლოკებოდეს (NetzDG, §3, აბზაცი 2, პუნქტი 2). სხვა მართლსაწინააღმდეგო შინაარსის შემცველი კონტენტებიც ასევე გადაუდებლად, როგორც წესი, 7 დღის ვადაში უნდა იშლებოდეს ან იბლოკებოდეს (NetzDG, § 3, აბზაცი 2, პუნქტი 3). ამ წესების დარღვევის შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს დიდი ოდენობით ფინანსური ჯარიმის დაკისრებას (NetzDG, §4). მაგალითად, ფიზიკური პირს ხსენებული რეგულაციის განზრახ დარღვევისას შესაძლებელია დაეკისროს 5 მილიონ ევრომდე ოდენობით ჯარიმა (NetzDG, §4, აბზაცი 2, პუნქტი 1 და NetzDG, §4, აბზაცი 1, პუნქტები 2-დან 6-მდე). გაუფრთხილებლობით ჩადენილი დარღვევის შემთხვევაში ფინანსური ჯარიმის ოდენობა ნახევრდება (გერმანიის კანონი ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა შესახებ {OWiG} § 17, აბზაცი 2) ანუ ის შეადგენს 2,5 მილიონ ევროს. ორგანიზაციის წინააღმდეგ დაკისრებული ჯარიმის ოდენობა შესაძლებელია 25 ან 50 მილიონ ევრომდეც კი ავიდეს. ფინანსური ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის წესის დადგენის მიზნით, იუსტიციის ფედერალურმა სამსახურმა 2018 წლის მარტში, NetzDG-ის მე-4 პარაგრაფის მე-4 აბზაცის მე-2 წინადადების თანახმად, შეიმუშავა დეტალურად განერილი ადმინისტრაციულსამართლებრივი პრინციპები³⁵ ჯარიმის დაკისრებისა და ოდენობის განსაზღვრის უფლებამოსილების შესახებ.

b) გამოხატვის ფუნდამენტური უფლების შეზღუდვა

სარჩელთა მართვა-დაფიქსირების ხსენებული მკაცრი სისტემა ხშირად³⁶ ფასდება, როგორც გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტური უფლების შეზღუდვა (გერმანიის ძირითადი კანონი, მუხლი 5, აბზაცი 1, წინადადება 1). გამოხატვის თავისუფლება, მოსაზრების ზეპირი, წერილობითი თუ ვიზუალური გზით, თავისუფალ და სახელმწიფოს ჩარევისაგან დამოუკიდებელ გამოხატვა-გავრცელებას გულისხმობს და მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ-დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნ-

35 Leitlinien zur Festsetzung von Geldbußen im Bereich des Networkdurchsetzungsgesetzes (NetzDG) vom 22.3. 2018, Bundesanzeiger Amtlicher Teil (BAnz AT) vom 25.5.2018, B2.

36 Gersdorf MMR 2017, 439, 447; Guggenberger NJW 2017, 2577, 2582; Kalscheuer/Hornung NVwZ 2017, 1721, 1722; Liesching MMR 2018, 226, 27; Nolte ZUM 2017, 552, 556.

ქციონირებისათვის.³⁷ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, დამამცირებელი აზრებიც კი ექცევა კონსტიტუციით დაცულ სფეროში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 აბზაციით გათვალისწინებული ბარიერები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომისთვის მედმეტი იქნებოდა³⁸. პირადი მოსაზრების ნებისმიერი ფორმით წაშლა ან დაბლოკვა გულისხმობს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, რისი უფლებაც, NetzDG-ში მოცემული რეგულაციების გათვალისწინებით, ეძლევა სახელმწიფოს. რამდენადაც საქმე დანაშაულის შემცველი კონტენტების გავრცელებას ეხება, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დაშვებულია. ასეთი კონტენტების წაშლა ან დაბლოკვა ემსახურება პიროვნების უფლებების დაცვას და შესაბამისად, სამოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფას. ეს გამართლებული მექანიზმია ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად და ამავე დროს, აუცილებელიც, რამდენადაც სხვა, უფრო რბილი საშუალება არ არსებობს. სასამართლო პროცესები, როგორც წესი, დიდხანს გრძელდება. საინფორმაციო და საკონსულტაციო უწყებების შექმნა თუ იუსტიციის სამინისტროსა და პოლიციის უკეთ აღჭურვა³⁹ სწრაფ გამოსავალს არ გვთავაზობს. კომპანიების მიერ საკუთარი ნებით ვალდებულებების აღება კი საკმარისი შედეგი არ გამოიღო.

თუმცა, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, გამოხატვის უფლების შეზღუდვა კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით გამართლებული არ არის, რამდენადაც იქმნება ე.წ. Overblocking-ის საფრთხე და შესაბამისად, ასეთი შეზღუდვა არათანაზომიერია.⁴⁰ დანაშაულებრივი კონტენტების წაშლისას ან დაბლოკვისას საკმაოდ მოკლე და მკაცრად განსაზღვრული ვადების გადაჭარბება, წარმოშობს დიდი ოდენობით ფულადი ჯარიმის გადახდის ვალდებულებას. დაფრთხობის ასეთმა ეფექტმა (Chilling-Effekt), გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია მიგვიყვანოს იქამდე, რომ სოც. ქსელებში დასაქმებული პირები ყოველგვარი დეტა-

37 BVerfGE 7, 198, 208.

38 BVerfGE 33, 1, 15.

39 Bündnis 90/Die Grünen ფრაქციის პროექტი, BT-Drs. 18/11856, S. 8.

40 იხ. მხოლოდ *Guggenberger* ZRP 2017, 98 ff.; zurückhaltend *Kubiciel* juris PR-StrafR 7/2017 Anm. 1.

ლური გამოკვლევის გარეშე წაშლიან ან დაბლოკავენ ლეგალურ კონტენტებსაც კი. გარდა ამისა, NetzDG-ის საფუძველზე იმის შეფასება, არის თუ არა კონკრეტული კონტენტი დანაშაულებრივი, კერძო პირებს აქვთ მინდობილი და შესაბამისად, სამართალგანხორციელებაში შემოდის კერძო ინტერესთა დომინაცია.⁴¹ სოც. ქსელების მიმწოდებლებს ამით, გარკვეულწილად, მიეცათ „დამხმარე პოლიციელის როლი“.⁴² თავისუფალი დემოკრატიების ფრაქციის თავჯდომარის მოადგილის, კონსტანტინ კულეს მოსაზრებით, NetzDG შეიცავს „მნიშვნელოვან ვებ-ცდომილებას“⁴³, რამდენადაც იმის გადაწყვეტა, არის თუ არა კონკრეტული კონტენტი დანაშაულებრივი, მთლიანად იუსტიციის სისტემის კომპეტენციას განეკუთვნება. კერძო აქტორები ექცევიან, ერთგვარად, ორ ცეცხლს შუა. ისინი, ერთის მხრივ, მათ პლატფორმებზე განთავსებული კონტენტებით იღებენ სარგებელს, ხოლო მეორეს მხრივ, სამართლებრივი არბიტრის როლის მორგება უწევთ. ყველა შემთხვევაში, საქმეს თავიდანვე აკლდა ბრალდებული მხარისთვის სამართლებრივი თავდაცვის შესაძლებლობების შექმნა. საჩივრის შემომტანი მომხმარებელი და კონტენტის ავტორი მომხმარებელი მხოლოდ ინფორმაციას იღებენ გადანწყვეტილების შესახებ. მომხმარებლებს შეუძლიათ იმოქმედონ სოც. ქსელების მიმწოდებლების წინააღმდეგ მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივ ჩარჩოებში. ამდენად, სამართლებრივი დაცვის ეფექტური მექანიზმის შექმნა (გერმანიის ძირითადი კანონი, მუხლი 19, აბზაცი 4) მაინც ვერ მოხერხდა.

NetzDG-ის ცვლილების შესახებ 2021 წლის 3 ივნისის კანონით, კანონმდებელმა გარკვეული ხარვეზების გამოსწორება მაინც შეძლო. პირველ რიგში, 2021 წლის 28 ივნისიდან მოპასუხე მხარეს მიეცა უფასო შესაძლებლობა. დაიწყო საპასუხო წარმოება (NetzDG, §3b), რომლის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდება როგორც საჩივრის შემტან მომხმარებელს, ასევე პოსტის ავტორს. ამ გზით უნდა გაიზარდოს მომხმარებელთა უფლებების

41 *Kalscheuer/Hornung NVwZ* 2017, 1721, 1724; განსხვავებულ მოსაზრებას ავითარებს *Kalbhenn/Hemmert-Halswick MMR* 2020, 518, 521.

42 *Guggenberger ZRP* 2017, 98, 100; *Kalscheuer/Hornung NVwZ* 2017, 1721, 1724; *Wimmers/Heymann, AfP* 2017, 93, 97 f.

43 <https://www.rnd.de/politik/meldung-strafbarer-inhalte-an-bundeskriminalamt-facebook-google-und-co-wehren-sich-4SS726EDKRC6THE7WB7DRQHGIE.html>.

დაცვა და შემცირდეს ე.წ. Overblocking-ის საფრთხე.⁴⁴ გარდა ამისა, დაშვებულ იქნა კერძო მედიაციის მექანიზმი (NetzDG, §3c), რათა კონფლიქტები გადაწყდეს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კომპეტენტური მესამე პირების მიერ და არა სასამართლო გზით. ეს მოდავე მხარეებისათვის უფრო სწრაფი და იაფი გზაა.⁴⁵

აღნიშნული ცვლილებით, გარკვეულწილად შემცირდა უნდობლობა მთლიანი პროცესის მიმართ⁴⁶, ვინაიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება არა იმ პირის მიერ, რომელმაც თავდაპირველი გადაწყვეტილება მიიღო (NetzDG §3b, აბზაცი 2, ნომ. 3). მიუხედავად ამისა, გამომონმება მაინც სოც. ქსელის მიმწოდებლის მიერ ხორციელდება და არა რომელიმე დამოუკიდებელი უწყების მიერ. გარდა ამისა, კონფლიქტის არასასამართლო გზით მოგვარებაში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი (NetzDG §3c, აბზაცი 4, წინადადება 1, 2). დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საჩივართა მართვა-დაფიქსირების სისტემის თავსებადობა გერმანიის ძირითადი კანონით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებასთან, საკონსტიტუციოსამართლებრივი თვალსაზრისით, იყო და რჩება სადავო საკითხად.

c) თანასწორუფლებიანობის პრინციპის დარღვევა

გარდა ამისა, გავრცელებულია მოსაზრება⁴⁷, რომ NetzDG არღვევს გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველი აბზაციტ გათვალისწინებულ თანასწორუფლებიანობის პრინციპს, რომელიც კანონმდებელს მოუწოდებს, სამართლიანობის იდეიდან გამომდინარე გაატაროს ყველას მიმართ თანასწორი მიდგომის პრინციპი.⁴⁸ თანასწორობის პრინციპის დარღვევა მდგომარეობს იმაში, რომ მომხმარებლების მიერ სოც.

44 BT-Drs. 19/18792, S. 17.

45 BT-Drs. 19/18792, S. 48; https://www.bmj.de/DE/Themen/FokusThemen/NetzDG/NetzDG_node.html.

46 *Kalbhenn/Hemmert-Halswick* MMR 2020, 518, 520.

47 *Ladeur/Gostomzyk* K&R 2017, 290, 294; *Nolte* ZUM 2017, 552, 560.

48 BVerfGE 98, 365, 385; *Wolff*, in: Hömig/Wolff (Hrsg.), Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, 13. Aufl. 2022, Art. 3 Rn. 6 m.w.N.

ქსელებში განთავსებული კონტენტები, NetzDG-ის გამო, ბევრად უფრო მკაცრ შემლუდვებს ექვემდებარება, ვიდრე კონტენტები ტრადიციულ მასმედიაში. ამით ზიანდება აზრის წარმოქმნის დემოკრატიული პროცესი.⁴⁹ გარდა ამისა, ტრადიციული მასმედია, როგორც არის სატელევიზიო მაუწყებლობა და ბეჭდვითი პრესა, მოსახლეობის უფრო ფართო მასშტაბებს მოიცავს, ვიდრე ეს ცალკეული პირების მიერ სოც. ქსელებში განთავსებული კონტენტების შემთხვევაში ხდება.⁵⁰ ამ მოსაზრებების საპირისპიროდ შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციულ მასმედიაში მუშაობენ კომპეტენტური ჟურნალისტები, მაშინ როდესაც სოც. ქსელებში ყველას შეუძლია საკუთარი აზრის გამოხატვა. ამას ემატება ისიც, რომ ტელევიზიებსა და პრესაში დანაშაულებრივი ხასიათის კონტენტი ისე ვირუსულად არ ვრცელდება, როგორც ამას სოც. ქსელებში ვაწყდებით⁵¹ და რომ სოც. ქსელებში კანონსაწინააღმდეგო მასალის გავრცელება უფრო მარტივია. ასევე არადამაჯერებელია მოსაზრება, რომ საქმე გვაქვს თანასწორობის პრინციპის დარღვევასთან მხოლოდ იმიტომ, რომ NetzDG-ით გათვალისწინებულ რეგულაციებს მხოლოდ და მხოლოდ დიდი სოც. ქსელების მიმწოდებლები ექვემდებარებიან.⁵² პატარა სოციალურ ქსელებში გავრცელებულ დანაშაულებრივი ხასიათის კონტენტებზე თვალის დახუჭვა გამართლებულია იმით, რომ ასეთი სოც. ქსელების მიმწოდებლები სამართლებრივი ფილტრის მექანიზმების შექმნისათვის საკმარის რესურსს არ ფლობენ და დიდ სოც. ქსელებთან შედარებით, საზოგადოებრივი აზრის წარმოქმნაში ნაკლები წვლილი შეაქვთ.⁵³ გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით⁵⁴, კანონმდებელი თვითნებურად არ იქცევა, თუ ის ყველაზე უკეთესი, ჭკვიანური და სამართლიანი გამოსავლის პოვნას ვერ ახერხებს. თვითნებობად ითვლება კანონდებლის მიერ დადგენილი მხოლოდ ისეთი მოწესრიგება, რომელიც არასაგნობრივია და დაუსაბუთებელ დიფერენცირებას ახდენს.

49 *Nolte* ZUM 2017, 552, 560.

50 *Liesching*, in: Spindler/Schmitz (Hrsg.), TMG, 2. Aufl. 2018, § 1 NetzDG Rn. 36.

51 BT-Drs. 18/12356, S. 12.

52 *Ladeur/Gostomzyk* K&R 2017, 290, 294; *Nolte* ZUM 2017, 552, 560.

53 BT-Drs. 18/12356, S. 19.

54 იხ. მხოლოდ BVerfGE 55, 72, 90; 88, 87, 96 f.

d) პრაქტიკა

საკითხავია, არსებობს თუ არა პრაქტიკაში ხსენებული Overblocking-ის რეალური საფრთხე. გამჭვირვალობას ხელს ის უწყობს, რომ სოც. ქსელების მიმწოდებლებს, რომლებიც ერთი კალენდარული წლის მანძილზე 100-ზე მეტ საჩივარს იღებენ მართლსაწინააღმდეგო შინაარსის შემცველი კონტენტების შესახებ, NetzDG-ის მე-2 პარაგრაფის თანახმად, ეკისრებათ შესაბამისი ანგარიშის შედგენის ვალდებულება. ისინი ვალდებულნი არიან, ყოველი ნახევარი წლის განმავლობაში შეადგინონ ანგარიში საჩივართა დამუშავების შესახებ და გამოაქვეყნონ ის მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ ვებგვერდზე და ასევე, საკუთარ საიტზეც (NetzDG, §2, აბზაცი 1, წინადადება 1). არაერთი ასპექტის შემცველი ანგარიში უნდა განთავსდეს (NetzDG, §2, აბზაცი 2, პუნქტები 1-დან 17-მდე) ადვილად პოვნადი, პირდაპირი და მუდმივად ხელმისაწვდომი ფორმით (NetzDG, §2, აბზაცი 1, წინადადება 2). ანგარიშის შედგენის ვალდებულება გაფართოვდა 2021 წლის 28 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებით, რათა უფრო ნათელი გამხდარიყო, თუ როგორ ამუშავებენ სოც. ქსელების მიმწოდებლები მათთან შესულ საჩივრებს და თუ რატომ იბლოკება ან იშლება გარკვეული კონტენტები.⁵⁵

Facebook-ის, Youtube-ის და Twitter-ის მიერ 2018 წლის პირველ ნახევარში გამოქვეყნებულმა ანგარიშებმა აჩვენა, რომ მომხმარებლების მიერ დაფიქსირებული საჩივრების მხოლოდ 10%-დან 30%-მდე დაკმაყოფილდა.⁵⁶ ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ხსენებული Overblocking-ის საფრთხე არ შექმნილა.⁵⁷ მაგალითად, Youtube-მა მომხმარებელთა მხრიდან 215 ათასამდე საჩივარი მიიღო, რომელთაგან მხოლოდ 27% დაკმაყოფილდა. Facebook-ში გასაჩივრდა 1704 კონტენტი, რომელთაგანაც მხოლოდ 362 კონტენტი წაიშალა. იმის გათვალისწინებითაც კი, რომ მაშინ ეს სოც. ქსელი ძალიან პოპულარული იყო, გაოცებას იწვევს გასაჩივრებული კონტენტების ამდენად მცირე რაოდენობა. მაგრამ ამით ასევე აიხსნება

55 BT-Drs. 19/18792, S. 43.

56 *Beuth*, *Netzwerkdurchsetzungsgesetz: Viele beschwerten sich über Hass, aber kaum etwas wird gesperrt*, Spiegel online vom 27.7.2018, 08.31 Uhr, <http://www.spiegel.de/netzwelt/web/netzdg-so-oft-sperren-facebook-youtu-be-und-twitter-a-1220371.html>.

57 შეად. *Löber/Roßnagel* MMR 2019, 71, 73.

ის ფაქტიც, რომ Facebook-ი თავის მომხმარებლებს საჩივრის დაფიქსირების ელექტრონული გზის პოვნას უკიდურესად ურთულებდა.⁵⁸ კანონმდებელმა შექმნილ ვითარებას შესაბამისი კანონის შექმნით უპასუხა. 2021 წლის 28 ივნისიდან სოც. ქსელების მიმწოდებლები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ თავიანთი მომხმარებლები საჩივრის დაფიქსირების ადვილად პოვნადი, პირდაპირ ხელმისაწვდომი, მარტივად მართვადი და მუდმივად წვდომადი პროცედურით. ამით გამოჩნდა, რომ საჩივრის დაფიქსირების რთული და ხანგრძლივი გზები კანონთან არათავსებადი.⁵⁹

ასევე, NetzDG-ის მესამე მუხლზე მომზადებული შეფასებითი დასკვნა, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ 2019 წლის 31 დეკემბრამდე არსებული მდგომარეობის შესაფასებლად დაუკვეთა, საკმაოდ პოზიტიურ სურათს აჩვენებს - არ ჩანს სისტემატიური Overblocking-ის ხელშესახები კონტურები.⁶⁰ განსხვავებული სურათი ჩანს სხვა ანგარიშის ერთ-ერთ ნაწილში, რომელიც ლაიპციგის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მედიის ფაკულტეტზე არსებულმა დამოუკიდებელი მკვლევარების ჯგუფმა შეადგინა.⁶¹ ხსენებული დასკვნით შეფასდა სამი დიდი სოც. ქსელის, კერძოდ Facebook-ის, Youtube-ისა და Twitter-ის 2018 წლიდან 2020 წლამდე პერიოდის ექვსი ნახევარწლიური ანგარიში და ასევე, მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგები. დასკვნის თანახმად, NetzDG-ს პრაქტიკაში მარგინალური მნიშვნელობა აქვს და გამოხატულია Overblocking-ის საკმაოდ ხელშესახები კონტურები.⁶² დასკვნაში ასევე ვკითხულობთ, რომ კონტენტების წაშლის შემლუდელი ვადებისა და დიდი ფულადი ჯარიმების გამო, სოც. ქსელები მზარდად შექმნიან შიდა კონფორმისტულ სისტემას, რაც აზრს დაუკარგავს NetzDG-ს. შესული სარჩელები უმეტესად შეფასდება სოც. ქსელების საკუთარი, ზოგადი ხასიათის კოლექტიური სტანდარტებით, რომელთა

58 <https://www.ndr.de/info/sendungen/kommentare/Das-Netz-DG-hat-sich-bereitsbewaehrt.netzdg126.html>.

59 BT-Drs. 19/18792, S. 18.

60 Bericht der Bundesregierung zur Evaluierung des Gesetzes zur Verbesserung der Rechtsdurchsetzung in sozialen Netzwerken (Netzwerkdurchsetzungsgesetz – NetzDG) vom 9.9.2020, S. 23; siehe auch BT-Drs. 19/18792, S. 17 und BT-Drs. 19/22610, S. 16.

61 *Liesching et al.*, Das NetzDG in der praktischen Anwendung, 2021, S. 5.

62 *Liesching et al.*, Das NetzDG in der praktischen Anwendung, 2021, S. 368 f.

მეშვეობითაც წაიშლება და დაიბლოკება ასევე ის კონტენტებიც, რომლებიც NetzDG-ის თანახმად არ დაკვალიფიცირდებოდნენ მართლსაწინააღმდეგო ხასიათის კონტენტებად ან როგორც მინიმუმ, მიიღებდნენ დამუშავების საჭიროების მქონე საექვო შემთხვევის სტატუსს. ეს მოსაზრება დასტურდება Facebook-ის მიერ 2022 წლის პირველ ნახევარში გამოქვეყნებული “NetzDG - გამჭვირვალობის დასკვნა”-ში ჩახედვით. დასკვნაში მოყვანილი მონაცემების თანახმად, კონტენტების 91,8% წაიშალა ან დაიბლოკა შიდა სტანდარტებთან შეუთავსებლობის გამო. სულ რაღაც 8,2 პროცენტია იმ მასალის რიცხვი, რომელიც წაიშალა NetzDG-ში მოცემული სისხლისსამართლებრივი ხასიათის რეგულაციებთან არათავსებადობის მიზეზით.⁶³

კონტენტების წაშლითვის ან დაბლოკვისთვის ხელის შეშლა იმ ზოგადი, შიდა სტანდარტების თანახმად, რომლებიც ცდება კანონით დადგენილ ჩარჩოებს, დღეისათვის თითქმის შეუძლებელია. მართალია, სოც. ქსელით სარგებლობის პირობები, როგორც ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 307-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის თანახმად, ექვემდებარება შინაარსობრივ კონტროლს, თუმცა, სასამართლო პრაქტიკა და ლიტერატურა⁶⁴ კონტენტების წაშლასა და დაბლოკვას უმეტესად განიხილავს, როგორც სამართლებრივ ნორმებთან თავსებადს, თუ ამომწურავი აწონ-დაწონვისა და ორმხრივი ინტერესების შეფასებისას, მომხმარებელთა ფუნდამენტური და კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების გათვალისწინება უზრუნველყოფილია და კონტენტის წაშლა თუ დაბლოკვა საგნობრივად და დასაბუთებული. სოც. ქსელები, სახელმწიფოსგან განსხვავებით, არ არის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებზე მიბმული, არამედ აქ სამართალი მოქმედებს მხოლოდ გაშუალებულიად და მათი მოქმედების არეალი შეზღუდულია. ერთის მხრივ, კონტენტების თვითნებური წაშლა თუ დაბლოკვა დაუშვებელია. ის უნდა იყოს შეთავსებადი გამოხატვის თავისუფლებისა და თანასწორობის ფუნდამენტურ სამართლებრივ პრინციპებთან.⁶⁵ მეორეს

63 *Facebook*, NetzDG Transparenzbericht, Juli 2022, S. 19.

64 BGH NJW 2021, 3179; ZUM-RD 2021, 612; *Kühling* ZUM 2021, 461, 466 f.; *Liesching et al.*, Das NetzDG in der praktischen Anwendung, 2021, S. 364, 368 m.w.N.

65 BGH NJW 2021, 3179, 3185 f.; ZUM-RD 2021, 612, 621 ff.

მხრივ კი, სოც. ქსელები დაინტერესებულები არიან მიმზიდველი საკომუნიკაციო და სარეკლამო პლატფორმის შექმნით. ამას კი შესაძლებელია საფრთხეს უქმნიდეს ისეთი უხეში ტონი, რომელიც შიშს აღუძრავდა მომხმარებლებსა და სარეკლამო პარტნიორებს.⁶⁶

2. საჩივრების მართვა-დაფიქსირების ვალდებულება

კრიტიკის საგანია NetzDG-ში არსებული სხვა რეგულაციებიც. მემარჯვენე ექსტრემიზმისა და სიძულვილის ენის აღმოფხვრის შესახებ 2021 წლის 20 მარტის კანონით, NetzDG-ში შევიდა საჩივრების მართვა-დამუშავების ვალდებულება, რათა უზრუნველყოფილიყო ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნა.⁶⁷ ხსენებული ნორმა ჯერ კიდევ ძალაში შესვლამდე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კომიტეტის ინიციატივით, გაფართოვდა სოც. ქსელებში სამართალგანხორციელების ცვლილების შესახებ 2021 წლის 3 ივნისის კანონით, რათა პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებთან უკეთ ყოფილიყო შესაბამისობაში.⁶⁸ 2022 წლის 1 თებერვლიდან, დიდი სოც. ქსელის ნებისმიერი მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს გერმანიის კრიმინალური პოლიციას (BKA), დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნებისთვის, ის ინფორმაცია, რომელიც სოც. ქსელის მიმწოდებელთან შევიდა საჩივრის სახით, წაიშალა ან რომელმღე წვდომაც შეიზღუდა და რომელშიც იკვეთება კატალოგში შესული დანაშაულის შემადგენლობის კონკრეტული ნიშნები (NetzDG, §3a, აბზ. 2, პუნქტ. 1-3). ასეთს განეკუთვნება, სახელმწიფო უსაფრთხოების საწინააღმდეგო დელიქტების (გერმანიის სსკ §§ 86, 86a, 89a, 91) გარდა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები (გერმანიის სსკ §§ 126, 129-129b, 130, 131, 140), ბავშვთა პორნოგრაფიის მოპოვება, გავრცელება და ფლობა (გერმანიის სსკ §185b), სიცოცხლის მოსპობის მუქარა, პირის სექსუალური თვითგანსაზღვრის უფლების წინააღმდეგ მოქმედება, სხეულებრივი ხელშეუხებლობისა თუ პიროვნული თავისუფლების

66 BGH NJW 2021, 3179, 3187; ZUM-RD 2021, 612, 623.

67 BT-Drs. 19/17741, S. 15 f.

68 BT-Drs. 19/29392, S. 14.

დარღვევა (გერმანიის სსკ §241). ინფორმაციის გადაცემა უნდა მოხდეს ელექტრონული გზით (NetzDG, §3a, აბზ. 5) და ის შეიცავდეს მონაცემებს იმ მომხმარებელზე, რომელმაც კონკრეტული კონტენტი სხვებს გაუზიარა ან გაასაჯაროვა (მომხმარებლის სახელი, IP-მისამართი, პორტის ნომერი, ქსელში შესვლის უკანასკნელი დრო. გერმანიის სსკ § 3a, აბზ. 4, პუნქტ. 1, 2). კრიმინალური პოლიცია, ამ გზით, ახერხებს დამნაშავეს იდენტიფიცირებას და გადასცემს მონაცემებს სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებს. მიმწოდებელი ვალდებულია, გააფრთხილოს მომხმარებელი ზემოთხსენებულის შესახებ კრიმინალური პოლიციისთვის მონაცემების გადაცემიდან ოთხი კვირის მანძილზე (NetzDG, §3a, აბზ. 6, წინადადება 1, 2). ინტერნეტში გავრცელებული დანაშაულებრივი კონტენტების გამოვლენა-დაფიქსირებისთვის, გერმანიის კრიმინალური პოლიციის ბაზაზე შეიქმნა 200 პირისგან შემდგარი ცენტრალიზებული უწყება რომელმაც თავისი საქმიანობა 2022 წლის 1 თებერვალს დაიწყო.⁶⁹

უმეტესი მიმწოდებლები, ტექნიკური თვალსაზრისით, ჯერ კიდევ არ არიან ხსენებულ უწყებასთან მიერთებული, რამდენადაც 2021 წლის ზაფხულში Facebook-მა და Instagram-მა (ორივე Meta) და ასევე Youtube-მა (Google) ღონისძიების დროებითი შეჩერების მოთხოვნით სასამართლოს მიმართეს. მათ შეუერთდა Twitter-ი და TikTok-ი.⁷⁰ კიოლნის ადმინისტრაციულმა სასამართლომ, 2022 წლის 1 მარტს, დაჩქარებულ ფორმატში, მიიღო გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ NetzDG-ის §3a არღვევს ელექტრონული ვაჭრობის შესახებ ღირეფტივით გათვალისწინებული ტერიტორიულობის პრინციპს (2000/31/EG, ECRL) და შესაბამისად, ის ვერ იქნებოდა გამოყენებული.⁷¹ აქედან გამომდინარე, საჩივართა მიღების ცენტრალიზებულ უწყებას, დღესდღეისობით შეუძლია მიიღოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელსაც მას აწვდიან სხვა სოც. ქსელები და დეცენტრალიზებული სტრუქტურები (მაგ. ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მინაზე არსებული ონლაინ დანაშაულზე მომუშავე უწყება - ZAC NRW).⁷²

69 <https://www.tagesschau.de/inland/bka-internet-hass-101.html>.

70 https://www.vg-koeln.nrw.de/behoerde/presse/Pressemitteilungen/05_010_32022/index.php.

71 VG Köln MMR 2022, 330.

72 <https://netzpolitik.org/2022/zentrale-meldestelle-bundeskriminalamt-plant-jetzt-ohne-zuarbeit-der-sozialen-netzwerke>.

3. იუსტიციის ფედერალური სამსახურის ზედამხედველობითი და მითითებითი კომპეტენცია

გერმანიის იუსტიციის ფედერალური უწყება უფლებამოსილია, თუ ხდება მოქმედი რეგულაციების დარღვევა, გაატაროს პრევენციული ზომები სოც. ქსელის მიმწოდებელთან მიმართებაში⁷³ (NetzDG, §4a, აბზ. 2, წინადადება 1). კიოლნის ადმინისტრაციულმა სასამართლომ ეს ნორმაც, დაჩქარებული პროცედურის ფორმატში, ევროკავშირის სამართალთან შეუთავსებლად ცნო, რამდენადაც აუდიო-ვიზუალური მედია საშუალებების შესახებ ევროკავშირის დირექტივის 30-ე მუხლის პირველი აბზაცის თანახმად (2010/13/EU, AVMD), მედია-საშუალებებზე ზედამხედველობის განმახორციელებელი უწყება, სამართლებრივი თვალსაზრისით, თავისუფალი უნდა იყოს სახელისუფლებო შტოებისგან და ფუნქციურად, ხელისუფლებისა და სხვა საჯარო თუ კერძო ინსტიტუტებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდეს. გერმანიის იუსტიციის ფედერალური უწყება კი ექვემდებარება იუსტიციის სამინისტროს. შესაბამისად, ვერ იქნება საუბარი სახელისუფლებო შტოებისგან საჭირო დისტანციის ქონაზე.⁷⁴

IV. სამომავლო ხედვა ევროკავშირის სამართალთან დაკავშირებით

კიოლნის ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებები Google-მა და Meta-ამ 2022 წლის მარტში ქალაქ მიუნსტერში, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მიწის ადმინისტრაციული სასამართლოს სააპელაციო ინსტანციაში გაასაჩივრეს, რამდენადაც ხსენებული გადაწყვეტილებები მათთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.⁷⁵ Google-მა 2022 წლის აპრილში საჩივარი უკან გაიტანა, მაგრამ Meta-მ დავა გააგრძელა.⁷⁶ გერმანიის ფედერალურ უწყებას საჩივრით არ უპასუხია და მიუთითა იმაზე, რომ სოც. ქსელებისთვის

73 BT-Drs. 19/18792, 53.

74 VG Köln MMR 2022, 330 (332).

75 <https://www.lto.de/recht/nachrichten/n/netzwerkdurchsetzungsgesetz-google-meta-facebook-vg-koeln>.

76 <https://www.lto.de/recht/nachrichten/n/netzdg-ovg-muenster-vg-koeln-google-meta-facebook-bka>.

უახლოეს მომავალში შეიქმნებოდა ევროკავშირის მასშტაბით მოქმედი, საერთო სამართლებრივი ნორმები, რითაც საკითხების უმეტესობა ისედაც გადაწყდებოდა.⁷⁷ რეალურად, ევროკავშირის კანონმდებლები მართლაც გააქტიურდნენ. ეს გაცეხას არც იწვევს, ვინაიდან სიძულვილის ენამ ევროპაში ძლიერ იმატა⁷⁸, წევრი სახელმწიფოების ნაციონალური კანონმდებლობები კი ერთმანეთისგან განსხვავდებიან და საჭიროა ერთიანი, სრულად ჰარმონიზებული სისტემის შექმნა.

2021 წლის 7 ივნისიდან ძალაშია ევროკავშირის დადგენილება (2021/784, EU) ტერორისტული შინაარსის მქონე კონტენტების გავრცელების წინააღმდეგ (TCO-VO). იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი უწყებები სადმე ტერორისტული შინაარსის მქონე მასალას წააწყდებიან, ვალდებული არიან, მოუწოდონ ინტერნეტ-მომსახურების მიმწოდებელ კომპანიას ასეთი მასალის წაშლა-დაბლოკვისაკენ. ამ დროს არ აქვს მნიშვნელობა, განთავსებულია თუ არა ინტერნეტ-მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის სათავო ოფისი ევროკავშირის ტერიტორიაზე. კომპანიებს ეკისრებათ ვალდებულება, შეასრულონ ზემოთხსენებული მითითება 1 საათის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია სისტემატურად არ ასრულებს მსგავს მითითებებს, ის შეიძლება დაჯარიმდეს გერმანიის კავშირგაბმულობის ფედერალური უწყების მიერ წინა საბიუჯეტო წელს მსოფლიოს მასშტაბით გამომუშავებული მთლიანი წლიური ბრუნვის 4 პროცენტის ეკვივალენტური ოდენობით.

გარდა ამისა, ევროკომისიამ 2022 წლის 11 მაისს წარადგინა დადგენილების პროექტი ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის პრევენციისა და აღმოფხვრის თაობაზე.⁷⁹ ამის მიზეზი, ონლაინ-კომუნიკაციებში ცირკულირებადი ფოტო-მასალის მზარდი რიცხვი იყო. ინტერნეტ-მომსახურების მიმწოდებლები დანაშაულებრივი კონტენტების არა მხოლოდ წაშლასა და გამოვლენაზე იქნებიან პასუხისმგებელნი, არამედ მათ ასევე დაეკისრებათ ონლაინ-ჩათების გაკონტროლების ვალდებულება. პერსონალურ

77 <https://www.tagesschau.de/investigativ/wdr/bka-zentralstelle-hasskriminalitaet-internet-101.html>.

78 Pressemitteilung der Europäischen Kommission vom 9.12.2021, https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/de/ip_21_6561.

79 COM(2022) 209 final.

მონაცემთა დაცვისა და საინფორმაციო თავისუფლების ფედერალური უწყების (BfDI) სპეციალურმა წარმომადგენელმა, ხსენებული ინიციატივა შემდეგი სიტყვებით მწვავედ გააკრიტიკა: „ე.წ. ონლაინ-ჩათების კონტროლი საერთოდ არ წარმოადგენს ბავშვთა დაცვის მექანიზმს, არამედ ეს არის ევროპის მიერ კერძო კომუნიკაციების უმიზეზო და მაშტაბური კონტროლის წამოწყება“.⁸⁰ ინიციატივა ასევე გააკრიტიკეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპულმა კომიტეტმა (EDSA) და ევროკავშირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველი ორგანოს ხელმძღვანელმა.⁸¹

2022 წლის 22 აპრილს, ევროკავშირის საბჭო, ევროპარლამენტი და ევროკომისია ონლაინ-მომსახურებებთან დაკავშირებული დადგენილებების შესახებ რიგით მეხუთე შეხვედრის ფარგლებში, ონლაინ-სერვისების აქტის (Digital Services Act, DSA) შექმნაზე შეთანხმდა. DSA-ის შესახებ გამოცხადდა ოქტომბრის ბოლოს⁸² და ის ძალაში შევიდა 2022 წლის 16 ნოემბერს. 2024 წლის 17 თებერვლიდან მისი გამოყენება გავრცელდება მთელს ევროკავშირზე. ეს დოკუმენტი ადგენს იმ ონლაინ-პლატფორმების ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებების ერთობლიობას, რომლებიც საქმიანობენ ევროკავშირის ტერიტორიაზე. ამ გზით ყველა მომხმარებელი უფლებრივი დაცვის მაღალი სტანდარტით უნდა აღიჭურვოს. DSA იქნება ონლაინ-პლატფორმების ერთგვარი „კონსტიტუცია“.⁸³ ხსენებული დოკუმენტით გათვალისწინებულია არალეგალურ კონტენტთან ბრძოლის ისეთი მექანიზმი, რომლებიც მომხმარებლებს ასეთი კონტენტების მონიშვნის შესაძლებლობას აძლევს და ამის შემდეგ ონლაინ-პლატფორმებმა დაუყოვნებლივ უნდა იმოქმედონ. ასევე, სამართლებრივი თავდაცვის მექანიზმი ბრალდებულ მომხმარებელს აძლევს საშუალებას, მოითხოვოს პლატფორმის მენეჯმენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადამოწმება. ამას გარდა, დოკუმენტი ითვალისწინებს

80 https://www.bfdi.bund.de/SharedDocs/Pressemitteilungen/DE/2022/09_Chatkontrolle.html.

81 Gemeinsame Stellungnahme vom 29.7.2022, https://edpb.europa.eu/news/news/2022/proposal-combat-child-sexual-abuse-online-presents-serious-risks-fundamental-rights_en.

82 Amtsblatt der EU vom 27.10.2022, L 277/1.

83 *Eike Kühn*, Digital Services Act, Das neue Grundgesetz für Onlinedienste, Zeit online vom 14.12.2020, 11:42 Uhr, <https://www.zeit.de/digital/internet/2020-12/digital-services-act-eu-kommission-facebook-google-amazon-gesetz>.

ლისწინებს წაშლილი კონტენტების შესახებ ინფორმაციის შემცველი ყოველწლიური და გამჭვირვალე ანგარიშების გამოქვეყნებას. უფრო შორს რომ წავიდეთ, ისეთი დიდი პალტფორმები, რომლებსაც ევროკავშირის მასშტაბით 45 მილიონზე მეტი მომხმარებელი ყავთ, ხდებიან ვალდებულნი, შეიმუშავონ რისკების განმსაზღვრელი პოლიტიკა. DSA-ის დაცვის მონიტორინგი და განხორციელება ევალებათ სახელმწიფოებს. ისინი მხარდაჭერილნი იქნებიან ონლაინ-სერვისების ევროპული ორგანოს მიერ. განსაკუთრებით დიდი პლატფორმების შემთხვევაში, ჩაერთვება ევროკომისია.

აღსანიშნავია, რომ NetzDG-სთვის, DSA-ის ძალაში შესვლის პარალელურად, აღარ დარჩება მოქმედების არეალი, რამდენადაც ევროკავშირის კანონმდებლის მიზანი წევრი სახელმწიფოების ნაციონალური კანონმდებლობების ევროკავშირის სამართალთან სრული ჰარმონიზაციაა.⁸⁴ DSA იმისათვის გამოიცა, რომ დასრულდეს ევროკავშირის ფარგლებში არსებული სახელმწიფოების სამართლებრივი ფრაგმენტაცია (DSA, მისი მიღების მე-4 საფუძველი). ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის მიერ დაკვეთილი დასკვნა ცხადყოფს, რომ NetzDG პრაქტიკულად გაუქმებულია, რამდენადაც გერმანიას აღარ გააჩნია დანაშაულებრივი კონტენტების წაშლისათვის მკაცრად განსაზღვრული ვადების დადგენის კომპეტენცია.⁸⁵ ასევე, ხსენებულ დასკვნაში ვკითხულობთ, რომ ახალი რეგულაციები არ ქმნის Overblocking-ის საფრთხეს.⁸⁶ მიუხედავად ამისა, DSA-ში ტერმინი *დანაშაულებრივი კონტენტი* ზუსტად არ არის განსაზღვრული და კვლავაც გამოიყენება NetzDG-ში მოცემული კონოტაციით – *მართლსაწინააღმდეგო* (დასჯადი) *კონტენტი*.⁸⁷ ამას გარდა, DSA ვერ წყვეტს იმ ფუნდამენტურ პრობლემას, რომ სოც. ქსელების კერძო მიმწოდებლებმა უნდა შეამოწმონ კონტენტის კანონთან თავსებადობა. Overblocking-ის საფრთხე მეტნაკლებად ნეიტრალდება იმით, რომ სოც. ქსელების კერძო

84 Grünwald/Nüßing MMR 2021, 283, 287; Kühling ZUM 2021, 461, 468.

85 Friedrich-Naumann-Stiftung (Hrsg.), Mehr Freiheit und Sicherheit im Netz, Gutachten zum Entwurf des Digital Services Act im Auftrag der Friedrich-Naumann-Stiftung Für die Freiheit, Prof. Dr. Henrike Weiden, LL.M., Hochschule München University of Applied Sciences, Januar 2022, S. 5.

86 Friedrich-Naumann-Stiftung (Hrsg.), Mehr Freiheit und Sicherheit im Netz, S. 17 f.

87 Friedrich-Naumann-Stiftung (Hrsg.), Mehr Freiheit und Sicherheit im Netz, S. 6.

მიმწოდებლები ხელშეკრულების ზოგად პირობებში ხაზგასმით იზიარებენ ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ ევროკავშირის ქარტიაში ჩადებულ პოსტულატებს⁸⁸, კერძოდ გამოხატვის თავისუფლებას, მედიის თავისუფლებისა და პლურალიზმის პრინციპს და ასევე, სხვა თავისუფლებებსა და ფუნდამენტურ უფლებებს (DSA, მუხლი 14, აბზ.4).

V. დასკვნა

NetzDG ემსახურება დანაშაულებრივი კონტენტების წაშლას ინტერნეტ სივრცეში, რამდენადაც დიდი სოციალური ქსელების მიმწოდებლებს, დაფიქსირებული საჩივრის საფუძველზე, კანონთან შეუსაბამო კონტენტების წაშლას აგაძლეულებს. მიუხედავად ამისა, ხსენებული კანონი კონსტიტუციური სამართლის გადმოსახედიდან ძალიან პრობლემატურია. NetzDG-ის მესამე მუხლით გათვალისწინებული საჩივართა მართვა-დაფიქსირების სისტემა პირდაპირ ზღუდავს გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებას. მართალია, რომ NetzDG-ის ფარგლებში არ იქმნება ე.წ. Overblocking-ის საფრთხე, თუმცა, სოციალური ქსელების მიმწოდებლებმა შექმნეს შიდა სტანდარტების სისტემა, რომელთა თანახმადაც იმ კონტენტების წაშლაცაა შესაძლებელი, რისი წაშლაც NetzDG-ით გათვალისწინებული არ არის. ამას ემატება ისიც, რომ NetzDG არ ითვალისწინებს ტერიტორიულობის პრინციპს და შესაბამისად, კონფლიქტში მოდის ევროკავშირის სამართალთან. DSA-ის შექმნით, NetzDG ფაქტობრივად აზრს კარგავს. უნდა დავფიქსირებოთ, მოხერხდება თუ არა DSA-ის მეშვეობით ე.წ. Overblocking-ის საფრთხის განეიტრალება. პოზიტიურად უნდა შევხვდეთ იმას, რომ სოციალური ქსელების მიმწოდებლები, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, სამომავლოდ გაითვალისწინებენ ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ ევროკავშირის ქარტიაში დადგენილ სტანდარტებს.

88 *Friedrich-Naumann-Stiftung* (Hrsg.), *Mehr Freiheit und Sicherheit im Netz*, S. 24; *Kühling* ZUM 2021, 461, 472.

სოციალურ მედიაში განხორციელებული ცილისწამება და უფლების დაცვის საშუალებები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში

ასოც. პროფ. დოქტ. **სერგი ჯორბენაძე**,
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი
ადვოკატი

I. წინათქმა

სოციალური მედიის განვითარებასთან ერთად, მომხმარებელს მიეცა შესაძლებლობა, თავად მართოს და განკარგოს თავისი ანგარიში. ამგვარმა შესაძლებლობამ, უფლების დაცვის ახლებური სტანდარტის დამკვიდრების საჭიროება წარმოშვა. განსაკუთრებით, ეს ეხება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხს. თუ ტრადიციულ მედიაში (მაგალითად, ტელემაუწყებელზე) ცილისმწამებლური განცხადების უარყოფისას, წინდანიწვე გასაგებია განთავსების ფარგლები, სოციალურ მედიაში დამატებითი გათვლაა საჭირო, რათა უფლება რეალიზდეს. სწორედ ამიტომ, ქართულ რეალობაში უფლების დაცვისთვის მნიშვნელოვან კომპონენტად გვევლინება შესაბამისი სასარჩელო მოთხოვნების ჩამოყალიბება.

II. გამოხატვის თავისუფლება სოციალურ მედიაში და უფლების დაცვის სირთულე

სანამ უშუალოდ ცილისწამების საკითხზე გამახვილდება ყურადღება, მნიშვნელოვანია, რომ განხილულ იქნეს ზოგადად, გამოხატვის თავისუფლების გადაცდომის შედეგების გათვალისწინებით, უფლების დაცვის სირთულის გამოვლინება ქართულ რეალობაში. ვინაიდან, გერმანიისგან განსხვავებით, ქართული კანონმდებლობა ცილისწამებას, ისევე როგორც არაქონებრივ უფლებათა დაცვის რიგ შემთხვევებს კერძო სამართალში მოიაზრებს, უფლების დაცვის ერთადერთი გზაც სასამართლოსთვის (და

არა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის) მიმართვის შესაძლებლობაა. მითუმეტეს, უფრო რთულდება საკითხი, როდესაც იგი სოციალურ მედიას ეხება. ასეთ დროს, შესაძლებელია, რომ ერთგვარი ფორმალური წინაპირობების არარსებობასთანაც გვექონდეს საქმე, როგორცაა მაგალითად, შემთხვევის დაკვალიფიცირება, სათანადო მხარის განსაზღვრა და სხვ.

სოციალურ მედიაში გამოხატვის თავისუფლების თავისებურების მეტად თვალსაჩინოდ წარმოჩენისთვის, შესაძლებელია რამდენიმე პრაქტიკული მაგალითის მოყვანა, თუ რა სირთულეს (და ამასთანავე, წინასწარი გათვლის საჭიროებას) წარმოადგენს პირის მიერ უფლების დაცვა. ეს ეხება როგორც საკითხის სამართლებრივად დაკვალიფიცირებას, ისე სათანადო სასარჩელო მოთხოვნის დაყენებას.

1. წვრილმანი ხულიგნობა

იმის გათვალისწინებით, რომ „Facebook-ი“ საჯარო სივრცედ მიიჩნევა¹, პლატფორმაზე განთავსებული შეურაცხმყოფელი პოსტი, თბილისის საქალაქო სასამართლოში წვრილმან ხულიგნობად დაკვალიფიცირდა². წვრილმანი ხულიგნობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით ფორმულირებულია შემდეგნაირად: „საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს“. სააპელაციო (მეორე) ინსტანცია პოსტის შინაარსის განმარტების ნაწილში არ დაეთანხმა ქვედა ინსტანციას და გააუქმა პირველი ინსტანციის დადგენილება³. საინტერესოა, რომ აღნიშნული პოსტი განთავსდა „Facebook-ის“ დახურულ ჯგუფში, თუმცა, სამართლებრივი კვალიფიკა-

1 საქართველოს უმენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის განჩინება №ას-1559-1462-2012.

2 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 სექტემბრის დადგენილება №4/8628-19.

3 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 9 დეკემბრის დადგენილება №4/ა-889-19.

ციისთვის ეს ასპექტი არ ყოფილა გადამწყვეტი⁴.

2. სარჩელი ადამიანის დაცინვის გამო

2018 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში პირმა სარჩელი შეიტანა და მოითხოვა „Facebook-ჯგუფის“ გაუქმება⁵. „Facebook-ჯგუფი“ შექმნილი იყო ამ ადამიანის დაცინვის (ე.წ. „დაბულინგების“) მიზნით. ჯგუფს ერქვა ამ ადამიანის სახელი ცინიკურ კონტექსტში. მაგალითად, თუ პირის სახელი და გვარია „იურგენ ჰაიდენი“⁶, ხოლო, ზედმეტსახელი – „იუჰა“, ჯგუფს დაარქვეს: „იუჰას ხუმრობები“.

მოსარჩელის განმარტებით, ეს მისთვის გახლდათ ფსიქოლოგიური ზეწოლა, როდესაც მისი დამცინავი სხვადასხვა სახის ტექსტები, ასევე, „გიფები“ და „მიმები“ იღებოდა ჯგუფში. შედეგად, ეს ქმედება ლახავდა მის არაქონებრივ უფლებებს (უპირველესად, ღირსების უფლებას)⁷. სასამართლომ არ მიიღო საქმე წარმოებაში და საფუძვლად მიუთითა ის, რომ პირმა ვერ დაადასტურა, რომ „იუჰა“ სწორედ ეს ადამიანი იყო⁸ (ვერ იდენტიფიცირდებოდა პირი⁹).

4 დახურული ჯგუფი ავტომატურად არ გულისხმობს პირთა შეზღუდული წრისთვის ცილისმწამებლური განცხადების განთავსების შესაძლებლობას. აღნიშნული საკითხი ბევრად ფართოა და ვინაიდან მისი განხილვა ცდება წინამდებარე ნაშრომის შინაარსს, იგი შეგნებულად არაა განხილული.

5 იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 30 ნოემბრის განჩინება №2/34293-18.

6 რეალური სახელი და გვარი შეგნებულად არ არის მითითებული.

7 ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ მოსარჩელე გახლდათ ახალგარდა მამაკაცი და იგი თანატოლების დაცინვის ობიექტი ხდებოდა.

8 ამ ფაქტის დადასტურება რეალურადაც ფაქტობრივად შეუძლებელია. მიუთმეტეს, აქ საუბარი იყო არა პირის ზედმეტსახელის დაცვაზე, არამედ, მისი არაქონებრივი უფლებების დაცვაზე.

9 ზედმეტსახელი (განსხვავებით ფსევდონიმისგან) რთულად დაცვად ინსტიტუტს წარმოადგენს. ამ საკითხზე იხ. *კორბენაძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 17, აბზ. 18.

3. პრაქტიკული ხედვის აღმატებულება ფორმალობასთან მიმართებით

გემოთ მოყვანილი ორივე განმარტება ცალსახად მიუთითებს გარემოებაზე, რომ სოციალურ მედიაში უფლების დაცვა, განსხვავებით ე.წ. „ტრადიციული“ მედიისგან, დამატებითი სირთულით ხასიათდება. პირველ შემთხვევაში, არ გვხვდებოდა ერთგვაროვანი ხედვა, საკითხი კერძო სამართალს მიეკუთვნებოდა თუ საჯარო სამართალს, ხოლო, მეორე შემთხვევაში მოსარჩელის იდენტიფიცირება გახდა რთული (საპროცესო ნორმების გათვალისწინებით). ეს კი მაშინ, როცა იგივე პირი საზოგადოებისთვის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებულია (მისი ზედმეტსახელის გამო). სწორედ ამის გამო, სასამართლოს ხედვაც უფრო ფართოდ უნდა იქნეს წარმოჩენილი. ეს კი შეუძლებელი იქნება, თუ მხარე არ დააყენებს იმ სათანადო სასარჩელო მოთხოვნებს, რომელსაც ქვევით შევხვებით.

III. ცილისწამების მოწესრიგება ქართულ სამართალში

2004 წელს, კანონმდებლობაში შესული ცვლილებების გათვალისწინებით, ცილისწამების დეკრიმინალიზაცია მოხდა. აღნიშნულის საფუძველზე იგი მოწესრიგდა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში, რაც თავის მხრივ, ავტომატურად დაექვემდებარა სამოქალაქო წესით დავათა განხილვას¹⁰. შესაბამისად, მოსარჩელეს (მაშასადამე, ცილისწამების ობიექტს) დააწვა მტკიცების ტვირთი სასამართლო დავისას¹¹. კერძოდ, დასახელებული კანონის მე-13 მუხლის ფორმულირება განისაზღვრა იმგვარად, რომ პირმა უნდა დაასაბუთოს სამი მთავარი გარემოება, რომ: ა) განცხადება მის წინააღმდეგაა მიმართული; ბ) განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს და გ) ამ განცხადებით მას მიადგა ზიანი¹². აღნიშნული ფორმულირება ეხება კერძო პირის შემთხვევას, რომლისგან განსხვავებით, საჯარო პირის შემთხვევაში, მეოთხე

10 კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილში შესული ცვლილებით ზოგადი მითითება მოხდა დასახელებულ ნორმაზე.

11 მოწესრიგდა ხანდაზმულობის საკითხი, რომელიც 100 დღით შემოიფარგლა.

12 მოიაზრება როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანი.

ფაქტორიც უნდა იქნეს გათვალისწინებული (კანონის მე-14 მუხლი): განმცხადებლის ქმედება წარმოადგენს აშკარა და უხეშ დაუდევრობას, ან განმცხადებლისთვის წინასწარვე იყო ფაქტის მცდარობა ცნობილი.

IV. სასარჩელო მოთხოვნები ცილისწამებისას

ცილისწამებლური განცხადების გამო სასამართლოში დავის მოსარჩელის სასარგებლოდ დასრულების უმთავრესი ასპექტია გასაჩივრებული (სადავო) განცხადების საჭარობა¹³. ამდენად, თითოეული, ქვევით ჩამოთვლილი მოთხოვნა სწორედ საჭარო განცხადებას ეხება.

1. უარყოფა

ცილისწამებისას უმთავრესი სასარჩელო მოთხოვნაა მისი უარყოფა მოპასუხის მიერ¹⁴. ამ გზით, მოსარჩელე ერთი მხრივ, იცავს თავის უფლებებს, ხოლო, მეორე მხრივ, უფლების დაცვა მოპასუხის მიერ ხდება. სოციალური მედიის განვითარებამდე, ე.წ. „ტრადიციულ“ მედიაში ცილისწამების უფლების დაცვა შედარებით ერთგვაროვან კალაპოტში ექცეოდა. შედეგად, შემთხვევაში, ლოგიკური იყო იმის გააზრებაც, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუ რა გზით აღსრულდებოდა გადაწყვეტილება. მაგალითად, ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნებული სტატიის შემთხვევაში, იმავე ბეჭდურ მედიაში სტატიის გამოქვეყნებით. ანალოგიურად ვხვდებით საკითხს მაუნყებლის შემთხვევაში, რადგან უარყოფაც ლოგიკურად იმავე მაუნყებელზე, იმავე გადაცემაში შეიძლება დაევალოს მოპასუხეს¹⁵. თუნდაც საქმე ეხებოდეს ტელემაუნყებელზე გასული გადაცემის სოცია-

13 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 5 მარტის განჩინება №ას-810-2019.

14 იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება №ას-1011-972-2016.

15 მაგალითისთვის, შეიძლება მიმდინარე საქმის მოყვანა, რომელშიც სასარჩელო მოთხოვნად სწორედ მაუნყებელზე, იმავე გადაცემაში უარყოფაა მოთხოვნილი: თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე საქმე №2/20950-22.

ლურ მედიაში გავრცელებას, პირველგანთავსებას აქვს მნიშვნელობა¹⁶.

სოციალურ მედიაში არსებული ფართო თავისუფლების გათვალისწინებით, მხოლოდ უარყოფის მოთხოვნა არ არის საკმარისი უფლების სათანადოდ რეალიზებისთვის¹⁷, რადგან არსებობს რისკი, არ აღსრულდეს სასამართლო გადაწყვეტილება ან/და ვერ დაიცვას პირმა უფლებები. მაგალითად, მომხმარებელმა წაშალოს ანგარიში „Facebook-ში“ და სხვ. სწორედ ამიტომ, მეტი აღქმადობისთვის, უარყოფასთან ერთად მოსარჩელეს არ რჩება სხვა არჩევანი, გარდა დამატებითი მოთხოვნების დაყენებისა, რათა რეალურად მოხერხდეს მისი ინტერესების გათვალისწინება.

2. ცალკეული ქმედებები უარყოფისას

ის, თუ რა შეიძლება იყოს ცალკეული ქმედებები, უშუალოდ მოსარჩელის გადასაწყვეტია, ხოლო, მოსარჩელე თავის მხრივ, ამ გადაწყვეტილებას გასაჩივრებელი აქტივობის მიხედვით იღებს. მაგალითად, თუ „Facebook-Live-ში“ დაირღვა მისი უფლებები, შესაძლებელია, რომ მოთხოვნები ემსახურობდეს უარყოფის სათანადოდ გავრცელების უზრუნველყოფას¹⁸. ამ მხრივ გამოსარჩევია რამდენიმე მათგანი:

უარყოფელი განცხადების საჯაროდ (Öffentlich/Public) განთავსება ერთ-ერთი პირველი ასპექტია, რაც მოსარჩელემ უნდა გაითვალისწინოს, რათა მხოლოდ ფორმალურად არ შეძლოს მოპასუხემ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. აღნიშნული მოთხოვნა ლოგიკური იქნება იმ შემთხვევაში, თუ ცილისმწამებლური განცხადებაც საჯარო სივრცეში გაკეთდა.

მნიშვნელოვანი ასპექტია უარყოფელი განცხადების განთავსების პერიოდულობის განსაზღვრა: ვთქვათ, თუ უფლებადამრღვევი განცხა-

16 ანალოგიურად, შეიძლება მაგალითად თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე საქმის (№2/38686-22) მოყვანა, სადაც დავის არსი სწორედ პირველგანთავსებიდან გამომდინარეობს.

17 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 22 ოქტომბრის განჩინება №2ბ/4254-21.

18 მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე საქმე №2/33340-22, რომელიც წარმოებაში მიღებულია და მიმდინარეობს განხილვა.

დება განთავსებულია სასამართლო პროცესის მიმდინარეობის მანძილზე, უარყოფის შემცველი განცხადებაც, ლოგიკურად არანაკლებ იმავე ვადით უნდა განთავსდეს, თუმცა, აღნიშნული შეიძლება იყოს, ვთქვათ, 3 თვე, 1 წელი და ა.შ., რისი დადგენის დისკრეციაც სასამართლოს გააჩნია.

განთავსების ფორმატის განსაზღვრასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც მოსარჩელე თავად ირჩევს, თუ რა ვიზუალით, როგორი სახით უნდა მოხდეს უარყოფა. მაგალითად, თუ ცილისმწამებლურ განცხადებას ერთვოდა ფოტო, შესაძლებელია, რომ უარყოფაც ამ ფოტოს საშუალებით მოხდეს¹⁹.

სოციალური მედიით სარგებლობის ფარგლები, მხარეს ანიჭებს შესაძლებლობას, სურვილის შემთხვევაში, წაშალოს თავისი ანგარიში. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ მოპასუხეს აეკრძალოს თავისი სოციალური მედიის ანგარიშის წაშლა არანაკლებ იმ ვადით, რა პერიოდშიც უნდა განთავსდეს მან უარყოფელი განცხადება საჯაროდ.

არაქონებრივი უფლებების დარღვევისას, მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, თუ რამდენად ხელმისაწვდომი იყო განცხადება პირთა ფართო წრისთვის²⁰. შესაბამისად, საპირისპირო განცხადებაც იმგვარად უნდა გაკეთდეს, რომ მოპასუხემ თავი არ აარიდოს ასევე პირთა ფართო წრისთვის მის ხელმისაწვდომობას. ამ მხრივ, უპრიანი იქნება, რომ მოპასუხეს აეკრძალოს მეგობრების (მიმდევრების) წაშლა. შესაბამისად, თავიდან იქნება არიდებული სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობის საკითხი.

თავდაპირველი (ცილისმწამებლური) განცხადების წაშლა: ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, ერთგვარი პარალელი გაკეთდეს დავიწყების უფლებასთან²¹. შინაარსობრივი შეუსაბამობა კანონმდებლობასთან სწო-

19 მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე საქმე №2/2359-22 – იმავე ფორმატით უარყოფა მნიშვნელოვანია, რათა რეალურად მოხდეს არაქონებრივ უფლებათა დაცვა.

20 *ჯორბენაძე*, ორ პირს შორის „Facebook Messenger-ში“ უცენზურო შინაარსის მქონე პირადი მიმოწერის სამართლებრივი შედეგი, სასამართლო პრაქტიკა, შედარებითი სამართლის ჟურნალი, 7/2021, 65-66.

21 ევროპული მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება (13.05.2014, №C-131/12).

რედ ამ საფუძველს წარმოადგენს, რათა მომხმარებლებს არ ჰქონდეთ წვდომა იმ განცხადებასთან, რომელიც ადამიანის უფლებების დარღვევის შემცველია.

თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნა სასამართლოს მიერ უკვე დაკმაყოფილდა, თუმცა, ეს გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში²². კერძოდ, ადგილი ჰქონდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომლის ფორმალური წინაპირობები (შესაგებლის წარუდგენლობა) მოპასუხემ დაძლია²³. მიუხედავად ამისა, საკითხი აღსანიშნავია, ვინაიდან დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისთვის, სასამართლოს მხოლოდ მაშინ აქვს სარჩელის დაკმაყოფილების უფლებამოსილება, თუ იგი შესაბამისობაში მოდის კანონმდებლობასთან²⁴.

3. ზიანის ანაზღაურება

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას იცნობს. ამ შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცების ტვირთია, ქონებრივი ზიანი მიაღდა მას, თუ – არაქონებრივი²⁵. თითოეულ შემთხვევაში, მოთხოვნის დაკმაყოფილება პირველ რიგში ცილისმწამებლური განცხადებიდან გამომდინარე, უარყოფის დაკმაყოფილებაზე იქნება დამოკიდებული.

22 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 31 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება №2/28981-22.

23 იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 20 დეკემბრის განჩინება №2/28981-22.

24 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლთან, სადაც განერილია, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს სასარჩელო მოთხოვნას.

25 შესაძლებელია, რომ ორივე მათგანზე ერთობლივადაც დააყენოს მოთხოვნა.

V. დამატებითი სირთულეები პრაქტიკაში

1. ანონიმურობა

ანონიმურობის პრობლემა მოპასუხეთა წრის განსაზღვრას უქმნის საფრთხეს. კერძოდ, ამ მხრივ, რთულდება იმის განსაზღვრა, თუ ვინ დგას ანგარიშის უკან და ასევე, თუ რა მიზნით ახორციელებს ამგვარ ქმედებას²⁶. სწორედ ამიტომ, ქართულმა სასამართლომ დაუშვა პრეცედენტი, რომლითაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალა ანონიმური ანგარიშის უკან მდგომი პირის შესახებ ინფორმაციის მიწოდება²⁷. აღნიშნული განპირობებული გახლდათ სახელმწიფოს, როგორც პოზიტიური ვალდებულების მქონე სუბიექტის, როლის გათვალისწინებით²⁸.

2. პირთა სიმრავლე სოციალურ მედიაში განთავსებულ განცხადებასთან მიმართებით

პირთა სიმრავლე შესაძლებელია გამოიხატოს ორ ასპექტში: როდესაც ერთობლივადაა რამდენიმე პირი განცხადების ავტორი ან/და როდესაც რამდენიმე პირი ასაჯაროებს მას. კერძოდ, საუბარია ე.წ. პირველად გამავრცელებლებზე²⁹ და არა შემდგომში გამზიარებლებზე, რომელთა პა-

26 ამ საკითხზე იხ. *ჯორბენაძე*, სოციალური მედიის სამართალი, თბილისი, 2019, 70-71.

27 თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება, 12.10.2022, №2/3022-22.

28 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე სტრაისტა მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ (14191/14 – STRAISTĂ v. THE REPUBLIC OF MOLDOVA).

29 ხაზგასასმელია, რომ შემდგომ გამავრცელებელზე პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის არსებობა მაშინ გვხვდება, თუ გაზიარება წარმოადგენს ცალკეულ დანაშაულს. მაგალითად, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფას, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157¹ მუხლშია მოწესრიგებული. წინამდებარე ნაშრომში მოყვანილი მსჯელობა სრულად ეფუძნება სამოქალაქო საქმეთა განხილვის კატეგორიას. ამდენად, გაზიარებლის პასუხისმგებლობის პრაქტიკაში არსებული გამოწვევების გააზრებისთვის საჭიროა, რომ არსებობდეს შესაბამისი სარჩელი საერთო სასამართლოებში.

სუხისმგებლობის საკითხზე დავა ჯერჯერობით ქართულ რეალობაში არ არსებულა³⁰.

2.1 ორი სუბიექტის მოქმედების შედეგები

პრაქტიკული პრობლემა არსებობდა, თუმცა სასამართლო დავაში აღარ გადაიზარდა შემთხვევა, როდესაც ერთობლივი სახელით მოქმედი ანგარიშიდან გავრცელდა შეურაცხმყოფელი განცხადება სუბიექტის მიმართ. შესაბამისად, საკითხი საინტერესოა განსახილველად: მაგალითად, „AnkeChristian“, რომელიც წარმოადგენს მეუღლეების (წყვილის) საერთო ანგარიშს და ორივე მათგანი ერთი ანგარიშით მოქმედებს³¹. თუ „AnkeChristian-ის“ ანგარიშიდან მოხდება მესამე პირის ცილისწამება, მაშინ პასუხისმგებლობა (შესაბამისად, უზრუნველყოფაც) ორივე მათგანზე უნდა გავრცელდეს³². შეიძლება, გამონაკლისად ჩაითვალოს შემთხვევა, როდესაც ამ ტექსტიდან (პოსტიდან) ან გარემოებიდან იკვთება, რომ იგი განთავსებულია „Anke-ს“ ან „Christian-ის“ მიერ³³. თუმცა, უზრუნველყოფის მიზნებიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნის ორივე მათგანის მიმართ დაყენება ყველაზე გონივრული იქნებოდა³⁴.

2.2 განცხადების ავტორისა და განმთავსებლის პასუხისმგებლობა

თუ განცხადების ავტორმა თავისი განცხადება სხვის პლატფორმაზე (კვლეულზე) განათავსა, მოთხოვნა განმთავსებელსაც უნდა წარედგინოს³⁵.

30 წინამდებარე ნაშრომის დამუშავებისას არ იძებნება ამგვარი ინფორმაცია (არ გახლავთ იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი).

31 აღნიშნული დამახასიათებელია ცალკეულ სამხრეთულ ქვეყნებში, თუმცა, გამოიყენება ოპიკითა და ხშირად სხვა პირთა გაქილიკების საგნადაც იქცევა.

32 *კორბენაძე*, სოციალური მედიის სამართალი, 2019, 73.

33 იქვე.

34 ლოკიკურად იგულისხმება, რომ ანგარიშის განკარგვის ფარგლებში პასუხისმგებლობასაც თანაბრად იზიარებენ.

35 იხ. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე საქმე №2/3022-22.

მაგალითად, „ოლივერი“ არის განცხადების ავტორი (რომელიც შეიცავს უფლების დამრღვევ შინაარსს), ხოლო, განცხადებას ათავსებს „ლიზა“ თავის „Facebook-ანგარიშით“. ასეთ შემთხვევაში, სარჩელის ადრესატი ორივე მათგანია³⁶, ხოლო, უბრუნველყოფის საკითხი³⁷ სუბიექტის შესაბამისად გადაწყდება³⁸.

VI. ბოლოთქმა

სოციალური მედიის განვითარების კვალად, სასამართლო პრაქტიკაც ვითარდება. გამოხატვის თავისუფლების ფართო ფარგლების გათვალისწინებით³⁹, საქართველოში მოსარჩელეს უწევს სასარჩელო მოთხოვნების სათანადოდ ფორმულირება, რათა დაცულ იქნეს მისი არაქონებრივი უფლებები. თუმცა, ვინაიდან ხშირად მოსარჩელის აქტივობა რთულ და დაბრკოლებით სავსე გზას გადის⁴⁰, პრობლემის გადაჭრის ორი მთავარი გზა არსებობს: ა) საკანონმდებლო ცვლილება და ბ) სასამართლო პრაქტიკის განვითარება. დასახელებულიდან მეორე მათგანი უპირიანი სამი მიზეზის გათვალისწინებით: (1) სოციალური მედიის (ტექნოლოგიის)

36 ვინაიდან ორივეს ქმედების შედეგია მოსარჩელის უფლების შელახვა. მეტიც, გამავრცელებლის მხრიდან თავის შეკავება უკვე გახდებოდა ამ შედეგის თავიდან აცილების საფუძველი.

37 მაგალითად, თუ „მხოლოდ მე-მე“ („Nur Ich-მე“, „Only Me“) გადაყვანას მოითხოვს მოსარჩელე, ან ანგარიშის სახელის შეცვლის შემზღუდვას და სხვ.

38 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 24 დეკემბრის განჩინება №ას-1192-2021.

39 მათ შორის, ცილისწამების მოწესრიგების ჭრილში, რომელიც არ წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სამართლებრივ ინსტიტუტს.

40 იგულისხმება სასამართლოს მხრიდან მზაობის არარსებობა, როდესაც წარმოებაში არ იღებს ამგვარ საქმეს (იხ. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 6 აგვისტოს განჩინება №2/19489-21). მართალია, რომ 2021 წლის დასასრულიდან სასამართლომ დაიწყო ამგვარი საქმეების წარმოებაში მიღება (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 22 ოქტომბრის განჩინება №2ბ/4254-21), მაგრამ სამომავლოდ, ტექნოლოგიის (სოციალური მედიის) განვითარებისა და ახლებური მიდგომების გათვალისწინებით, შეიძლება, რომ მეტ სიახლესთან გვეკონტაქტოს საქმე, რასაც არ უნდა მოჰყვეს ფორმალური დაბრკოლება მართლმსაჯულების განხორციელებისას.

განვითარებას ვერ ეწევა საკანონმდებლო განვითარება⁴¹; (2) საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ღირსების ხელშეუვალობის დაცვა დამოკიდებული არ უნდა იყოს მხოლოდ საკანონმდებლო ჩანაწერზე⁴²; (3) კანონმდებლობით ვერ გაიწერება ყველა ის აქტივობა, რაც შეიძლება სოციალურ მედიაში პირის მიერ იქნეს განხორციელებული. შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილების საჭიროება მხოლოდ პრინციპების განსაზღვრის დონეზე იქნებოდა გასათვალისწინებელი.

41 ვერძოდ, სიახლე უსწრებს საკანონმდებლო ჩანაწერს.

42 იხ. მაგალითად, *ჯორბენაძე*, საქართველოს კონსტიტუციაში არსებული ტერმინ „ხელშეუვალის“ განმარტების თავისებურებანი, კრებულში: გეგენაგა (რედ.), გურამ ნაჭყებია 75, საიუბილეო გამოცემა, 2016, 75-76.

ბლოკჩეინი და სისხლის სამართალი – გამოწვევები და შანსები¹

პროფ. დოქტ. კონსტანტინა პაპათანასიო, ლიხტენშტაინის უნივერსიტეტი

ბლოკჩეინის წარმოშობა დაახლოებით 14 წლის წინ ემთხვევა კრიპტოვალუტა ბიტკოინის გაჩენას, მაგრამ ბლოკჩეინი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ბიტკოინი. 2008 წლის 31 ოქტომბერს, დღემდე არაიდენტიფიცირებადი ფსევდონიმით, Satoshi Nakamoto, გაჩნდა ეპოქალური მასშტაბის დოკუმენტი – ბიტკოინი: თანასწორუფლებიანი კვანძებით დაკომპლექტებული ელექტრონული ფულის სისტემა². სულ რაღაც რვა გვერდზე ერთმანეთთან შეერთდა სხვადასხვა კრიპტოგრაფიული ინსტრუმენტი, რათა შექმნილიყო დეცენტრალიზებული და შესაბამისად, მესამე ინსტანციის (ბანკი) საჭიროების არმქონე ციფრული ფულის სატრანზაქციო სისტემა³. რამდენიმე თვის შემდეგ, ამას მოჰყვა პირველი ბიტკოინების შექმნა ბლოკჩეინის ბაზაზე. წინამდებარე ტექსტის⁴ მიზანია, რაც შეიძლება ამომწურავად აჩვენოს, თუ რა გამოწვევებისა და შანსების წინაშე აყენებს ბლოკჩეინის ტექნოლოგია სისხლის სამართალს. პირველ რიგში, ისმის ტექნიკური ხასიათის შეკითხვა: რა არის საერთოდ ბლოკჩეინი და როგორ შეიძლება ეს არაინფორმატიკული განათლების მქონე პირს ესმოდეს? როგორ ფუნქციონირებს ბლოკჩეინი?

1 წინამდებარე ტექსტი გერმანულ ენაზე უკვე გამოქვეყნდა ეკონომიკისა და ფინანსური სამართლის ავსტრიულ ჟურნალში (ZWF 2022, S. 178-184).

2 „Bitcoin: A Peer-to-Peer Electronic Cash System“ – დოკუმენტის ორიგინალი იხ. <https://bitcoin.org/bitcoin.pdf>.

3 შეად. <https://www.bitcoin.de/de/bitcoin-whitepaper-deutsch> (ნანახია 5. 9. 2022).

4 მოცემული ტექსტი ეყრდნობა ლიხტენშტაინის უნივერსიტეტში, ახლად-დაფუძნებული, ეკონომიკური სისხლის სამართლის, Compliance-ისა და დიგიტალიზაციის კათედრის ფარგლებში, ზემის ფორმატში, 2022 წლის 17 მარტს ორგანიზებულ პირველ თემატურ საღამოს.

I. შესავალი

პროცესები დღემდე სწრაფად განვითარდა. ახლანდელი მონაცემით, უკვე არსებობს დაახლოებით 2000-მდე სხვადასხვა კრიპტოვალუტა და როგორც მოქალაქეებს, ასევე კომპანიებს, 2021 წლის თებერვლიდან, შეუძლიათ მაგ. შვეიცარიის ქალაქ ცუგში, დაფარონ საკუთარი საგადასახადო ვალდებულებები ყველაზე გავრცელებული კრიპტოვალუტებით, კერძოდ ბიტკოინით და ეთერეუმით.⁵ უახლესი ტენდენცია უფრო შორსაც მიდის და ეძიებს საშუალებებს კრიპტოვალუტების მერყეობის სტაბილიზირებისთვის.⁶ ასეთი მასტაბილურებული ფუნქცია უნდა შეითავსონ ე.წ. stablecoin-ებმა. საუბარია კრიპტოვალუტებზე, რომელთა ღირებულება რაიმე სხვა ვალუტით, კერძოდ ფიატ ვალუტით (დოლარი ან ევრო), ნედლეულით (ოქრო) ან რაიმე სხვა ფინანსური ინსტრუმენტითაა გამყარებული.⁷ ბიტკოინის გამოყენების წყალობით, სწრაფად გაიზარდა ბლოკჩეინით დაინტერესება.

II. ბლოკჩეინის ფუნქციონირების სპეციფიკა

ბლოკჩეინები წარმოადგენს დეცენტრალიზებული ე.წ. Ledger ტექნოლოგიის (DLT) ტიპურ ნიმუშს. DLT არის დეცენტრალიზებული ციფრულ მონაცემთა ბაზა, რომელშიც ყველა მონაწილის ოპერაცია მახსოვრდება და უახლესი მონაცემებით ნახლდება. რეალურად, საქმე ეხება დანაყოფე-

5 ob. <https://www.zg.ch/behoerden/finanzdirektion/steuerverwaltung/kryptowaehrungen> (ნანახია 5. 9. 2022).

6 ბიტკოინისა და ეთერეუმის კურსების მერყეობის ერთი ნახვაც საკმარისია, რომ დაგინახოთ მათი არასტაბილურობა. ცალკეული ფაზები ექსტრემალური ინფლაციითა და დეფლაციით გამოირჩევა. შეად. <https://www.bitcoinsuisse.com/de/research/decrypt/season-2020/prufung-der-krypto-volatilitat> (ნანახია am 5. 9. 2022). *ნაკამოტოს* მიზანი, დაეცვა ბიტკოინი ინფლაციისა და ცენტრალური ბანკების ნეგატიური გავლენებისგან, ჭერჭერობით ვერ იქნა მიღწეული.

7 დანვრ ob. <https://www.bankrate.com/investing/stablecoin-cryptocurrency/> ასევე <https://www.investopedia.com/terms/s/stablecoin.asp> (ნანახია 5. 9. 2022).

ბით მოცემულ საბუღალტრო წიგნს, რომელშიც ყველა მონაწილეს ახალი მონაცემი შეაქვს.⁸

რაც შეეხება კონკრეტულ ბლოკჩეინს, ქსელის მონაწილეთა შორის მიმდინარეობს რეგულარული ურთიერთშეთანხმება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მოქმედია კონკრეტული დროის პერიოდში შეკრული და დამახსოვრებული მონაცემები. თუ უმრავლესობაში ხერხდება შეთანხმების მიღწევა, მაშინ მახსოვრდება მონაცემი როგორც ინფორმაციული ბლოკი, რაც წინა ინფორმაციულ ბლოკს, გნებავთ, მონაცემთა ბლოკს, ჭაჭვის პრინციპით ებმება (chained). ინფორმაციული ბლოკების ჭაჭვი (Blockchain), როგორც ეს უკვე ფართოდაა აღიარებული, გამოირჩევა იმით, რომ ნებისმიერ წინა ბლოკში არსებული ბოლო მონაცემი წარმოადგენს ნებისმიერი მომდევნო ბლოკის პირველ მონაცემს, ისე, რომ მონაცემები ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა ერთმანეთზეა გადაბმული.⁹


ეს ქრონოლოგიური თანმიმდევრობა გაიგება როგორც მონაცემთა დროში არაუკუქცევადი მწკრივი, რამდენადაც ნებისმიერ ბლოკს, ბლოკების ჭაჭვში შეტანისას, ერთგვება შექმნის დროის აღმნიშვნელი ბეჭედი და შესაბამისად, „ქვაში ამოტვიფრულივითაა“¹⁰. აქედან წარმოდგება ურთიერთდაკავშირებული ბლოკების შეუცვლელი მწკრივი. არავის შეუძლია რომელიმე ბლოკში არსებული ამა თუ იმ ინფორმაციის შეცვლა, ნაშლა ან გაყალბება ისე, რომ ეს ღიად არ ჩანდეს. ასეთ ოპერაციებს ბლოკჩეინი ბლოკავს.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ბლოკჩეინი წარმოადგენს დეცენტრალიზებულ, ძირითადად საჯაროდ ხელმისაწვდომ, გამჭვირვალე მონაცემთა ბაზას, რომელშიც შეტანილი მონაცემები შეცვლას არ ექვემდებარება. ბლოკჩეინის ფუნქციონირების უკეთ გაგებისათვის, რეკომენდებულია, ცალკეული ბლოკების და მათი დონეების ნახვა.

8 შუად. *Hops*, Blockchain 2.0³ (2019) 36; იხ. ასევე <https://wirtschaftslexikon.gabler.de/definition/distributed-ledger-technologie-dlt-54410> (ნანახია 5. 9. 2022).

9 *Hops*, Blockchain 2.0³, 37.

10 *Hayes*, Blockchain facts, იხ. ლინკი <https://www.investopedia.com/terms/b/blockchain.asp> (ნანახია 5. 9. 2022).



ილუსტრაცია 1: ცალკეული ბლოკების ბლოკები; წყარო:

<https://dai-global-digital.com/blockchain-for-development-part-1-understanding-the-tech.html>

(ნანახია 5. 9. 2022)

თითოეული ბლოკი შეიცავს მონაცემებს როგორც ინფორმაციას. იმისდა მიხედვით, თუ რა ინფორმაციასთან გვაქვს საქმე, განისაზღვრება ბლოკების გამოყენების სპეციფიკური ფორმა. თუ შეტანილი ინფორმაციის სახით, საქმე საფინანსო ტრანზაქციებს ეხება (იხ. გრაფიკი), მაშინ წარმოიშობა კრიპტოვალუტა. თუ საქმე გვაქვს რაიმე ტიპის ჩამახსოვრებულ საკონტრაქტო პირობებთან, რომლებიც მისდევნ კონდიციონალურ ლოგიკას („თუ-მაშინ“), მაშინ აღმოცენდება ე.წ. სმარტ-კონტრაქტი.

ყოველი შეტანილი ინფორმაცია ალგორითმების დახმარებით გარდაიქმნება ასო-რიცხვების კომბინაციად (ბინარული სქემა), ჯამში 256 შემადგენლით. ანუ, იქმნება ე.წ. ჰაში (hash). რას ნიშნავს ეს? შევხებით კრიპტოგრაფიული ჰაშის ფუნქციას, რომელიც სამ ძირითად რამეს ემსახურება, კერძოდ:

1. მონაცემთა დეტერმინისტულ კოდირებას¹¹;
2. ნებისმიერ მოცულობის მონაცემების შეტანას და ფიქსირებული მოცულობის მქონე შედეგის გამოტანას (fixed size values);
3. და ასევე, ინფორმაციის ისე გარდაქმნას, რომ მიღებული შედეგიდან შეტანილ მონაცემზე წვდომა არ იხსნებოდეს, კერძოდ, შეტანილი მონაცემიდან ვერ უნდა ხერხდებოდეს ჰაშის გაშიფვრა.¹²

11 დეტერმინირება მოცემულ შემთხვევაში ნიშნავს იმას, რომ შეყვანილი მონაცემებისთვის ყოველ ჯერზე იგივე ჰაშის წარმოქმნა ხდება.

12 შეად. <https://www.mycryptopedia.com/sha-256-related-bitcoin/> და <https://blog.boot.dev/cryptography/how-sha-2-works-step-by-step-sha-256/> (ნანახია 5. 9. 2022).

ზემოთხსენებული რიცხვი 256, ცხადია, არ წარმოადგენს შემთხვევითობას. აქ საქმე ეხება ყველაზე უსაფრთხო და ხშირად გამოყენებულ SHA-256-ალგორითმს, რომელიც ასევე ბლოკჩეინის ტექნოლოგიისთვისაც გამოიყენება. SHA-256 ალგორითმის გამოყენებისას, ინარმოება 256 ბიტის (32 ბაიტი) მქონე კოდირება¹³.

მაგალითისათვის: თუ ჩავწერთ სიტყვას სისხლის სამართალი, საძიებო შედეგად გამოვა – d062bec5a7070c513b7c6f1ac494ad61b6db5a3a3c3cfc54ddb543bc1cb99b35.¹⁴ მაგრამ თუ შევცვლით ჩანერის ფორმას და ჩავწერთ სისხლის სამართალი, მაშინ შედეგად მივიღებთ საერთოდ განსხვავებულ კოდს – 96a5808df29e4f76fc808a508bb33e296d8feab1a00170a93cc5db5f550409dc. ჩანანერში მცირე ცვლილებაც კი საკმარისია, რომ მთლიანად შეიცვალოს ჰაშის სტრუქტურა. იმის გასაგებად, თუ რამდენად კომპლექსურია ბლოკჩეინის ალგორითმი, კომპიუტერულ ლიტერატურაში წარმოსახვით ხრიკს გვიჩვენებ: დედამიწაზე ყოველმა ადამიანმა ამ ალგორითმის მეშვეობით წამში მილიარდი ჩანანერიც რომ დააფიქსიროს, ყველა შესაძლო კომბინაციის ამოწურვას დასჭირდებოდა იმაზე მეტი დრო, ვიდრე არსებობს სამყარო¹⁵.

როგორც აღმოჩნდა, ბლოკჩეინში ყოველს ბლოკს საკუთარი კრიპტოგრაფიულად კოდირებული ჰაში გააჩნია, რომელიც ბლოკის შექმნისას წარმოიქმნება და ემსახურება ბლოკის ერთიანობის დაცვას. ასეთი ჰაში შეგვიძლია შევადაროთ თითის ციფრულ ანაბეჭდს. ის ახდენს ბლოკის ინდივიდუალიზებას ბლოკში შემავალი ყველა ინფორმაციის ჩათვლით. ყოველი ბლოკი შეიცავს ასევე წინა ბლოკის ჰაშს, რაც ბლოკთა ჯაჭვს, როგორც ეს უკვე ვახსენეთ, დროში არაუკუმეცვლად მონაცემთა შეკრულ მწკრივად აქცევს. მხოლოდ სულ პირველ ბლოკს არ გააჩნია ინფორმაცია წინა ბლოკზე – პირველი ბლოკი არის ერთგვარი წარმომქმნელი ბლოკი. ამ მეთოდითაა შექმნილი ბლოკების ეფექტური, დაცული


13 დაწვრ. ob. <https://komodoplatform.com/en/academy/sha-256-algorithm/> und <https://www.movable-type.co.uk/scripts/sha256.html> (ნანახია 5. 9. 2022).

14 <https://hashgenerator.de/> (ნანახია 5. 9. 2022).

15 *Haps*, Blockchain 2.0³, 52.

ჭაჭვი. თუ ვინმეს ბლოკთა ჯაჭვში რომელიმე ბლოკის სახეცვლა სურს, უნდა შეცვალოს ასევე ამ ბლოკის ჰაში, მომდევნო ბლოკში მომდევნო ჰაში და ა.შ.¹⁶

ბლოკჩეინის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია ამ უკანასკნელის დეცენტრალიზირებული სტრუქტურით. ბლოკების ჯაჭვის სამართავად, ბლოკჩეინი, ცენტრალური ინსტანციის ნაცვლად, იყენებს თანაბარუფლებიანი კვანძებისგან შემდგარ ქსელს, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომია. სისტემაში შესვლისას, ყველა მომხმარებელს ბლოკჩეინის სრულ ასლზე ეძლევა წვდომა. მიუხედავად ყველა მომხმარებლის თანასწორუფლებიანობისა, ბლოკებში ჩამახსოვრებული მონაცემებით სარგებლობა ნებართვას საჭიროებს.¹⁷ ამის მიზეზი ისაა, რომ მონაცემები დამატებით არის დაშტრიხული, რაც დაშტრიხვის არსებითად ახალი ასიმეტრიული სისტემითაა უზრუნველყოფილი (Public-Key-Kryptografie).



ილუსტრაცია 2: Public-Key-კრიპტოგრაფია; წყარო:

<https://www.twilio.com/blog/what-is-public-key-cryptography> (ნანახია 5. 9. 2022)

ასიმეტრიული დაშტრიხვის დროს არსებობს არა მხოლოდ ერთი, როგორც ეს სიმეტრიული დაშტრიხვის დროს ხდება, არამედ ორი გასაღები: საჯარო გასაღები (public key) ახორციელებს ინფორმაციის დაშტრიხვას, ხოლო პირადი გასაღები (private key) გამოიყენება დაშტრიხვის მოხსნისთვის. აქედან გამომდინარე, პირადი გასაღები უნდა ინახებოდეს

16 შეად. <https://fintaxtech.com/what-is-blockchain-technology-how-blockchain-works/> (ნანახია 5. 9. 2022).

17 *Hops*, Blockchain 2.0³, 53 f.

საიდუმლოდ და მასზე წვდომა მხოლოდ მფლობელს გააჩნდეს. ამისგან განსხვავებით, საჯარო გასაღები არ საჭიროებს გასაიდუმლოებას და თავისუფლად გადადის ხელიდან ხელში. ორივე გასაღები არის ასიმეტრიული, რამდენადაც საჯარო გასაღები იქმნება პირადი გასაღებიდან, მაგრამ პირადი გასაღების გამოთვლა საჯარო გასაღების საფუძველზე, პროგრამულად შეუძლებელია (computationally infeasible)¹⁸. ზუსტად ამ ასიმეტრიულ ლოგიკას ემორჩილება კრიპტოვალუტების მიღება და გაგზავნა: საჯარო გასაღების მეშვეობით მყარდება კომუნიკაცია ქსელის მონაწილეთა შორის და სრულდება ტრანზაქციები კონკრეტულ კრიპტოვალუტაში. პირადი გასაღები კი მათ მფლობელს აძლევს შესაძლებლობას, ისარგებლოს საკუთარი კრიპტოვალუტით და შეასრულოს ტრანზაქციები, მათ შორის გადარიცხოს მონეტები (coins)¹⁹

III. ბლოკჩეინზე დაფუძნებული კრიმინოგენული ქმედების ფენომენოლოგია

ბლოკჩეინის გამოყენების გზები და საშუალებები შეუზღუდავია. ის ახდენს რეგულაციებს ფინანსურ ბაზრებზე, აქვს დიდი პოტენციული ჯანდაცვის სფეროში, ლოჯისტიკურ მომსახურებაში, საღებავებო სისტემაში, უძრავი ქონებისა და ენერჯო ბაზარში. შესაბამისად, იგი ცვლის რიგი სამართლებრივი საქმის წარმოების ფორმას (modus operandi). გარდა ამისა, ბლოკჩეინით სარგებლობასთან თავისთავად დაკავშირებულია მოქმედების ახალი საშუალებები და საფრთხეები, რომელთა მართვა და გადაჭრა ხდება სისხლისსამართლებრივი რეგულირების საგანი.

აქედან გამომდინარე, არსებობს საფუძველი, რომ დავფიქრდეთ ბლოკჩეინზე დაფუძნებული კრიმინოგენული ქმედების ფენომენოლოგიაზე, კერძოდ შემდეგზე:

18 დაწვრ. იხ. <https://www.britannica.com/topic/public-key-cryptography> (ნანახია 5. 9. 2022).

19 შეად. <https://btc.co.at/private-key> (ნანახია 5. 9. 2022).

1. ფიქტიური ბლოკჩეინი – საქმე ეხება 146-ე პარაგრაფში მოცემულ, კლასიკური თაღლითობის შემთხვევას ან სსკ-ის 147-ე პარაგრაფში ასახულ მძიმე თაღლითობას²⁰. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პირი არარსებული მომსახურების ბლოკჩეინს არსებულად ასაღებს და ამ გზით, თაღლითურად იღებს ფინანსურ სარგებელს.
2. კრიპტოვალუტის ვებგვერდი www.blockchain.com ხშირად გამოიყენება თაღლითობებისთვის. დამნაშავეები აგზავნიან ელ.ფოსტასა და წერილებს, რომლებიც, ერთი შეხედვით, ავთენტურია და თითქოს ეკუთვნის ოფიციალურ ვებგვერდს – www.blockchain.com. ასეთ დროს დაზარალებულს ეგზავნება წერილი, რომ მისი ელექტრონული ანგაროში დაზიანებულია და საჭიროებს გასწორებას შესაბამისი თანხის გადარიცხვის სანაცვლოდ. თაღლითობის მეორე გზა მდგომარეობს იმაში, რომ წერილების მიმღებებს ეგზავნებათ თხოვნა, დაადასტურონ თავიანთი სარეგისტრაციო მონაცემები, რაც ფიშინგის თაღლითურ მცდელობას უტოლდება.²¹
3. გარდა ამისა, მომხმარებლებს შეუძლიათ შეიტანონ ბლოკჩეინის ცალკეულ ბლოკებში ბავშვთა პორნოგრაფიული მასალა. როგორც უკვე აღინიშნა, ბლოკჩეინში შეტანილი მონაცემებისთვის ახალი მონაცემების დამატება შეიძლება, მაგრამ არა წაშლას. ის, ვინც ამ მასალით ინფიცირებული ბლოკიდან მონაცემებს გადმოიწერს, შესაძლებელია დაუდგეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი სსკ-ის 207a პარაგრაფის თანახმად, რაც ბავშვთა პორნოგრაფიული მასალის ფლობას გულისხმობს.²² ამ კონტექსტში ჩნდება სხვა კითხვებიც: ვინ იყო საქმის კურსში? როდის გაიგო ბლოკჩეინის მომხმარებელმა ამის შესახებ? როდის წარმოიშობა ასეთ დროს ბლოკჩეინის სრული დეაქტივირების ვალდებულება?²³ ბიტკოინის ბლოკჩეინისადმი ასეთი მიდგომა

20 ლიხტენშტაინის სსკ §§ 146 და 147, გერმანიის სსკ § 263.

21 <https://www.pcrisk.com/removal-guides/18005-transaction-received-into-blockchain-wallet-email-scam> (ნანახია 5. 9. 2022).

22 ლიხტენშტაინის სსკ § 219, გერმანიის სსკ § 184b; შეად. *Peters*, Strafbarkeitsrisiken beim Betrieb einer Blockchain, MMR 2018, 644 [645 ff].

23 იხ. მაგ. § 10 Telemediengesetz – dTMG (2021 წლის 12 იანვრიდან მოქმედებს ახალი კანონი – das Gesetz über den Datenschutz und den Schutz der Privatsphäre in der

არათანაზომიერი იქნებოდა.²⁴

4. მსგავი პრობლემა შეიძლება წარმოიქმნას საავტორო უფლებით დაცული ინტელექტუალური საკუთრებების შემთხვევაშიც. ასეთ დროს, საქმე გვაქვს საავტორო უფლებების შესახებ კანონის 91-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ დელიქტებთან²⁵

IV. ბიტკოინ-ბლოკჩეინზე დაფუძნებული კრიმინალური ქმედების ფენომენოლოგია

კრიმინალური ქმედებების ასორტიმენტი გაცილებით უფრო ფართოა, როდესაც საუბარია კრიპტოვალუტებზე. ავსტრიული FMA-ის გენერალური დირექტორის მოსაზრებაზე დაყრდნობით, ყველა კრიპტოქონების დაახლოებით 80%-ს თაღლითური საფუძველი აქვს. მაშინ, როდესაც კრიპტოვალუტებით განხორციელებული თაღლითობით მიყენებული ქონებრივი ზიანი საშუალოდ 40.000 ევროს შეადგენს, ერთხელ 650.000 ევროს ღირებულების ქონებრივი ზიანიც დაფიქსირდა.²⁶ ასევე, კრიპტო-დანაშაულის შესახებ უახლესი ცნობების თანახმად (Crypto Crime Report)²⁷, კრიპტოვალუტებით განხორციელებულმა დანაშაულებრივმა ქმედებებმა 2021 წელს ახალ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და 14 მილიარდი ამერიკული დოლარი განთავსდა არალეგალურ კრიპტოანგარიშებზე (2020 წელს ეს რიცხვი 7.8 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენდა).²⁸

Telekommunikation und bei Telemedien – dTTDSG). დაწვრ. იხ. *Beaucamp/Henningsen/Florian*, Strafbarkeit durch Speicherung der Bitcoin-Blockchain? MMR 2018, 501 (504).


24 შეად. *Beaucamp/Henningsen/Florian*, MMR 2018, 501 (505).

25 ლიხტენშტაინის საავტორო უფლებების შესახებ კანონი, მუხ. 61 ნაწ. 1 (განსაკუთრებით საინტერესოა ქვეპ. m: „*wer [...] ein Werk digitalisiert*“), გერმანიის საავტორო უფლებების შესახებ კანონი § 106; *Peters*, MMR 2018, 644 (647).

26 იხ. „*Krypto-Angebote: 80 Prozent sind betrügerisch*“, Vienna.at vom 6.9.2021, <https://www.vienna.at/krypto-angebote-80-prozent-sind-betruegerisch/7115441> (ნანახია 5. 9. 2022).

27 წამყვანი მონაცემთა ბაზა ბლოკჩეინების შესახებ.

28 <https://blog.chainalysis.com/reports/2022-crypto-crime-report-introduction/> (ნანახია 5. 9. 2022). აქვე ისიცაა აღნიშნული, რომ კრიპტოვალუტის ლეგალური მოხმარების მოცულობა ბევრად აჭარბებს მის დანაშაულებრივ გამოყენებას და ამის გამო, საერთო ჯამში, არალეგალური ტრანზაქციების მოცულობა არასდროს ყოფილი ასე მცირე.



ილუსტრაცია 3: კრიპტო-ვალუტებით ჩადენილი კრიმინალი 2017 წლიდან 2021 წლამდე; წყარო: Crypto Crime Report von Chainanalysis

როგორც მე-3 ილუსტრაცია აჩვენებს, კრიპტოვალუტებით ხორციელდება არაერთი და განსხვავებული სახის კრიმინალური ქმედებები. რამდენადაც ბიტკოინი ყველაზე გავრცელებულ კრიპტოვალუტას წარმოადგენს, საქმის გამარტივებისთვის, უპირველეს ყოვლისა, ვისაუბრებთ ბიტკოინ-ბლოკჩეინით განხორციელებულ დანაშაულებზე. ამ უკანასკნელის ფენომენოლოგია შეიძლება შემდეგნაირად დახასიათდეს:

1. ბიტკოინზე საუბრისას, პირველი, რაც მხედველობაშია მისაღები, არის ე.წ. wallet-ი, ანუ ელექტრონული საფულე. ის არის ციფრული საფულე, რომელშიც განთავსებულია კრიპტოვალუტა. პირადი გასაღების (private key) უნებართვო მოპოვებამ, რაც იძლევა მონაცემებზე წვდომის საშუალებას, შესაძლებელია დააკმაყოფილოს კომპიუტერულ სისტემაში უკანონო შეღწევის დანაშაულის შემადგენლობა, სსკ-ის 118ა პარაგრაფის მიხედვით.²⁹
2. თაღლითური ფიშინგის კლასიკური შემთხვევები გვხვდება გაყალბებულ კრიპტო-ვებგვერდებსა და გაყალბებული კრიპტოვალუტის აპლიკაციებში³⁰. მათი მიზანია, გადააცემინოს მსხვერპლს დამნაშავეებისთვის ისეთი სენსიტიური მონაცემი, როგორიცაა

29 ლიხტენშტაინის სსკ § 131a – მონაცემების მოპარვა, გერმანიის სსკ § 202a.

30 ამასთან დაკავშირებით: <https://news.bitcoin.com/10000-people-downloaded-fake-cryptocurrency-apps/> (ნანახია 5. 9. 2022).

პაროლი. თუ ფინანსური ზიანი დგება, საქმე გვაქვს პირადი მონაცემებით თაღლითური სარგებლობის შემადგენლობასთან, სსკ-ის 148a პარაგრაფის თანახმად³¹.

3. გარდა ამისა, შესაძლებელია დავფიქრდეთ სხვისი კომპიუტერის გამოყენებით ბიტკოინის არალეგალური მაინინგის დასჯალობაზე. სსკ-ის 146-ე პარაგრაფით, შუალობითი ამსრულებლობის ფორმით ჩადენილი თაღლითობის დასჯადობის გარდა, შესაძლებელია, როგორც სსკ-ის 126a პარაგრაფში მოცემული მონაცემთა დაზიანებების, ასევე სსკ-ის 126c პარაგრაფში ასახული კომპიუტერული პროგრამების ან პირადი მონაცემების ბოროტად გამოყენების დასჯადობაზეც ვიფიქროთ³². გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს 2017 წლის ივლისის განაჩენი ზუსტად ასახავს იმას, თუ რა შემთხვევასთან გვაქვს აქ საქმე:³³

დამნაშავე ქმნის ე.წ. ბოტების ქსელს, ანუ ერთმანეთთან აკავშირებს რამდენიმე კომპიუტერს, რომლებიც გარკვეულ არითმეტიკულ დავალებებს ავტომატურად ასრულებენ და ეს მომხმარებელთა თვალისთვის უმეტეს შემთხვევებში შეუმჩნეველი რჩება. პროგრამები ერთმანეთს დამოუკიდებლად უკავშირდება ცენტრალური სერვერიდან გაცემული ბრძანებების მეშვეობით. ამ გზით დამნაშავე სერვერზე მიბმულ კომპიუტერებს დისტანციურად მართავს და იყენებს საკუთარი მიზნებისთვის. ეს დამნაშავეს უმეტესად იმიტომ გამოსდის, რომ კომპიუტერის მომხმარებლები ე.წ. ტროას ცხენს გაუთვალისწინებლად ხსნიან და შემდგომ თავად აინსტალირებენ. ბოტების ქსელი (მალალი არითმეტიკული დატვირთვით მომუშავე) ემსახურება ბიტკოინების გამომუშავებასა და მონაცემების მოპარვას. ხსენებულ შემთხვევაში ტროას ცხენის გახსნა და ჩამოტვრითვა ჯამში 327.379 მომხმარებელმა. მიუხედავად იმისა, რომ 86 დაუშტრიხავი ბიტკოინი დაყადალდა, მომდევნო 1730 ბიტკოინი დროებით ხელუხლებელი დარჩა, ვინაიდან

31 ლიხტენშტაინის სსკ § 148a, გერმანიის სსკ § 263a-კომპიუტერული თაღლითობა.

32 ლიხტენშტაინის სსკ §§ 126a და 126c, გერმანიის სსკ §§ 202a და 303a.

33 დაწვრ. იხ. BGH 27. 7. 2017, 1 StR 412/16, NSStZ 2018, 401 (*Safferling*).

მათ პაროლი ედოთ, ბრალდებულმა პირმა ეს პაროლი არ გაამხილა და შესაბამისად, ისინი ვერ იქნა დევლოდირებული.

4. საკამათოა საკითხი, არის თუ არა ბიტკოინი რესურსის განსაკუთრებულად ჭარბი მოხმარების გამო კლიმატის კილერი³⁴. თუმცა, ასეთ ასეთ დროს ჩნდება სხვა კითხვაც, თუ ვინ უნდა ჩაითვალოს კონკრეტულად დამნაშავედ.
5. რამდენადაც ბიტკოინის მომხმარებლები თავიანთ ანგარიშებს ანონიმურად ქმნიან, ხშირია ასევე სსკ-ის 144-ე პარაგრაფით დასჯადი გამოძალვის შემთხვევები.³⁵ ამის კლასიკური მაგალითია ე.წ. Ransomware (კონკრეტული დამაზიანებელი პროგრამა³⁶), რომელიც ასევე გამოძალვის სოფტვერად იწოდება. ესენი არის დამაზიანებელი, ბოროტი პროგრამები, რომელთა საშუალებით დამნაშავეები მომხმარებლებს საკუთარ მონაცემებზე, მათი სარგებლობის საშუალებებზე ანდა მთლიან კომპიუტერულ სისტემაზე წვდომას უზღუდავენ. ასეთ დროს დამნაშავეები სხვის პირად მონაცემებს უცხო კომპიუტერში შტრიხავენ ან რაიმე სხვა ფორმით ბლუდავენ მათზე წვდომას, რათა ამ მონაცემების დაბრუნების სანაცვლოდ, მოითხოვონ თანხა ბიტკოინის ვალუტაში. ბლოკჩეინზე მომუშავე ანალიტიკური ჯგუფის ერთ-ერთმა თანადამფუძნებელმა, რამდენიმე თვის წინ, Ransomware-ის შესახებ საუბრისას აღნიშნა, რომ 2021 წელს კრიმინალი ჰაკერების მიერ კომპანიებისგან გამოძალული ჯამური თანხის (400 მილიონ ამერიკულ დოლარზე მეტი) 74% ბლოკჩეინის მისამართებზე განთავსდა. დიდი ალბათობით, ამ ოპერაციების უმეტესი ნაწილი დაკავშირებული იყო რუსეთთან³⁷.

34 ბიტკოინებმა 2021 წელს უფრო მეტი CO₂-ის გამოფრქვევა გამოიწვია ატმოსფეროში, ვიდრე მათი შემცირება მოხერხდა ელექტრომანქანების მეშვეობით, აღნიშნულია შემდეგ სტატიაში: <https://www.nzz.ch/technologie/im-jahr-2021-hat-bitcoin-mehr-co2-verursacht-als-die-umstellung-auf-e-autos-gespart-hat-aendert-sich-diese-bilanz-nach-dem-krypto-crash-id.1690082?reduced=true> (ნანახია 5. 9. 2022).

35 ლიხტენშტაინის სსკ § 144, გერმანიის სსკ § 253.

36 შეად. <https://www.kaspersky.de/resource-center/threats/ransomware> (ნანახია 5. 9. 2022).

37 <https://www.manager-magazin.de/finanzen/kryptoexperte-michael-gronager-russland->

6. ამ დროისთვის უკვე გაჩნდა რამდენიმე ნაწილობრივ საკმაოდ კომპლექსური საგადასახადო რეგულაცია, რომლებიც გარკვეულ გარემოებებში ბიტკოინით სარგებლობას (ბრუნვა) საგადასახადო ვალდებულების სფეროში აქცევენ. ბოლო ეკო-სოციალური საგადასახადო რეფორმით (ÖkoStRefG 2022 Teil I), რომელიც ძალაშია 2022 წლის 1 მარტიდან, 2021 წლის 1 მარტიდან მოპოვებული კრიპტო-ვალუტების გაყიდვით მიღებული მოგება 27,5%-ით დაიბეგრა.³⁸ ვინც თავის მოგებას არ აფიქსირებს ან აფიქსირებს მცდარი ოდენობით, ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გადასახადების დაფარვის გამო, როგორც ამას საფინანსო სამართლის შესახებ კანონის 33-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი ითვალისწინებს.³⁹
7. კრიმინოგენული ქმედებების დიდ წყაროს ვაწყდებით ასევე დარკნეტში. ეს უკანასკნელი სავსეა ონლაინ ბაზრებით, სადაც ბიტკოინის ვალუტაში არალეგალური პროდუქტების ფართო ასორტიმენტის შექმნა შესაძლებელია. საუკეთესო შემთხვევაში, აქ საქმე გვაქვს სსკ-ის 164-ე პარაგრაფით დასჯად, მოპარული ან რაიმე სხვა არალეგალური გზით მოპოვებული საქონლით ვაჭრობასთან.⁴⁰ მაგრამ ხშირად, დანაშაულის უფრო მძიმე შემადგენლობებიც ხორციელდება. ისეთები, როგორცაა ნარკოტიკული ნივთიერებებით შესახებ კანონის 31ა პარაგრაფში ჩამოთვლილი ნივთიერებებით ვაჭრობა.⁴¹

გერმანიის თანამედროვე სასამართლო პრაქტიკიდან გვაჩვენებს ფინანსური მოგებების მასშტაბს: ბრალდებულის ელექტრონულ საფულეში (wallet), დარკნეტში მიმდინარე ნარკოტიკული ზემოქმედების მქონე პრეპარატებით ვაჭრობისას, ჯამში 8102 გადახდა შესრულდა.

war-ein-sicherer-ort-fuer-cyberverbrecher-a-95aefd17-ea1c-4bb1-a1dc-bd8b6bf78f3a (ნანახია 5. 9. 2022).

38 დაწვრ. იხ. <https://www.bmf.gv.at/themen/steuern/sparen-veranlagen/steuerliche-behandlung-von-kryptowaehrungen.html> (ნანახია 5. 9. 2022).

39 ლიხტენშტაინის საგადასახადო კანონის მუხ. 136, გერმანიის საგადასახადების შესახებ დებულების § 370.

40 ლიხტენშტაინის სსკ § 134, გერმანიის სსკ § 259.

41 ლიხტენშტაინის ნარკოტიკული ნივთიერებების შესახებ კანონის მუხ. 20 ნაწ. 1, გერმანიის ნარკოტიკული ნივთიერებების შესახებ კანონის § 29 და შემდეგი.

გადახდების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 10.528.591,55 ევრო.⁴² ძალზედ აქტუალურია ასევე hydra-ს შემთხვევა – დარკნეტში ყველაზე მაღალი ბრუნვის მქონე არალეგალური სავაჭრო პლატფორმა (2020 წელს ჯამური ბრუნვის ღირებულება 1,23 მილიარდი ევრო) – რომელიც გერმანიის ფედერალური კრიმინალური პოლიციის მიერ იქნა დეაქტივირებული⁴³. ეს იყო 2015 წლიდან Tor-ით აგებული ქსელით მომუშავე რუსულენოვანი დარკნეტ-პლატფორმა. მის ძირითად საქმიანობას ნარკოტიკული ზემოქმედების მქონე პრეპარატებით ვაჭრობა წარმოადგენდა, თუმცა პლატფორმაზე ასევე იყიდებოდა მოპარული მონაცემები, გაყალბებული დოკუმენტები და ციფრული მომსახურებები {...} განსაკუთრებით კი უნდა აღინიშნოს, პლატფორმაზე შეთავაზებული “Bitcoin Bank Mixer” – მომსახურება, რომელიც ციფრული ტრანზაქციების გასაიდუმლოებას უზრუნველყოფს და რომელმაც მნიშვნელოვნად გაურთულა სამართალდამცავ ორგანოებს კრიპტო-დანაშაულთან დაკავშირებული გამოძიებები.⁴⁴

განსაკუთრებით მძიმე სიტუაციაა ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელების მხრივ. დარკნეტში ბიტკოინებით ფინანსდებოდა ერთ-ერთი ყველაზე დიდი არალეგალური პლატფორმა welcome to video. რამდენიმე წლის წინ ეს პლატფორმა საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაციების მიერ გაითიშა. პლატფორმაზე მიაგნეს დაახლოებით 8 ტერაბიტი მოცულობის მქონე მასალას, მათ შორის დაახლოებით 250.000 ბავშვთა პორნოგრაფიულ ვიდეოს.⁴⁵

8. ბიტკოინით ვაჭრობა შეიცავს სავაჭრო-საფინანსო დინებების გასაიდუმლოების გაზრდილ საფრთხეს და შესაბამისად, აადვილებს სსკ-ის 165-ე, 278-ე და 278d პარაგრაფებით დასჯად⁴⁶ ფუ-

42 BGH 6. 6. 2018, 4 StR 569/17, NJW 2018, 3325.

43 ob. BKA, Illegaler Darknet-Marktplatz „Hydra Market“ abgeschaltet, Pressemitteilung vom 5. 4. 2022, https://www.bka.de/DE/Presse/Listenseite_Pressemitteilungen/2022/Presse2022/220405_PM_IllegalerDarknetMarktplatz.html (ნანახია 5. 9. 2022).

44 BKA, Pressemitteilung vom 5. 4. 2022.

45 ob. „Kinderpornografie im Darknet – Ermittler stoppen Missbrauchsplattform – mehr als 300 Festnahmen“, Spiegel Panorama vom 16. 10. 2019, <https://www.spiegel.de/panorama/justiz/kinderpornographie-eine-der-weltgroessten-websites-gestoppt-a-1291918.html> (ნანახია 5. 9. 2022).

46 ლიხტენშტაინის სსკ §§ 165, 278 და 278d, გერმანიის სსკ §§ 261, 129, 89c; შუად.

ლის გათეთრებას, ორგანიზებული დანაშაულისა და ტერორიზმის დაფინანსებას. სიტუაციის სიმძიმეზე მიუთითებს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ შექმნილი საერთაშორისო საკოორდინაციო ჯგუფი (KGGT) თავის აქტუალურ დასკვნაში შვეიცარიაში ვირტუალური ვალუტებით ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ⁴⁷. დასკვნის თანახმად, ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი არაერთი საგამოძიებო სტრუქტურა აფიქსირებს კრიპტოვალუტების საეჭვო გამოყენებასთან დაკავშირებით შესული ცნობების რიცხვის მატებას. 2022 წლის 29 ივნისს ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის მიერ მიღწეულ იქნა გარდამავალი შეთანხმებაც კი, რომლის თანახმადაც ევროკავშირი ბრძოლას უცხადებს კრიპტოვალუტების მეშვეობით ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებას.⁴⁸

V. სხვა კომპლექსური თემები

ბევრი საკითხი დაკავშირებულია უცხოეთთან. შესაბამისად, ისმის საერთაშორისო-სისხლისსამართლებრივი შეკითხვა, შესაძლებელია თუ არა ასეთ დროს შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამოყენება და ადგილობრივი სასამართლოების იურისდიქციის გავრცელება. ამაზე პასუხს გვაძლევს სსკ-ის 62-ე და შემდეგი პარაგრაფები.⁴⁹ მიუხედავად ამისა, კიბერ-დანაშაულის სფერო მაინც სპეციფიკურია,

Herzog, Bitcoins und Geldwäsche: Bestandsaufnahme strafrechtlicher Fallgestaltungen und regulatorischer Ansätze, StV 2019, 412. ინგლისურენოვანი წყაროებიდან იხ. *Chad et al*, The Use of Cryptocurrencies in the Money Laundering Process, *Journal of Money Laundering Control*, 2019, 210; *van Wegberg et al.*, Bitcoin Money Laundering: Mixed Results? *Journal of Financial Crime* 2018, 419.

47 2021 წლის ოქტომბრის ანგარიში -https://www.sif.admin.ch/sif/de/home/dokumentation/fachinformationen/bericht_kggt.html (ნანახია 5. 9. 2022).

48 იხ. *Europäischer Rat*, Bekämpfung von Geldwäsche: Vorläufige Einigung über die Transparenz von Kryptowertetransfers, Pressemitteilung vom 29. 6. 2022, abrufbar <https://www.consilium.europa.eu/de/press/press-releases/2022/06/29/anti-money-laundering-provisional-agreement-reached-on-transparency-of-crypto-asset-transfers/> (ნანახია 5. 9. 2022).

49 ლიხტენშტაინის სსკ § 62 და შემდეგი, გერმანიის სსკ § 3 და შემდეგი.

ვინაიდან ყოველთვის ზუსტად არაა განსაზღვრული დანაშაულის ადგილი, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე ეხება უცხოურ სერვერზე არსებულ მონაცემებზე წვდომას ან ქვეყნისშიდა სერვერზე არსებულ მონაცემებზე წვდომას უცხოეთიდან.⁵⁰

რაც შეეხება ბიტკოინებით დანაშაულებრივი გამდიდრების შემთხვევებს, ისმის ასევე ძალზედ პრაქტიკული და რელევანტური კითხვა: არსებობს თუ არა კანონდარღვევით მოპოვებული ქონებრივი სარგებლის ანულირების რაიმე მექანიზმი⁵¹, მსგავსად სსკ-ის მე-20 პარაგრაფისა⁵²? ეს კითხვა, საპროცესო-სამართლებრივი თვალთახედვიდან, ეხება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებრივი უპირატესობის ანულირებისათვის საჭირო საკონფისკაციო ღონისძიების გატარების შესაძლებლობას, როგორც ეს გათვალისწინებულია სსკ-ის 110-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის z ქვეპუნქტით.⁵³ იმის გათვალისწინებით, რომ ბიტკოინთან დაკავშირებული საქმეები ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებს, თავს იჩენს საერთაშორისო ღონებზე საკონფისკაციო ღონისძიების გატარების პრობლემატიკაც.⁵⁴

50 ინტერნეტდანაშაულებთან დაკავშირებით შეად. *Ebensperger*, Die Verbreitung von NS-Gedankengut im Internet und ihre strafrechtlichen Auswirkungen, ÖJZ 2002, 132; *Park*, Die Strafbarkeit von Internet-Providern wegen rechtswidriger Internet-Inhalte, GA 2001, 23; *Schwarzenegger*, Der räumliche Geltungsbereich des Strafrechts im Internet, SchwZStR 2000, 109.

51 ამავდროულად ჩნდება პრაქტიკული შეკითხვა, თუ რა მომენტიდან ან რა ეტაპამდე არის ღირებულების გაზრდა გასათვალისწინებელი; ამასთან დაკავშ. იხ. BGH 6. 6. 2018, 4 StR 569/17, NJW 2018, 3325.

52 ლიხტენშტაინის სსკ § 20, გერმანიის სსკ § 73 და შემდეგი; ამ მოსაზრებას იზიარებს BGH 27. 7. 2017, 1 StR 412/16; შეად. ასევე *Rettke*, Bitcoin und die strafrechtliche Einziehung, NZWiSt 2020, 45; *Rückert*, Vermögensabschöpfung und Sicherstellung bei Bitcoins, MMR 2016, 295.

53 ლიხტენშტაინის სსკ § 97a ნან. 1, გერმანიის სსკ § 111b და შემდეგი (Vermögensarrest zur Sicherung der Wertersatzeinziehung); შეად. ასევე *Greier*, Möglichkeiten strafprozessualer Sicherung von Bitcoins gem. §§ 111b ff. StPO, wistra 2016, 249.

54 ამ თემატიკას ეხებოდა პასაუში, 2022 წლის 17 სექტემბერს გამართული რიგით მეთერთმეტე, სამი ქვეყნის ადვოკატთა ფორუმის მესამე და ბოლო პანელი, რომლის ერთ-ერთი მომხსენებელი აღნიშნული ნაშრომის ავტორიც იყო.

VI. პერსპექტივა: ბლოკჩეინის გამოყენება სისხლის სამართლის ინტერესებისთვის

ის ფაქტი, რომ ბლოკჩეინი დანაშაულებრივი ქმედებების განსახორციელებლად გამოიყენება და განსაკუთრებით კრიპტოვალუტები, ნაწილობრივ, მძიმე კრიმინალური საქმიანობების განხორციელებაში, სავსებით არ ნიშნავს იმას, რომ ბლოკჩეინი, როგორც ტექნოლოგია, თავისთავად ცუდია. პირიქით, ის შესაძლებელია ეფექტურად გამოიყენებოდეს სისხლის სამართლის ინტერესებშიც.

პირველ რიგში, სისხლის სამართლის საქმეებში ბლოკჩეინი უზრუნველყოფს ციფრული მტკიცებულებების გაყალბებისაგან და დაკარგვისაგან ეფექტურ დაცვას. ორივე ზემოთხსენებული შესაძლებელია მოხდეს როგორც ადამიანური შეცდომის ანდა მონაცემებზე წვდომის ბოროტად გამოყენების გამო (ჰაკერობა), ასევე კომპიუტერის გაუმართაობისა ანდა პროგრამული ხარვეზების შედეგად. გარდა ამისა, ბლოკჩეინი თავისი ტრანსპარენტულობისა და ცვლილების შეტანის შეუძლებლობის წყალობით, შესაძლებელია გახდეს ეფექტური იარაღი ორგანიზებულ დანაშაულთან საბრძოლველად. FATF-ისა და Moneyval-ის აქტუალურ ანგარიშებზე დაყრდნობით, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავფიქრდეთ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრობლემაზე. ბლოკჩეინის მეშვეობით ბანკებს აქვთ შესაძლებლობა, შექმნან ერთგვარი ქსელი, რომელშიც დაფიქსირდება ყველა ტრანზაქცია და დოკუმენტაცია კლიენტთა აქტივობების შესახებ. ასევე, დროულად გაიცვლება ინფორმაცია საეჭვო აქტივობებზე.⁵⁵ მსოფლიოს ეკონომიკურ ფორუმზე (WEF) გაიცა დავალება, რომ ჩატარდეს კვლევა კორუფციასთან ბრძოლის ასპექტებში ბლოკჩეინის გამოყენების ეფექტურობის შესახებ.⁵⁶ აგრეთვე, ფარმაცევ-

55 შუად. *de Preux/Trajilovic*, Blockchain et lutte contre le blanchiment d'argent, EF 2018, 64 (69). იხ. ასევე *Pavlidis*, Les cryptomonnaies et la lutte internationale contre le blanchiment d'argent, in: *Jeanneret/Sträuli* (Hrsg), Empreinte d'une pionnière sur le droit penal (2021), 323.

56 „Exploring Blockchain Technology for Government Transparency“, დაწვრ. იხ. <https://www.weforum.org/reports/exploring-blockchain-technology-for-government-transparency-to-reduce-corruption/> (ნანახია 5. 9. 2022).

ტულ ინდუსტრიაში ბლოკჩეინი შესაძლებელია წარმოადგენდეს პრეპარატების გაყალბებისაგან დაცვის მექანიზმს და ქმნიდეს მედიკამენტის მიმოქცევის სრული პროცესის დღის შუქზე გამოტანის საშუალებას.⁵⁷ და ბოლოს, ყველა სახელმწიფოსთვის მომგებიანი იქნებოდა, დაყადაღებული კრიპტოვალუტების აუქციონის პრინციპით გასხვისება.⁵⁸

დასასრულისთვის, მოვიყვანოთ ერთი პრაგმატული ციტატა, რომელიც ბრუნო ლუსატომ, ფრანგულ-იტალიური წარმომავლობის მქონე ინფორმატიკის ერთ-ერთმა პირველმა თეორეტიკოსმა, 40 წლის წინ დაწერა და დღეს ბლოკჩეინთან მიმართებაში აქტუალობას ხელახლა იძენს: „თაღლითური ტექნიკის გაუმჯობესება, დროისა და ფინანსების თვალსაზრისით, გაცილებით ნაკლებად ხარჯიანია, ვიდრე მის წინააღმდეგ ბრძოლის პრევენციული მეთოდების დახვეწა.“⁵⁹

57 „*Pharmaceutical Crime*“ ავსტრიის აფთიაქთა პალატის მონაცემებით, ერთ-ერთ უმთავრესი ზრდადი გამოწვევაა. სათანადო ორგანოების მიერ, ინტერნეტიდან ამოღებული მედიკამენტების 95 პროცენტზე მეტი ან ყალბია და არაოფიციალურად წარმოებული; <https://www.apothekerkammer.at/infothek/zahlen-daten-fakten/pharmaceutical-crime> (ნანახია 5. 9. 2022).

58 ეს პირველად მოხდა გერმანიაში, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარეში, ნარკოტიკების არალეგალურ ვაჭრობასთან დაკავშირებულ კრიპტო-ვალუტასთან მიმართებით; <https://www.sueddeutsche.de/wirtschaft/bitcoin-kryptowaehrung-auktion-nrw-justizministerium-1.5446886> (ნანახია 5. 9. 2022).

59 *Lussato, Le défi informatique (1981) 209: „L'amélioration des techniques de fraude est beaucoup moins coûteuse, en temps et en argent, que celle des moyens de prévention.“*

კიბერ-გრუმინგი გერმანიასა და ევროკავშირში

პროფ. დოქტ. ანე შნაიდერი, დიუსელდორფის უნივერსიტეტი

I. შესავალი

„ვიმედოვნებ, რომ ზედმეტად ასაკოვანი არ ვარ (ოლივერი, 45)“, „დღე მშვიდობის, პატარები მიყვარს (რურელი ბიჭი, 53)“, „გინდა, რომ რამე ამაღელვებელი ნახო (სტეფანი, 1991)“, „ჭერ კიდევ ქალიშვილი ხარ? (ანაკონდა, 33)“ – ეს ყველაფერი არის ჩათბი განხორციელებული მინანქრებიდან რამდენიმე ამონარიდი, რომელიც კრიმინალური პოლიციის საგამოძიებო უწყებებმა 4 წუთში მიიღეს, მას შემდეგ, რაც დაზარალებული 13 წლის გოგონას პროფილით ერთ-ერთი ჩათის ოთახში შევიდნენ.¹ ასეთი მინანქრები გერმანიის ფარგლებს მიღმაც გვხვდება.² ის, რაც სრულწლოვნებს შორის ჩვეულებრივი, უწყინარი ფლირტის სახეობაა, პრობლემატური ხდება არასრულწლოვნებთან მიმართებაში. ეს ფენომენი, კერძოდ სტრატეგია, ნაბიჯ-ნაბიჯ დაუახლოვდე არასრულწლოვან მსხვერპლს ონლაინ-კომუნიკაციის მეშვეობით, მოაქციო ის საკუთარი გავლენის ქვეშ და მოიპოვი მისი ნდობა, ცნობილია როგორც კიბერ-გრუმინგი.³

II. კიბერ-გრუმინგის გაგრძელება და დეფინიცია

კიბერ-გრუმინგი არის ინტერნეტის მეშვეობით არასრულწლოვანთან კონტაქტის დამყარების მცდელობა, ამ უკანასკნელის სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით.⁴ ბოლო წლებში, ინტერნეტში დაფიქსირებულმა

1 *Kind*, Stellungnahme des BKA, S. 7, https://www.bundestag.de/ausschuesse/a06_Recht/anhoerungen_archiv/stellungnahmen-665970 (ნანახია 23.12.2022).

2 შეად. ამონარიდები ბრიტანული ჩათ-მიმონწერიდან, *Kloess/Hamilton-Giachritsis/Beech*, *Sexual Abuse* 31 (2019), 73 (79 ff.)

3 იხ. *Baumhöfener*, *MMR* 2021, 30 (30).

4 *Eisele*, *FS Heinz*, 2012, S. 697 (698). შეად. <https://beauftragter-missbrauch.de/praevention/sexuelle-gewalt-mittels-digitaler-medien/cybergrooming> (23.12.2022)

სექსუალური დანაშაულის რიცხვმა იმატა.⁵ WebProtect Global Alliance-ის მიერ 2021 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, 18-დან 20-წლამდე გამოკითხულ პირთა 54-მა პროცენტმა დააფიქსირა, რომ 18 წლამდე სულ ცოტა ერთხელ მაინც აქვთ განცდილი სექსუალური ექსპლუატაციის რაიმე ფორმა.⁶ კვლევა სექსუალურ ექსპლუატაციად მოიაზრებს მოწოდებას სექსუალური ხასიათის ქმედებებისკენ, სექსუალური შინაარსის მქონე მასალის გაგზავნას, დაზარალებულის ინტიმური ფოტოების უნებართვო გავრცელებას და მოთხოვნას, რომ სექსთან დაკავშირებულ თემებზე საუბარი გასაიდუმლოვდეს.⁷ აღსანიშნავია, რომ ასეთი ქმედებები მოწმენდილ ცაზე არ ხდება. დამნაშავე ჯერ ამყარებს კონტაქტს მსხვერპლთან, რომლის სექსუალური ექსპლუატაციაც მოგვიანებით შეიძლება მოხდეს. აქედან გამომდინარე, საქმე გვაქვს კიბერ-გრუმინგის კლასიკურ შემთხვევასთან. სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლთა საშუალო ასაკი თვალში საცემია: კვლევის ჩატარების დროს 20 წლის პირებში ის საშუალოდ 13,4 წელს შეადგენს, ხოლო 18 წლის პირებში 12,7 წელს.⁸ დაზარალებულებში, უფრო მეტად, უმცირესობებს ვხვდებით და უფრო მეტ გოგონას ვიდრე ბიჭს.⁹ ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე ჩანს, რომ კიბერ-გრუმინგი ინტერნეტში მასიურ პრობლემას წარმოადგენს.

III. რეგულაციები საერთაშორისო და ევროპულ დონეზე

ხსენებული პრობლემა საერთაშორისო საზოგადოებას მხედველობიდან არ გამოორჩენია და მიმართა შესაბამის სამართლებრივ დონისძიებებს, როგორც საერთაშორისო, ასევე ნაციონალურ დონეებზე. კიბერ-გრუმინგის დასჯადობის შესახებ რეგულაციებს ვხვდებით ევროსაბჭოს კონვენცი-

5 სპეციალურად კიბერ-გრუმინგთან დაკავშ. იხ. *Cybergrooming Stoiber*, „Cyber-Grooming“ aus empirischer und strafrechtlicher Sicht, 2020, S. 76 f.

6 WeProtect Global Alliance, Estimates of childhood exposure to online sexual harms and their risk factors, abrufbar unter <https://www.weprotect.org/economist-impact-global-survey/> (ნანახია 23.12.2022).

7 WeProtect Global Alliance (Fn. 6), S. 3.

8 WeProtect Global Alliance (Fn. 6), S. 5.

9 WeProtect Global Alliance (Fn. 6), S. 4 f.

აში ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისგან დაცვის შესახებ – 2007 წლის ე.წ. ლანსაროტის კონვენცია. ის ძალაშია 2010 წლიდან და კიბერ-გრუმინგს 23-ე მუხლში შემდეგნაირად აწესრიგებს:

მუხლი 23 – სექსუალური მიზნებით ბავშვებთან კონტაქტის
დამყარების მცდელობა

ხელშეკრულების ყოველი მხარე იღებს საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომას, რათა დასჯადი იყოს, ზრდასრული პირის მიერ განზრახ ჩადენილი ქმედება, რომელიც საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, მე-18 მუხლის მე-2 აბზაცში დადგენილ ასაკს ჯერ კიდევ მიუღწეველ ბავშვს შეხვედრას სთავაზობს, რათა ამ უკანასკნელთან მიმართებაში განახორციელოს მე-18 მუხლის მე-2 აბზაცის ა პუნქტში ან მე-20 მუხლის პირველი აბზაცის ა პუნქტში მოცემული დანაშაული, თუ შეთავაზებას მართლაც მოყვა ასეთი შეხვედრისკენ მიმართული ქმედებები.

დასჯადობა ხდება იმის მიხედვით, თუ პირი ბავშვს ინტერნეტში ან ტელეფონის გამოყენებით სთავაზობს შეხვედრას ამ უკანასკნელის სექსუალური ან პორნოგრაფიული მიზნებისთვის ექსპლუატაციის მიზნით, და თუ ასეთ შეთავაზებას მოსდევს შეხვედრამდე მიმყვანი ქმედებები. შეთანხმების 24-ე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, დასჯადი უნდა იყოს ასევე ასეთი დანაშაულის მცდელობაც. 23-ე მუხლში მოცემული შემთხვევებისთვის შეთანხმების 24-ე მუხლის მეორე აბზაცი მაინც ტოვებს გამონაკლისს, კერძოდ, შეთანხმების ხელისმომწერი ნებისმიერი სახელმწიფო უფლებამოსილია, შეთანხმებით გათვალისწინებული დანაშაულის გარკვეული მცდელობები დასჯადად არ ცნოს.

გარდა ამისა, კიბერ-გრუმინგის დასჯადობის შესახებ რეგულაციას ვხვდებით ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის აღმოფხვრის შესახებ ევროკავშირის 2011/93/EU დირექტივის მე-6 მუხლში.¹⁰

10 Richtlinie 2011/93/EU des Europäischen Parlaments und des Rates vom 13. Dezember 2011 zur Bekämpfung des sexuellen Missbrauchs und der sexuellen Ausbeutung von Kindern sowie der Kinderpornografie sowie zur Ersetzung des Rahmenbeschlusses 2004/68/JI des Rates, ABl. 2011, L 335/1.

მუხლი 6 – ბავშვებთან კონტაქტის დამყარება სექსუალური მიზნებისთვის

(1) ყველა წევრი სახელმწიფო იღებს საჭირო ზომებს, რათა დადგინდეს, რომ დასჯადია განზრახ ჩადენილი შემდეგი ქმედებები:

პირი, რომელიც სექსუალური სიმწიფის ასაკს ჯერ კიდევ მიუღწეველ ბავშვს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, განზრახ სთავაზობს შეხვედრას, რათა განახორციელოს მე-3 მუხლის მე-4 აბზაცით, ან მე-5 მუხლის მე-6 აბზაცით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება, ისჯება მინიმუმ 1 წლით თავისუფლების აღკვეთით, თუ ასეთ შეთავაზებას შეხვედრამდე მიმყვანი ქმედებებიც მოსდევს.

(2) წევრი სახელმწიფოები იღებენ საჭირო ზომებს, რათა დადგინდეს, რომ პირის მცდელობა, განახორციელოს მე-5-ე მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება, კერძოდ, საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, დაამყაროს კონტაქტი სექსუალური სიმწიფის ასაკს ჯერ კიდევ მიუღწეველ ბავშვთან პორნოგრაფიული მასალის მიღების მიზნით, არის დასჯადი.

მე-6 მუხლის პირველი აბზაცში ასახულია ლანსაროტის კონვენციის 23-ე მუხლის შინაარსი, რაც გერმანულ ვერსიაში ისე ნათლად არაა გამოხატული, როგორც ინგლისურ და ფრანგულ ვერსიებში. გამონაკლისს წარმოადგენს მე-2 აბზაცი, რომელიც მცდელობის დასჯადობას აწესრიგებს. სამართლებრივი ნორმის ტექსტი არის ზედმეტად კომპლექსური.¹¹ ზრდასრული პირის მცდელობა საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების გზით, მიმართული უნდა იყოს შეთანხმების მე-5 მუხლის მეორე და მესამე აბზაცებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებისკენ, კერძოდ ბავშვთა პორნოგრაფიის მოპოვების, ფლობის და ამ უკანასკნელზე შეგნებული წვდომისკენ. ეს ხდება მაშინ, როდესაც დამნაშავე განზრახ ამყარებს კონტაქტს ბავშვთან, ამ უკანასკნელისგან პორნოგრაფიული მასალის მიღების მიზნით. დასჯადი უნდა იყოს არა ბავშვთან კონტაქტის დამყარების მცდელობა, არამედ ბავშვთან კონტაქტის დამყარებით პორნოგრაფიული მასალის მიღების

11 *Ziemann/Ziethen, ZRP 2012, 168 (170 f.).*

მცდელობა.¹²

IV. რეგულაციები გერმანიაში

გერმანიაში, კიბერ-გრუმინგი, როგორც დანაშაულის შემადგენლობა, პირველად 2004 წელს ჩნდება. ის აისახა ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის შესახებ ნორმაში, კერძოდ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 176-ე პარაგრაფში (ძვ. რედ.). მას შემდეგ, რაც ხსენებული დანაშაულის შემადგენლობა 2015 წელს ლანსაროტის კონვენციასთან ადაპტირდა (გერმანიის სსკ § 176, აბზაცი 4, პუნქტი 3, ძვ. რედ.), გერმანელმა კანონმდებელმა 2020 წელს კიბერ-გრუმინგის მცდელობაც დასჯადა ცნო. 2021 წელს, ბავშვთა წინააღმდეგ მიმართული სექსუალური დანაშაულის შესახებ კანონით¹³, განხორციელდა სექსუალური დანაშაულის საფუძვლიანი რეფორმა, რომლითაც შეიქმნა დღეს მოქმედი სამართლებრივი ნორმის აქტუალური ვერსია.

1. მოქმედი ნორმები

გერმანიის სსკ-ის 176b პარაგრაფით, კიბერ-გრუმინგის დასჯადობა შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

გერმანიის სსკ § 176b – ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის მომზადება

(1) 3 თვიდან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით ისჯება პირი, რომელიც ახორციელებს ბავშვზე ზემოქმედებას (§ 11, აბზაცი 3), რათა

1. უბიძგოს მას სექსუალური ხასიათის მოქმედებებისკენ, რომლებსაც ეს უკანასკნელი შეუსრულებს დამნაშავეს ან შეასრულებს დამნაშავეს თვალწინ, შეუსრულებს ვინმე მესამე პირს ან შეასრულებს ვინმე მესამე პირის თვალწინ, შეასრულებინებს დამნაშავეს ან ვინმე მესამე პირს საკუთარ თავის მიმართ;

12 ამავე მოსაზრებას იზიარებს *Ziemann/Ziethen*, ZRP 2012, 168 (170 f.). იხ. ასევე *Schneider*, KriPoZ 2020, 137 (139 f.).

13 BGBl. 2021 I 1810.

2. განხორციელოს § 184b-ს პირველი აბზაცის პირველი პუნქტის მესამე ქვეპუნქტით ან § 184b მუხლის მესამე აბზაცით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება.

(2) ისჯება ასევე პირი, რომელიც სხვას სთავაზობს ბავშვს პირველი აბზაცით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედების ჩასადენად ან გასცემს მსგავს დაპირებას ან რომელიც უთანხმდება ვინმე სხვას ასეთი ქმედების ერთობლივ განხორციელებაზე

(3) პირველი აბზაცით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების მცდელობა დასჯადია იმ შემთხვევებში, თუ დამნაშავე ცდება იმაში, რომ მისი ქმედება მიმართულია ბავშისკენ და მხოლოდ ამის გამო ვერ ითვლება ქმედების შემადგენლობა განხორციელებულად.

მაშასადამე, დამნაშავემ ობიექტურად უნდა განხორციელოს ზემოქმედება ბავშვზე ანუ 14 წელს მიუღწეველ პირზე და მას ასევე უნდა გააჩნდეს კონკრეტული განზრახვა, რათა უზიძვოს ბავშვს სექსუალური ხასიათის ქმედებებისკენ ან შექმნას ბავშვის ჩართულობით პორნოგრაფიული მასალა ან მოიპოვოს ასეთი.¹⁴ ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის შესახებ ახალი ნორმისგან განსხვავებით, არ არსებობს დასჯადობის მოხსნის არანაირი შესაძლებლობა, როდესაც დამნაშავესა და მსხვერპლს შორის არსებული ასაკობრივი სხვაობა არ არის დიდი (შეად. გერმანიის სსკ § 176, აბზ. 2).

ზემოქმედებაში იგულისხმება ინტელექტუალური ზეგავლენის ყველა შორსმიმავალი ფორმა.¹⁵ ასეთს განეკუთვნება განმეორებითი ხასიათის ზეწოლა, დარწმუნება, დაპირება, ცნობისმოყვარეობის აღძვრა, ავტორიტეტით სარგებლობა, შეტყუება, დაშინება, მუქარა და ძალის გამოყენება,¹⁶ რომლის დროსაც, საჭიროა, დამნაშავის მხრიდან სახეზე იყოს გარკვეული დონის დაჟინება.¹⁷ მაგალითად, მხოლოდ პორნოგრაფიული მასალის გაგზავნა, როგორც ასეთი, ვერ მოგვცემს ზემოქმედების საკმარის

14 აღნიშნული მონაკვეთი გადმოღებულია *Schneider*, KriPoZ 2020, 137 (137, 140).

15 *Maurach/Schroeder/Maiwald/Hoyer/Momsen*, Strafrecht BT I, 11. Aufl. 2019, § 20 Nr. 12; *Eisele*, FS Heinz, S. 697 (705 f.).

16 *Eisele*, FS Heinz, S. 697 (706).

17 OLG Hamm, MMR 2016, 425 (425); *Alexiou*, Cyber-Grooming, 2018, S. 335; *Eisele*, FS Heinz, S. 697 (705 f.).

ხარისხს.¹⁸ ის არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ გეპირსიტყვიერი ფორმებით, არამედ უნდა შეიცავდეს გარკვეულ ისეთ შინაარსს, რომლებსაც ბავშვი აღიქვამს.¹⁹ პორნოგრაფიული მასალით გემოქმედებას ეხება გერმანიის სსკ-ის 176a პარაგრაფის პირველი აბზაცის მესამე პუნქტი. ხოლო, გერმანიის სსკ-ის 176b პარაგრაფის პირველი აბზაცის მეორე პუნქტი კი ვრცელდება არაპორნოგრაფიული მასალით გემოქმედების ფორმებზე. მაგალითად, ონლაინ ჩათში ისეთი სახის მინაწერებიც, როგორცაა „გამარჯობა, გინდა ვიჩეთაოთ? 35 წლის ვარ“ ან „17 წლის ვარ. ჭერ კიდევ წავა?“²⁰, წარმოადგენს მსხვერპლზე გემოქმედებას, თუ დამნაშავე თავისი განზრახვითა და დანაშაულებრივი ქცევით საკმარისი ინტენსივობის ქცევას ავლენს (დაჟინება).

განხორციელება თუ არა დამნაშავის განზრახვა ან არსებობს თუ არა, როგორც მინიმუმ, ამის რეალური საფრთხე, დასჯადობისათვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.²¹ მხოლოდ გემოქმედებაც კი, კანონმდებლის აზრით, ქმნის საფრთხეს, რომ შედგეს შეხვედრა დამნაშავესა და მსხვერპლს შორის და რომლის დროსაც შესაძლებელია მოხდეს ბავშვის სექსუალური ავტონომიის ხელყოფა. აქედან გამომდინარე, ასეთ დროს საქმე გვაქვს აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელ დელიქტთან.²² ამას გამოხატავს ნორმის ახალი რედაქცია, რომლის სახელწოდებებაცაა „ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის მომზადება“. ნორმის მეორე აბზაცში, გემოქმედებას სიმძიმით გატოლებულია სხვა გარკვეული ქცევები დანაშაულის მომზადების ეტაპზე. გარდა ამისა, გერმანიის სსკ-ის 176b პარაგრაფის მესამე აბზაცი ითვალისწინებს კიბერ-გრუემინგის მცდელობის დასჯას ასევე იმ შემთხვევებშიც, როდესაც დანაშაული ბოლომდე მიყვანილად

18 BGH, NStZ-RR 2015, 139 (140).

19 Eisele, FS Heinz, S. 697 (699); Renzikowski, in: MüKo StGB, Band 3, 4. Aufl. 2021, § 176 Rn. 45.

20 Kind, Stellungnahme, S. 7.

21 Alexiou, Cyber-Grooming, 2018, S. 335; Renzikowski, in: MüKo StGB, Band 3, 4. Aufl. 2021, § 176 Rn. 45. ზოგიერთი მოსაზრებით ობიექტური ელემენტიც აუცილებელია, თუმცა, ეს ცდება ნორმის სიტყვასიტყვით შინაარსს. იხ. Baumhöfener, MMR 2021, 30 (30 f.).

22 Eisele, in: Schönke/Schröder, 30. Aufl. 2019, § 176 Rn. 1a; ასევე, როგორც ჩანს იმავე მოსაზრებას იზიარებს Renzikowski, in: MüKo StGB, Band 3, 4. Aufl. 2021, § 176 Rn. 6.

მხოლოდ იმიტომ ვერ ითვლება, რომ ზემოქმედების ობიექტი არის არა ბავშვი, არამედ საკუთარი თავის ბავშვად გამასაღებელი მრდასრული პირი.²³ ანუ, დასჯადია უვარგისი დასრულებული მცდელობა უვარგისი ობიექტის მიმართ.

2. კრიტიკა და შეფასება

გერმანული რეგულაცია კიბერ-გრუმინგის დასჯადობის შესახებ, დიდი ხანია კრიტიკის საგნადაა ქცეული. აქ უნდა გამოიყოს ორი პუნქტი: ერთის მხრივ, დანაშაულის შემადგენლობის შედგენისას, გაკრიტიკდა დასჯადობის გავრცელება დანაშაულის მომზადების თავისთავად ნეიტრალურ ქმედებაზე, კერძოდ არაპორნოგრაფიული ხასიათის კომუნიკაციაზე.²⁴ ამის გამო, ხსენებული ნორმა არაერთხელ შეფასდა როგორც ანტიკონსტიტუციური.²⁵ დამატებით, გერმანელმა კანონმდებელმა 2020 წელს შემოიტანა კიბერ-გრუმინგის მცდელობის დასჯადობაც, რომელიც დასჯადობის დადგომის ზღვარს კიდევ უფრო დაბლა წევს.²⁶ დასჯადობის ასეთი დაბალი ზღვარის გამო, ჩვეულებრივი მისაღმებაც კი, როგორცაა უბრალო “Hi”, შესაძლებელია ჩაითვალოს კიბერ-გრუმინგის მცდელობად და დასჯადად იქნას ცნობილი, თუ დამნაშავე შესაბამისი განზახვით მოქმედებდა.

a) დასჯადობის ზღვარის დაწვევა ზემოქმედების ნიშნის არსებობის საფუძველზე

პირველ რიგში, კრიტიკის საგანია ის ფაქტი, რომ მსხვერპლზე ზემოქმედება, გერმანიის სსკ-ის 176b პარაგრაფის პირველი აბზაცის თანახმად, მოიცავს გონებრივი ზეგავლენის ყველა ფორმას, ანუ დასჯადობის დად-

23 დაწვრ. იხ. *Schneider*, KriPoZ 2020, 137 (138).

24 *D. Amelung/Funcke-Auffermann*, StraFo 2004, 265 (267); *Eisele*, FS Heinz, S. 697 (701); *Duttge/Hörnle/Renzikowski*, NJW 2004, 1065 (1067 f.).

25 დაწვრ. იხ. *Alexiou*, Cyber-Grooming, 2018, S. 325 ff.; *Stoiber*, „Cyber-Grooming“ aus empirischer und strafrechtlicher Sicht, 2020.

26 BGBl. 2020 I, 431.

გომისთვის საჭირო აღარაა კომუნიკაციას გააჩნდეს პორნოგრაფიული ხასიათი ან შეიცავდეს სექსუალური ხასიათის მინიშნებებს.²⁷ ამით კრიმინალიზებულია ობიექტურად ნეიტრალური ქცევაც, რაც ადამიანის ფუნდამენტური უფლების უხეშ დარღვევას წარმოადგენს.²⁸ ხსენებული სამართლებრივი ნორმის ლეგიტიმაციის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ შეხვედრის შემთხვევაში, შემდგომი ეტაპის სახით, მოცემულია ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციის აბსტრაქტული საფრთხე. ამით პასუხისმგებლობა დაყვანილია მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავის ცარიელ განზრახვამდე. მართალია, გერმანული სისხლის სამართალი იცნობს აგრეთვე შემთხვევებს, როდესაც სუბიექტური კომპონენტი არსებითად განსაზღვრავს ქცევის წესის დარღვევას. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ობიექტურად ნეიტრალური ქმედების, როგორც დანაშაულის ხელშეწყობის დასჯადობა, არსებითად დამოკიდებულია იმაზე, იცოდა თუ არა დამნაშავემ წინასწარ ის, რომ მთავარი დანაშაულებრივი ქმედება განხორციელდებოდა.²⁹ მაგრამ, თანამონაწილეობის, კერძოდ დახმარების დროს, რეალურად ხდება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ამსრულებლის მიერ, მაშინ, როდესაც კიბერ-გრუმინგი იმ შემთხვევაშიც კი ისჯება, როდესაც საქმე საერთოდ არ მისულა მსხვერპლის სექსუალურ ექსპლუატაციის დაწყებამდე.

ამდენად, გერმანული სისხლის სამართალი საერთაშორისო რეგულაციების ფარგლებსაც სცილდება.³⁰ ლანსაროტის კონვენცია და ევროკავშირის დირექტივა 2011/93/EU კიბერ-გრუმინგს იმ შემთხვევაში ცნობენ დასჯადად, თუ დამნაშავე მსხვერპლს შეხვედრას სთავაზობს და ამ შეთავაზებას შეხვედრისკენ მიმართული მოქმედებები მოყვება. ამით მათ დანაშაულის შემადგენლობაში მეტი კონკრეტულობა შეაქვთ (შეხვედრის შეთავაზება) და ამას გარდა, დასჯადობისთვის მოითხოვენ შეხვედრამდე მიმყვანი რეალური ნაბიჯების გადადგმას. ასეთ დროს მსხვერპლის სექსუალური ექსპლუატაციის საფრთხე უფრო დიდია, ვიდრე მაშინ, როდეს-

27 არაგაბატონებული მოსაზრებით, აუცილებელია ობიექტურად შეცნობადი სექსუალური კონტექსტის არსებობა. იხ. *Baumhöfener*, MMR 2021, 30 (30 f.).

28 კრიტ. *van Endem*, NJW 2020, 1033 (1033 f.) m.w.N.

29 დაწვრ. იხ. BGHSt 46, 107.

30 დაწვრ. იხ. *Schneider*, KriPoZ 2020, 137 (139 ff.).

საც დამნაშავე ასეთ შეხვედრას მხოლოდ განიზრახავს. გარდა ამისა, ამ გზით კიბერ-გრუმინგის დამტკიცდება პროცესუალურად უფრო მარტივია, რამდენადაც დასჯადი და არადასჯადი ქმედებების ურთიერთგამიჯნა მხოლოდ სუბიექტურ ელემენტზე არაა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სამართლის მსგავსად ჩამოყალიბებული სამართლებრივი რეგულაცია უფრო მისაღები იქნებოდა.³¹ შესაძლებელი იქნებოდა ასევე, რომ კანონის ტექსტში ტერმინს „მემოქმედება“ შეეძინა უფრო მეტი კონკრეტულობა და დასჯადობის დასადგომად საჭირო გამოხადარიყო ობიექტურად სექსუალური ხასიათის ქმედების არსებობა.³²

ბ) მცდელობის დასჯადობა

ის, ვინც გერმანიის სსკ-ის 176b პარაგრაფში მოცემულ დანაშაულის შემადგენლობას ზედმეტად ფართოდ მიიჩნევს, ცხადია, რომ მცდელობის დასჯადობასაც სამართლიანად უპირისპირდება.³³ მაგრამ, ამის გარეშეც, ნორმაში ჩადებული მცდელობის რეგულაცია კრიტიკას იმსახურებს.

უვარგის დამთავრებულ მცდელობაზე დასჯადობის შემოფარგვლით კანონმდებელი იჭრება დოგმატიკის ახალ სივრცეში.³⁴ გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, მცდელობის დასჯადობა მოიცავს, როგორც ვარგის, ასევე უვარგის, როგორც დამთავრებულ, ასევე დაუმთავრებელ მცდელობებს. დამატებლობას მოკლებულია ის, რომ დასჯადობა გავრცელებულია არა უვარგის მცდელობებზე, მაშინ როდესაც უფრო სახიფათო, ვარგისი მცდელობა დასჯადობის მიღმა რჩება.³⁵ ეს

31 ob. ასევე *Stoiber*, „Cyber-Grooming“ aus empirischer und strafrechtlicher Sicht, 2020, S. 283 f.; *Renzikowski*, in: MüKo StGB, Band 3, 4. Aufl. 2021, § 176 Rn. 22.

32 *Baumhöfener*, MMR 2021, 30 (30 f.). თუმცა, მსგავსი ტელელოგური ვიწრო განმარტება არ ყოფილა კანონმდებლის ნება, ob. *Renzikowski*, in: MüKo StGB, Band 3, 4. Aufl. 2021, § 176 Rn. 47.

33 ასე ერთმნიშვნელოვნად *Stoiber*, „Cyber-Grooming“ aus empirischer und strafrechtlicher Sicht, 2020, S. 279 f.

34 დაწვრ. ob. *Schneider*, KriPoZ 2020, 137 (141 ff.). ასევე, *van Endern*, NJW 2020, 1033 (1034), რომელიც აღნიშნულ მოწესრიგებას სისტემის რღვევად მიიჩნევს.

35 *Fischer*, Stellungnahme zum Gesetzentwurf, S. 2 f., https://www.bundestag.de/ausschuesse/a06_Recht/anhoeerungen_archiv/stellungnahmen-665970 (ნანახია 23.12.2022); *Schneider*, KriPoZ 2020, 137 (141).

წარმოადგენს ვარჯისი მცდელობის ჩამდენი პირის უსამართლო პრივილეგირებას.³⁶ სისხლის სამართლის პროცესუალურ ასპექტს, კერძოდ საწყისი ეჭვის დასაბუთებას იმ შემთხვევებისთვის, რომლებშიც დამნაშავე ბავშვზე ზემოქმედებას მხოლოდ განიზრახავს, ასევე კარგად ეყოფოდა ზოგადი ხასიათის, არადიფერენცირებული მონესრიგებაც.

ზემოთხსენებულისაგან განსახვავებით, ლეგიტიმურია დასჯადობის გავრცელება დამთავრებულ მცდელობებზე ანუ მცდელობებზე, რომლითაც მსხვერპლზე ზემოქმედება რეალურად შედგა.³⁷ აღნიშნული საბუთდება იმით, რომ დამნაშავე თავისი ზემოქმედებით, ვინმე ვითომდა ბავშვზე, გრუმინგ-ტექნიკას ავარჯიშებს და აუმჯობესებს. თუმცა, ამავდროულად აუცილებელია, რომ საკუთარი თავის ბავშვად გამასაღებელი ზრდასრულები ისე ავთენტურად მოქმედებდნენ, რომ ვარჯიშის ეფექტი რეალურად დადგეს. ამ არგუმენტის საფუძველზე, მსხვერპლზე ზემოქმედების ნებისმიერი დასრულებული მცდელობა ამალღებს დამნაშავის უნარს, მოამზადოს ბავშვის სექსუალური ექსპლუატაცია. იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავის მხრიდან ასეთი მცდელობის განმეორებითობის საფრთხეს წინა პლანზე წამოვწევთ, მაშინ დამთავრებული მცდელობებიც მხედველობაში მისაღები გახდებოდა.³⁸

საერთაშორისო და ევროპული სამართალი მცდელობის დასჯადობას არ მოითხოვს. მართალია, რომ ლანსაროტის კონვენციის 24-ე მუხლის მეორე აბზაცში ამას ითვალისწინებს, თუმცა, მასში დასჯადობისგან გამონაკლისებიცაა დაშვებული. გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ აღნიშნული გამონაკლისით უკვე ისარგებლა.³⁹ ევროკავშირის დირექტივის მე-6 მუხლის მეორე აბზაცი შეიცავს რეგულაციას ბავშვთა პორნოგრაფიული დანაშაულის შესახებ, რაც ბავშვთან კონტაქტის დამყარების მეშვე-

36 *van Endern*, NJW 2020, 1033 (1034).

37 *Schneider*, KriPoZ 2020, 137 (142 f.).

38 *Schneider*, KriPoZ 2020, 137 (142 f.).

39 იხ. ინფორმაცია აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით: https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/201/declarations?p_auth=Cg9zfoLU&coeconventions_WAR_coeconventionsportlet_enVigueur=false&coeconventions_WAR_coeconventionsportlet_searchBy=state&coeconventions_WAR_coeconventionsportlet_codePays=GER&coeconventions_WAR_coeconventionsportlet_codeNature=2 (ნანახია 23.12.2022).

ბით ხორციელდება, მაგრამ ის არ შეიცავს ვალდებულებას, რომ კონტაქტის დამყარების ცარიელი მცდელობა დასჯადობის ქვეშ მოექცეს.⁴⁰ ასევე, მასში არ არის ნაგულისხმევი კონტაქტის დამყარების მცდელობა იმ ზრდასრულებთან, რომლებიც თავს ბავშვებად ასაღებენ.

მცდელობის დასჯადობის საკითხი, საერთაშორისო დონეზე, არ არის შეთანხმებული და დოგმატური თვალსაზრისით, ის დამატურებელიც არ არის, თუმცა, ის სამართალდამცავ ორგანოებს საქმეს უადვილებს, რამდენადაც ისეთი ფარული საგამოძიებო მოქმედებების დროს, როგორც დასაწყისში აღნიშნული ფედერალური კრიმინალური პოლიციის ოპერაციაა, მთავარ როლს საწყისი ეჭვის არსებობა თამაშობს.⁴¹

V. ევროკომისიის ინიციატივა

ევროკომისიის მიდგომით, კიბერ-გრუმინგის სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხი სამომავლოდ კიდევ უფრო უნდა გამარტივდეს. 2022 წლის მაისში კომისიამ წარადგინა ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის აღმოფხვრისა და პრევენციის შესახებ დადგენილების (რეგულაციის) საკანონმდებლო ინიციატივა.⁴² ხსენებული ინიციატივის თანახმად, ონლაინ-სერვისების მიმწოდებლებს უნდა დაეკისროთ მთელი რიგი ვალდებულებებისა, რომელთაგანაც ერთ-ერთი რისკების ანალიზი და შეფასებაა. გარკვეულ შემთხვევებში, ონლაინ-სერვისების მიმწოდებლები უნდა დაექვემდებარონ ე.წ. მითითებას გამოაშკარავების შესახებ, რათა გახსნან არასრულწლოვანი მომხმარებლების ჩათში მიმდინარე კომუნიკაციები და დააფიქსირონ სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით რელევანტური დეტალები. საუბარია მათ შორის ბავშვთა პორნოგრაფიის შემცველ მასალაზე. ხსენებული დადგენილების პროექტი, ერთმნიშვნელოვნად ეხება კიბერ-გრუმინგის შემთხვევებსაც (მუხ. 2, ქვეპ. ი, მუხ. 7 აბზ. 6). ჩათის რუმებში შეღწევა უნდა განხორციელდეს ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პროგრამით.

40 დაწვრ. ob. *Schneider*, KriPoZ 2020, 137 (139 ff.).

41 BT-Drs. 19/13836, 1. კრიტ. von *Baumhöfener*, MMR 2021, 30 (34).

42 COM(2022) 209 final.

ინიციატივა წარმოადგენს ფუნდამენტური და საფუძვლიანი კრიტიკის საგანს, რამდენადაც ეს უკანასკნელი ყველა მომხმარებლის პირადი კომუნიკაციის ტოტალურ კონტროლს გულისხმობს.⁴³ ბევრი ამ ინიციატივაში ადამიანის ფუნდამენტური უფლების გაუმართლებელ შეზღუდვას ხედავს. მათ საპასუხოდ ევროკომისია აღნიშნავს, რომ რელევანტური მასალის ადრეულ სტადიაშივე დაბლოკვით, ბავშვები მომდევნო ვიქტიმიზაციისგან იქნებიან დაცულნი.⁴⁴

კიბერ-გრუმინგთან დაკავშირებული ზემოთხსენებული დადგენილების მომხრეთა რიგებშიც გაჩნდა კითხვები.⁴⁵ ეს იმითაა განპირობებული, რომ კიბერ-გრუმინგის გამიჯვნა ინტერნეტ ჩათებში მიმდინარე სხვა ლეგალური კომუნიკაციებისაგან საკმაოდ რთულია. აღსანიშნავია ისიც, რომ დანაშაულებრივი ელემენტის აღმომჩენი პროგრამების ცდომილების კვოტებთან დაკავშირებით მუდმივად სხვადასხვა მონაცემებს ვაწყდებით. კომისია მიუთითებს Microsoft-ის მიერ შემუშავებული პროგრამის ცდომილებაზე, რომელმაც შემთხვევათა 12 პროცენტში მცდარად პოზიტიური შედეგი დააფიქსირა.⁴⁶ მართებულია თუ არა ეს მონაცემი, ჯერ კიდევ გადამოწმებას საჭიროებს. Microsoft-ის მიერ შემუშავებული პროგრამა „Project Artemis“ არასამთავრობო ორგანიზაცია THORN-ის მიერ სანდო პროგრამად შეფასდა.⁴⁷ თუმცა, Thorn-ის ვებგვერდზე პროგრამის მუშაობის სიზუსტესთან დაკავშირებული მონაცემები არ იძებნება. ინფორმატიკოსების მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევის თანახმად, კიბერ-გრუმინგის სწო-

43 ob. მაგ. <https://chat-kontrolle.eu/> (ნანახია 23.12.2022); <https://digitalegesellschaft.de/wp-content/uploads/2022/02/Chatkontrolle-10-Prinzipien.pdf> (23.12.2022); Breyer, <https://www.patrick-breyer.de/beitraege/nachrichtendurchleuchtung/> (ნანახია 23.12.2022); Rudel/Reuter, <https://netzpolitik.org/2021/eu-kommission-warum-die-chatkontrolle-so-gefaehrlich-ist/> (ნანახია 23.12.2022). გერმანიის პოლიტიკურ წრეებშიც არ მოიპოვა აღნიშნულმა პროექტმა მხარდაჭერა, BMVD Pressemitteilung 019/2022; BMI und BMJ nach beck-aktuell v. 7.6.2022, <https://rsw.beck.de/aktuell/daily/meldung/detail/kampf-gegen-kindesmissbrauch-eu-kommissarin-verteidigt-geplante-chatkontrolle> (ნანახია 23.12.2022). დამატებით ob. *Vasel*, ZRP 2022, 191 (191 f.).

44 COM(2022) 209 final, S. 2, 17; ob. ასევე *Heger*, ZRP 2022, 133 (134).

45 *Heger*, ZRP 2022, 133 (134, 136); *Vasel*, ZRP 2022, 191 (193).

46 COM(2022) 209 final S. 17 Fn. 32; Impact Assessment Report, S. 283.

47 <https://netzpolitik.org/2022/chatkontrolle-was-unternehmen-schon-freiwillig-tun/> (23.12.2022).

რად გამოვლენილი შეთხვევების მაჩვენებელი სულ რაღაც დაახლოებით 23 პროცენტია.⁴⁸ ხელოვნური ინტელექტის ბაზაზე მომუშავე პროგრამების შემთხვევაში, ბავშვთა პორნოგრაფიული მასალის აღმოჩენის სიზუსტე, ხსენებულ მაჩვენებლებთან შედარებით, გაცილებით მაღალია.⁴⁹ ამას ემატება ისიც, რომ კიბერ-გრუმინგის სწორი გამოვლენა საკომუნიკაციო მასალის ანალიტიკურ დამუშავებას საჭიროებს, მაშინ როდესაც ბავშვთა პორნოგრაფიის შემთხვევაში, ძიების პროცესი მხოლოდ ფოტო-მასალის აღმოჩენით შემოიფარგლება.⁵⁰ აქედან გამომდინარე, კიბერ-გრუმინგის პროგრამული სკანირება, ჭერ-ჭერობით, ნაწილობრივ უმართებულოდაა მიჩნეული.⁵¹

პროგრამული ცდომილების მაღალი მაჩვენებლები ცხადყოფს, თუ რაოდენ რთულია კიბერ-გრუმინგის, როგორც დანაშაულის შემადგენლობის ზუსტი გაგება. თუ – როგორც ეს გერმანულ სამართალშია მოცემული – პირი განზრახ მოქმედებს, მაგრამ ამავე დროს, სექსუალური შინაარსის კომუნიკაცია ანდა შეხვედრის შეთავაზება არ მომხდარა, ასეთ დროს განსაკუთრებით რთულდება იმ პარამეტრების შემუშავება, რომლითაც დანაშაულებრივი ხასიათის კომუნიკაცია არადანაშაულებრივისაგან უნდა გაიმიჯნოს.⁵² ეს სირთულე ეხება არა მხოლოდ პროგრამებს, არამედ იმ ადამიანებსაც, რომლებმაც ასეთი გამიჯვნა უნდა უზრუნველყონ. ამიტომაც, პრაქტიკაში, სისხლისსამართლებრივ დევნას, ძირითადად, ექვემდებარება კიბერ-გრუმინგის ის შემთხვევები, როდესაც სახეზეა სექსუალური ხასიათის კომუნიკაცია ან საქმე რეალურ შეხვედრამდე მიდის.⁵³

აქედან გამომდინარე, გაცეხას არ იწვევს, რომ ხელოვნური ინტელექტის ბაზაზე მომუშავე კიბერ-გრუმინგის აღმოჩენი პროგრამების დანერგვას ევროკავშირი უფრო შესაძლებლად მიიჩნევს, ვიდრე გერმა-

48 *Isaza/Muñoz/Castillo/Buitrago*, Neurocomputing 484 (2022), 250.

49 *ob. Vasel*, ZRP 2022, 191 (193).

50 EDPB/EDPS, Joint Opinion 04/2022 on the Proposal for a Regulation of the European Parliament and of the Council laying down rules to prevent and combat child sexual abuse, Rn. 69.

51 *Vasel*, ZRP 2022, 191 (193); EDPB/EDPS (Fn. 50), Rn. 76.

52 შეად. ასევე EDPB/EDPS (Fn. 50), Rn. 71.

53 *Baumhöfener*, MMR 2021, 30 (30 f.). მაგალითები *ob. Kloess/Hamilton-Giachritsis/Beech*, Sexual Abuse 31 (2019), 73 (79 ff.).

ნიის პოლიტიკური ისტებლიშმენტი. ევროკავშირის 2011/93/EU დირექტივის მე-6 მუხლი დანაშაულის შემადგენლობის უფრო ზუსტ განმარტებას გვთავაზობს, ვიდრე გერმანული ნორმა, რამდენადაც ამ პირველის თანახმად, კვალიფიკაციისთვის აუცილებელია შეხვედრის შეთავაზება და შეხვედრამდე მიმყვანი კონკრეტული მოქმედებები. თუ დანაშაულის ეს შემადგენლობაც უზუსტოდ და გაურკვეველად ჩაითვლება⁵⁴, ის გერმანული სამართლისთვის მაინც მისაბაძ ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის ინიციატივა, მიუხედავად იმისა, დაინერგება თუ არა ის, მიღებულ უნდა იქნას კიბერ-გრუმინგის, როგორც დანაშაულის შემადგენლობის შესახებ გერმანული ნორმის რეფორმირების სტიმულად.

VI. დასკვნა

კიბერ-გრუმინგის შესახებ გერმანული ნორმა დამაჯერებელი არ არის. მხოლოდ შემოქმედებაზე ორიენტირებით, დანაშაულის შემადგენლობა ზედმეტად ფართოდაა ჩამოყალიბებული და მოიცავს ობიექტურად არა-დანაშაულებრივ ქმედებებსაც. უპრიანი იქნებოდა, ლანსაროტის შეთანხმების 23-ე მუხლისა და ევროკავშირის 2011/93/EU დირექტივის მე-6 მუხლის ნიმუშად აღება, როგორც ეს საქართველოში გვხვდება. გერმანულ ნორმაში მოცემული მცდელობის დასჯადობაც დოგმატურად დამაჯერებელი არ არის და შესაბამისად, ნაკლებადაა რეკომენდებული საერთაშორისო და ევროპული სამართლის სტანდარტების გათვალისწინებით.

ცვლილებების იმპულსი უნდა წამოვიდეს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის აღმოფხვრისა და პრევენციის შესახებ სამართლებრივი ნორმის შემუშავებასთან დაკავშირებული ევროკომისიის ინიციატივიდან, რომლის თანახმადაც ინტერნეტ-სერვისების მიმწოდებლები აიღებენ ვალდებულებას, გამოავლინონ კიბერ-გრუმინგის შემთხვევები ხელოვნური ინტელექტის ბაზეზე აგებული პროგრამების მეშვეობით. თუმცა, ამ პროგრამების დანერგვა, ზემოთხსენებული ცდომილებების მაჩვენებლების გათვალისწინებით, მაინც საეჭვოდ რჩება. ცდომილებების მაღალი

54 EDPB/EDPS (Fn. 50), Rn. 69.

მაჩვენებლის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ კიბერ-გრუმინგი რთულად აღმოჩენადია, მაგრამ ევროკავშირის სამართალი, ამასთან დაკავშირებით, უფრო ზუსტ პარამეტრებს გვთავაზობს, ვიდრე ეს გერმანულ სამართალშია მოცემული. დასასრულ შეიძლება ითქვას, რომ კიბერ-გრუმინგი, როგორც დანაშაულის შემადგენლობა, უფრო კონკრეტულ განსაზღვრას საჭიროებს.

კიბერ-ადევნების დასჯადობა გერმანიაში

პროფ. დოქტ. იორგ აიზელე, ტიუბინგენის უნივერსიტეტი

I. დანაშაულის შემადგენლობის ისტორია

კიბერ-ადევნება, როგორც დანაშაულებრივი შემადგენლობა, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში (§ 238) 2007 წელს გაჩნდა, რათა აღმოეხერხებინათ ადევნების დასჯადობასთან დაკავშირებული ხარვეზები.¹ ხსენებული სამართლებრივი ნორმის შემუშავებით, კანონმდებელი იმედოვნებდა მსხვერპლის უკეთესი დაცვის უზრუნველყოფას,² ვინაიდან, მაგალითად, ადევნების ყველა ფორმა ვერ ჩაითვლება იძულებად ან შეურაცხყოფად, რათა პირი შესაბამისი ნორმებით დაისაჯოს. საქმეს ართულებს ისიც, რომ ადევნება შესაძლებელია ეწოდოს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც მსხვერპლის მიერ არასასურველად აღიქმება. დასაცავ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს მსხვერპლის ქმედებისა და ნების თავისუფლება საკუთარი ცხოვრების წარმართვასთან მიმართებით.³ ამაზე მიუთითებს ნორმის შინაარსიც, რომლის თანახმადაც, დანაშაულებრივი ქმედება ისეთი უნდა იყოს, რომ მსხვერპლის მიერ საკუთარი ცხოვრების წესის განსაზღვრის შეზღუდვის საფრთხეს ქმნიდეს.

თავდაპირველად, დანაშაულის შემადგენლობა მხოლოდ მაშინ ითვლებოდა განხორციელებულად, თუ სახეზე იყო მსხვერპლის ცხოვრების წესის მნიშვნელოვანი, გნებავთ, მძიმე შეზღუდვა. დასჯადობის ეს მკაცრი წინაპირობა შერბილდა ორი კონკრეტული რეფორმით. დანაშაულის შე-

1 40. StÄG v. 22.3.2007, BGBl. I S. 354; *Sering*, NJW 2007, 375 (376).

2 BT-Drs. 16/575 S. 1; *Gericke*, in: MünchKomm, StGB, 4. Aufl. 2021, § 238 Rn.10; *Buettner*, ZRP 2008, 124; შეად. Bundesministerin der Justiz Brigitte Zypries am 30.11.3006 in Sitzung des 16. Deutschen Bundestages, BT-Plenarprotokoll 16/70, S. 6948.

3 BT-Drs. 15/5410 S. 6, 16/1030 S. 6; *Zimmermann*, in: AnwK- StGB, § 238 Rn. 2; *Neubacher/Seher*, JZ 07, 1030.

მადგენლობამ პირველი ცვლილება განიცადა 2017 წელს, ადევნებისგან დაცვის გაუმჯობესების შესახებ კანონით, რომლითაც ზემოთხსენებულმა შემადგენლობამ პოტენციური საფრთხის შემქმნელი დელიქტის სტატუსი მიიღო.⁴ აქედან მოყოლებული, აღარ არის საჭირო, რომ მოხდეს მსხვერპლის ცხოვრების ცხოვრების წესის მძიმე ფორმით შეზღუდვა. დასჯადობისთვის საკმარისია ქმედება, რომელიც, ობიექტური თვალთახედვიდან გამომდინარე, მსხვერპლის ცხოვრების წესის შეზღუდვის საფრთხეს ქმნის.

სამართლებრივი ნორმის ახალი რედაქციის შესახებ დასკვნაში⁵ ვკითხულობთ, რომ პრაქტიკაში იმის განსაზღვრა, თუ რა შემთხვევაშია განხორციელებული დანაშაულის შემადგენლობა, დიდ სირთულეებს აწყდებოდა. ამის მთავარ მიზეზად დასახელდა ის, რომ რთულია იმის განსაზღვრა, არის თუ არა ქმედება ცალკეულ შემთხვევაში ჯერ კიდევ სოციალურად ადეკვატური და შესაბამისად, არადასჯადი;⁶ ასევე, ბუნდოვანი იყო ცალკეული ტერმინი („დაჟინებით“, „უნებართვო“, „ცხოვრების წესისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნის პოტენციალი“);⁷ გარდა ამისა, იდგა მტკიცებულებების პრობლემა, რამდენადაც ხშირად საქმე ეხება ორი პირის კონფლიქტს, რომელსაც არ ყავს მოწმე.⁸ 2021 წლის ოქტომბერში ძალაში შევიდა ცვლილებები, რომლებიც აადვილებენ დანაშაულის შემადგენლობის განსაზღვრას და პირველ რიგში, მოიცავენ კიბერ-ადევნებას.⁹ მსხვერპლის მიერ საკუთარი ცხოვრების განსაზღვრის მძიმე შეზღუდვა დაყვანილ იქნა არა უმნიშვნელო შეზღუდვამდე: „ადევნე-

4 BGBl. I, S. 386; BT-Drs. 18/9946 S. 10 f., 13 f. და ასევე *Kubiciel/Borutta*, KriPoZ 2016, 194 ff.

5 BT-Drs. 19/26515.

6 BT-Drs. 19/28679, S. 4 und S. 7; *Eisele*, Stellungnahme im Ausschuss für Recht und Verbraucherschutz am 19.5.2021, S.1.

7 BT-Drs. 19/28679, S. 4; *Gericke* (Fn. 2), § 238 Rn. 8; Eingehend *Zacharias*, Der Unrechtstatbestand der Nachstellung (§ 238 StGB) im Lichte des strafrechtlichen Bestimmtheitsgrundsatzes, S. 354 ff

8 BT-Drs. 19/28679, S. 5; *Eisele* (Fn.6), S.1.

9 BT-Drs. 19/28679, S. 7; *Valerius*, in: BeckOK, StGB, § 238 Rn. 1.5; Hoven, ZRP 2022, 118 (119).

ბა უნებართვოდ ხორციელდება განმეორებითი ქმედებებით იმ ფორმით, რომელიც საკმარისია, არაუმნიშვნელოდ შეზღუდოს მსხვერპლი საკუთარი ცხოვრების წესის განსაზღვრაში, ...“

II. დანაშაულის შემადგენლობის ზოგადი წინაპირობები

1. დანაშაულებრივი ქმედება

ა) მთავარი მნიშვნელობა აქვს ტერმინ ადევნებას. აქ იგულისხმება დამნაშავის მთლიანი ქცევა, რომელიც ადევნებისათვის დამახასიათებელი ცალკეული ქმედებების ჯამით აზიანებს მსხვერპლს. ადევნებას უნდა გააჩნდეს განმეორებითი ხასიათი და ხორციელდებოდეს 1-დან მე-8 პუნქტამდე ჩამოთვლილი ქცევითი ნიმუშის თანახმად. მე-8 პუნქტი მოიცავს „სხვა ქმედებებს“, რომელიც ადევნების მრავალფეროვან გამოვლინებებსა და არსებულ დროში ამ უკანასკნელის ტექნოლოგიური განხორციელების ფორმებს ფარავს და მოიცავს ისეთ შემთხვევებს, რომლებიც არ გვხვდება 1-დან მე-7 პუნქტის ჩათვლით.¹⁰ კანონმდებლის ნებით აქ იგულისხმება ისეთი ქმედებები, რომლებიც 1-4 პუნქტებში ჩამოთვლილ ქმედებებთან მიმართებით „როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად, ახლომდგომ სიმძიმეს ავლენენ და გვანან მათ უმართლობის ხარისხით.“¹¹ მერვე პუნქტისთვის აუცილებელი არ არის 1-4 პუნქტებისთვის დამახასიათებელი მსხვერპლთან კონტაქტის დამყარება ან მუქარა. მასში იგულისხმება ისეთი ქმედებები, როგორიცაა მაგ. მსხვერპლის საკუთრებაში არსებული ნივთების დაზიანება, ხმაური, სატელეფონო ტერორი, თვითმკვლელობით დამუქრება, ცილისწამება ან ცრუ დასმენა, ოჯახისა ან სამეგობრო წრის თვალთვალი.

ბ) თანხმობის გარეშე ადევნებაზე საუბრისას, მისგან უნდა გაიმიჯნოს სოციალურად ადეკვატური ქცევა. ეს, პირველ რიგში, ეხება პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილი ისეთ ქმედებებს, როგორიცაა სამუშაო

10 BT-Drs. 16/3641 S. 14; *Valerius* (Fn. 9), § 238 Rn. 12.

11 BT-Drs. 16/3641 S. 14.

ადგილზე შეხვედრა, ელექტრონული წერილების და საჩუქრების გაგზავნა. ასეთ დროს, ყოველთვის საჭიროა ცალკეული ქმედების მუსტი ანალიზი. საქმე სხვაგვარადაა მე-3 და მე-4 პუნქტებთან მიმართებით, რამდენადაც მათში ნაგულისხმევი მსხვერპლის პირადი მონაცემებით ბოროტად სარგებლობა და მექარა თავიდანვე გამორიცხავს მათ გატოლებას სოციალურად ადეკვატურ ქცევასთან. თანხმობის არარსებობა გულისხმობს ქმედებას მსხვერპლის ნების წინააღმდეგ. ნებართვა მსხვერპლის მხრიდან შეიძლება გამოიხატოს სიტყვიერად ან კონკლუდენტურად.¹² თანხმობა, უნდა ვრცელდებოდეს ქმედებათა განმეორებადობაზე.

გ) დანაშაულის შემადგენლობა მოითხოვს ქმედების განმეორებადობას. მხოლოდ ფრაგმენტული ქმედებები იმ შემთხვევაშიც კი არაა საკმარისი, თუ ისინი მსხვერპლის მიერ ცხოვრების წესის განსაზღვრას არაუმნიშვნელოდ უქმნიან საფრთხეს. გაურკვეველია, თუ რამდენი ქმედებაა საჭირო, რომ დანაშაულის შემადგენლობა განხორციელებულად ჩაითვალოს. ერთხელ, კანონზე მუშაობის პროცესში, ადრე გაბატონებული დაჟინების ელემენტის გათვალისწინებით, საკმარისად ჩაითვალა ხუთი მოქმედება.¹³ საბოლოოდ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თითოეული შემთხვევის გარემოებებს და ასევე, ადევნებისთვის დამახასიათებელი ცალკეული ქმედების სიმძიმეს.¹⁴ განმეორებადობა მოცემულად ითვლება მაშინაც კი, როდესაც დამნაშავე ადევნებისთვის დამახასიათებელ, 1-8 პუნქტებში ასახულ, თუნდაც განსხვავებულ ქმედებებს ახორციელებს. ამის მიზეზი ისაა, რომ ქმედებათა არაპროგნოზირებადობამ, საბოლოო ჯამში, შესაძლებელია ძლიერი გავლენა იქონიოს მსხვერპლზე.¹⁵ კანონმდებელი ამ მიდგომას ახლანდელ საკანონმდებლო ინიციატივაზე მუშაობის ეტაპზეც ემხრობა: „თუ ქმედების რამდენჯერ გამეორებაა საჭირო დანაშაულის შემადგენლობის განსახორციელებლად, დამოკიდებულია ცალკეულ შემთხვევაზე. თუ ცალკეული ქმედებების ხასიათი მძიმეა, საკმარისია განმეორებადობის მცირე, ერთნიშნა რიცხვიც კი, რათა დას-

12 BT-Drs. 15/5410 S. 7, 16/575 S. 7; *Eisele*, in: Schönke/Schröder, 30. Aufl. 2019, § 239 Rn. 27; *Valerius* (Fn.9), § 238 Rn. 16.

13 BT-Drs. 15/5410 S. 7; *Valerius*, JuS 07, 322.

14 BGH 54 195; *Gazeas*, JR 07, 502; *Gericke* (Fn. 2), Rn. 44.

15 BGH 54 196; *Neubacher/Seher*, JZ 07, 1032; *Valerius*, JuS 07, 322.

ჯადობა განხორციელდეს. აუცილებელი არ არის, რომ გამეორდეს პირველი აბზაცის 1-8 პუნქტებში აბსტრაქტულად დახასიათებული რომელიმე ერთი და იგივე ქმედება. საგნებით საკმარისია, როდესაც დამნაშავის მიერ ხორციელდება რამდენიმე, ურთიერთგანსხვავებული, ამ პუნქტებში ჩამოთვლილი ქმედებები¹⁶

II. დანაშაულებრივი ქმედების შედეგი

საბოლოოდ, შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, ქმნის თუ არა დამნაშავის ქმედება მსხვერპლის მიერ საკუთარი ცხოვრების წესის განსაზღვრის შეზღუდვის არაუმნიშვნელო საფრთხეს. აქ საქმე ეხება არა შედეგზე ორიენტირებულ დელიქტს, არამედ პოტენციური მიანის შემცველ დელიქტს. სიტუაცია უნდა განისაზღვროს წინმსწრები პერსპექტივიდან, კერძოდ, შესაძლებელია თუ არა, რომ შეიზღუდოს მსხვერპლი არაუმნიშვნელოდ საკუთარი ცხოვრების წესის განსაზღვრის თავისუფლებაში, მსხვერპლის ინდივიდუალური ცხოვრებისეული გარემოებებისა და ქმედების განხორციელების კონკრეტული სიტუაციის პირობებში. მნიშვნელობა არ აქვს, ცვლის თუ არა რეალურად მსხვერპლი საკუთარ ქცევას ან ავლენს თუ არა რაიმე საპასუხო რეაქციას, როდესაც ადევნებისთვის დამახასიათებელი მოქმედება ისედაც სათანადო სიმძიმისაა. ეს აადვილებს მტკიცებულებით სტანდარტს, რამდენადაც აუქმებს მსხვერპლის კონკრეტულ ქცევაზე აქცენტირების საჭიროებას.

იმისათვის, რომ ცხოვრების წესის განსაზღვრის თავისუფლებაში მსხვერპლი შეზღუდულად ჩაითვალოს, საკმარისი არ არის მისი ნებისმიერი ფორმით შეწუხება, რომელიც ხშირად თან სდევს კონფლიქტების მსვლელობა-მოგვარების პროცესს, განსაკუთრებით კი ურთიერთობების დამასრულებელ ეტაპს, რამდენადაც ასეთ დროს ხშირია კონტაქტის დამყარებისა და კომუნიკაციის საჭიროება.¹⁷ იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო საკანონმდებლო რეფორმის დროს მხოლოდ სერიოზული და მნიშვნელოვნად დამაზიანებელი ქმედებები იქნა მხედველობაში მი-

16 BT-Drs. 19/28679, S. 12.

17 OLG Brandenburg NStZ 10, 520; OLG Hamm NStZ-RR 09, 175; *Peters*, NStZ 09, 241.

ღებულის, რომლებიც ცხოვრების წესის განსაზღვრის თავისუფლებაში მსხვერპლის საშუალო-სტატისტიკური, რეგულარულად წარმოსადგენი და დასაშვები შეზღუდვის ხარისხს სცილდება¹⁸, დასჯადობიდან ამოირიცხა უმნიშვნელო ზიანის მომტანი ქმედებები. ისეთი პრევენციული ზომები, როგორიცაა მობილური ტელეფონის ერთჯერადად გათიშვა, საკმარისად კრიტიკულ დონეს ვერ აღწევს და დანაშაულის შემადგენლობა განხორციელებულად ვერ ჩაითვლება.¹⁹ იმის შეფასებისას, თუ რომელი ქმედებებია ჯერ კიდევ დასაშვები, მხედველობაშია მისაღები ობიექტური გარემოებები, გასათვალისწინებელია მსხვერპლის ცხოვრებისეული სიტუაცია და განსაკუთრებით, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ასეთ დროს მნიშვნელობა ენიჭება ისევ და ისევ ზეწოლის სიმძიმესა და ხანგრძლივობას. არაუმნიშვნელო ზიანის დადგომის მაგალითებია: სამსახურიდან წასვლა, საცხოვრებელი ბინიდან გადასვლა, საცხოვრებელი ბინის დატოვება მხოლოდ გამცილებელთან ერთად, ქვეყნიდან წასვლა, თერაპიული ჩარევის საჭიროება, ასევე სოციალური ცხოვრების შეწყვეტა, მნიშვნელოვანი ცვლილებები თავისუფალი დროის გაყვანის მხრივ, მნიშვნელოვანი ცვლილებები საკომუნიკაციო ქცევაში, სახელის შეცვლა.²⁰

III. კიბერ-ადევნება

1. კანონმდებლის დასაბუთება

ნორმის ახლებური მოწესრიგებით, კანონმდებელმა, უპირველეს ყოვლისა, მიზნად დაისახა, კიბერ-ადევნების სამართლებრივი რეგულირება. კანონმდებელი ამას შემდეგნაირად ასაბუთებს:²¹ „საკანონმდებლო დონეზე შექმნილია მიმდინარე ტექნოლოგიურ პროგრესთან და ამით განპირობებულ კიბერ-ადევნების შემთხვევათა ზრდასთან ადაპტირების საჭიროება. ეგრეთ წოდებული სტოკინგის აპლიკაციებისა თუ სტოკინგ-პროგრამების მეშვეობით, დამნაშავეები ღრმა კომპიუტერული ცოდნის

18 BT-Drs. 16/3641 S. 14; BGH 54 197; Brandenburg NSTz 10, 520; OLG Stuttgart, NJOZ 2015, 1909.

19 Brandenburg NSTz 10, 520; *Löbau*, StV 08, 647.

20 *Eisele*, (Fn. 12) Rn. 32 მასში მოყვანილი სხვა მაგალითებით.

21 BT-Drs. 19/28679, S. 1.

გარეშეც ახერხებენ ელექტრონულ ფოსტებზე, სოც. მედიის პროფილებსა და ასევე, მსხვერპლთა ელექტრონულ მონაცემებზე უნებართვო წვდომას და ამ გზით, მათი სოციალურ ცხოვრების თვალთვალს. კიბერ-ადევნება ხორციელდება მსხვერპლთა მონაცემებზე არა მხოლოდ უნებართვო წვდომის გზით, არამედ უმეტესად იმით, რომ დამნაშავეები მსხვერპლთა იდენტობით სოციალურ მედიაში ყალბ ანგარიშებს ქმნიან და მათი სახელით ავრცელებენ რეპუტაციულად ზიანის მომტან შეხედულებებს ან აქვეყნებენ ვიზუალურ მასალას. ადევნების ეს განსაკუთრებული ფორმები საკანონმდებლო და სამართლებრივ დონეზე უკეთეს დამუშავებას საჭიროებს“.

2. აქამდე არსებული რეგულაციები

აქამდეც შესაძლებელი იყო კიბერ-ადევნების გარკვეული ფორმების დასაჯა (გერმანიის სსკ § 238, აბშ. 1):

